

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვასილ აბაშვილი
(კუზიბაბაშვილი)

1958 - 2004

ქართული ენის ინგილოური
დიალექტი

ტექსტები

წიგნი გამოსაცემად მოამზადეს
მარინე ბერიძემ და მაია ბარიხაშვილმა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2009

Vasili Abashvili (Kuzibabashvili)
The Ingilo dialect of the Georgian Language

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
კონსტანტინე კაკიტაძე

რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლია ბაკურაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნარგიზა სურმავა

უდის დიზაინი ქეთევან გოგავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა ირინე თავბერიძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009

© არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN 978-9941-10-110-6

წიგნი იბეჭდება დიასპორის
საკითხებში სახელმწიფო მინისტრის
აპარატის ფინანსური მხარდაჭერით

The book is printed with the financial
support of the Office of the
State Minister of Georgia for Diaspora Issues

სარჩევი

| | |
|-------------------------------------|-----|
| წინასიტყვაობა | 5 |
| ქართული ენის ინგილოური დიალექტი.. | 13 |
| კაკური ტექსტები | 124 |
| ალიაბათური ტექსტები | 305 |
| დამოწმებული ლიტერატურა | 329 |
| შემოკლებათა ნუსხა | 337 |
| განალიზებულ ფორმათა საძიებელი | 338 |
| მთქმელები | 387 |

წინასიტყვაობა

„პარ მასკოლას თავი ინსან აქ, პარ ინსანსაც თავი ყისმათ აქ. ჰემენ ინსნი მასკოლაჲ დიდი, ა ინსან დიდხან ცოცხლოვს, კარგა ცხოვროვს, ჰემენი ყისმათი პატარაჲს, მოკლემს — იმი მასკოლაჲც ლაფ პატარაჲს“ (ყველა ვარსკვლავს თავისი ადამიანი ჰყავს, ყველა ადამიანს კი თავისი ბედი აქვს. ვისი ვარსკვლავიც დიდია, ის დიდხანს ცოცხლობს, კარგად ცხოვრობს, ვისი ბედიც პატარაა, მოკლეა — იმის ვარსკვლავიც ძალიან პატარაა — „ყისმათის ნალილი“; მასიკო თამაზაშვილი, სოფ. ყორალანი).

თავისი ხანმოკლე ცხოვრების ბოლოს ვასილ აბაშვილი (კუზიბა-ბაშვილი) ახალციხის უნივერსიტეტშიც მუშაობდა ქართული ენის კათედრის გამგედ. ერთი კვირა ახალციხეში იყო, ერთი კვირა — თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში. საკმაოდ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს და სალაპარაკოდაც ნაკლებად ვიცილიდით. ხშირად მხოლოდ წყვილად ნათქვამი: „გამარჯობა და ნახვამდის!“ იყო, რის თქმასაც ერთმანეთისთვის ვასწრებდით. ხელაწეული მომამხებდა და გარბოდა.

იმ სამუშაოდაც მხოლოდ სამსახურიდან წამოსულები შევხვდით ერთმანეთს — კანცელარიის წინ კიბეებზე წამომეწვია, ჩვეული ხუმრობით, სიცილით.

მერე უცებ დასერიოზულდა და მითხრა: მე, ხომ იცი, არ შემიძლია ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, მოდი, მოინდომე, ძალიან კარგი მასალა მაქვს ინგილოური და ერთად მივხედოთო. მაშინ ვმუშაობდი წიგნზე „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“. ამ წიგნში პირველად ვცადე, გამეაქტიურებინა დიალექტური ტექსტი, როგორც დოკუმენტი და წყარო ინტერდისციპლინარული კვლევისათვის. ვასიკო აღტაცებული იყო ამ იდეით და სწორედ ასეთი „ინტერდისციპლინარული“ მიმოქცევისთვის უნდოდა თავისი მასალის მომზადება.

— რა ვქნათ? — მკითხა.

— ვქნათ! — ვუპასუხე, — აი, ჩამოხვალ და დავსხდეთ!

— ძმა ხარ! ნახვამდის! — ხელი ასწია და სიცილ-სიცილით მიიმალა მეტროს შესასვლელში.

მეორე სამშაბათი და „გამარჯობა“ ამ შეხვედრას არ მოჰყოლია. მეორე კვირაში ვასიკო სულ სხვა გზაზე გავაცილეთ.

ეს შეხვედრა რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, როდის „გამოჩნდებოდა“ მის ძველ ბინაში შენახული 20-ზე მეტი აუდიოფირი. ეტყობა, ესეც მისი „ბედის ნალილის“ არაშემთხვევითი ეპიზოდი იყო.

მისი სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ მე და ჩვენი უმცროსი კოლეგა, წარმოშობით ინგილო მაია ბარჩხაშვილი უკვე ვმუშაობდით ვასიკოს დანატოვარ ტექსტებზე. ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური დახმარებით ჩვენ მოვახერხეთ ორი ხანგრძლივი მივლინების ორგანიზება საინგილოში და არაჩვეულებრივად მდიდარი ახალი ტექსტური მასალის მოპოვება. ჩვენ შევძელით ვასიკოს ძველი რესპონდენტების ერთი ნაწილის ხელახლა ჩაწერა თითქმის 20-25 წლის შემდეგ; ჩავიწერეთ ალიაბათისა და ზაქათალის რაიონებში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველთა მეტყველების ნიმუშებიც. უნდა ითქვას, რომ ე. წ. ალიაბათურის ტექსტური მასალა დღემდე ძალიან მცირე ნიმუშებით იყო ცნობილი და ვასილ აბაშვილსაც მხოლოდ ერთი აუდიოფირი — დაახლოებით ერთი საათის მასალა აღმოაჩნდა ჩაწერილი. სავარაუდოდ, ეს მასალა მოპოვებულია 1982 - 1988 წლებში.

ვასიკოს მიერ მოპოვებული მასალის გამოსაცემად მომზადება პირველი ნაბიჯი იყო იმ დიდი პროექტის განხორციელების გზაზე, რომელსაც ჩვენ „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ ვუწოდეთ. დღეს ეს სამუშაო ქართული დიალექტების დიდი ჰიპერტექსტული ბაზის შექმნის ერთ მცირე ეპიზოდად აღიქმება, რომელიც მართლაც რომ უპრეცედენტო მასშტაბით ვითარდება ქართული დიალექტების ელექტრონული კორპუსის სახით. ჩვენი „კორპუსი“ იქმნება შედარებით ახალგაზრდა ენათმეცნიერული დისციპლინის — კორპუსის ლინგვისტიკის გამოცდილებით.

კორპუსი წარმოგვიდგენს მოცემულ ენობრივ რეალობას მისი არსებობის გარკვეულ ეტაპზე ან ეტაპებზე, ყველა ენობრივი თუ არაენობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით. მიჩნეულია, რომ კორპუსი არის ენის ან ქვეენის (ენის გარკვეული სოციალური, სივრცული ან დროითი ჭრილის) მიკრომოდელი. ენის ასეთი „ინტერნეტმოდელის“ შექმნა თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული გამოწვევაა. პროექტი ითვალისწინებს ქართული ენის დიალექტების ვრცელი ჰიპერტექსტული ბაზის შექმნას, რომელიც იქნება

ქართული უნიკალური ენობრივი მასალის არა მარტო დოკუმენტირების, არამედ კვლევის ინსტრუმენტიც.

იმ პირველ პროექტზე მუშაობისას („საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი — ინგილოური: სამყარო წინაპრების თვალთ“) ჩვენ არ შემოვფარგლულვართ მხოლოდ ვასილ აბაშვილის ტექსტების გამოსაცემად მომზადებით, თუმცა არც ეს იყო ადვილი საქმე — ჩვენ დავიწყეთ მთქმელთა იდენტიფიცირებით (რადგან ზოგ ფირს აკლდა სათანადო დოკუმენტირება) და დავამთავრეთ ტექსტების სკრუპულოზური ტრანსკრიბირებით), ვისმენდით მასალას ცალკეც, ვამოწმებდით ჩანაწერს მთქმელებთან ან მათ ახლობლებთან. ვცდილობდით შეგვეჩინარჩუნებინა მაგნიტური ჩანაწერის ყველა თავისებურება, არ ვასწორებდით ტექსტს „დიალექტური ნორმის“ მიხედვით, ვცდილობდით დაგვეცვა სხვადასხვა იერარქიული დონის ენობრივ მოვლენათა პარალელური რეალიზების სრული სურათი, სხვადასხვა სამეტყველო კოდის თანაარსებობის კვალი, რათა ტექსტების კოლექციას არ დაეკარგა ის დიდი ინტერდისციპლინარული ფუნქცია, რასაც ჩვენ (და თვით ვასილ აბაშვილიც) ვაკისრებდით მას.

გარდა ამ ძირითადი სამუშაოსი, როგორც მოგახსენეთ, ამ წიგნზე მუშაობის დროს ჩვენ შევქმენით ქართული ენის ინგილოური დიალექტის ახალი ტექსტური კოლექცია (დაახლოებით 40 საათი), რომელშიც აქამდე უპრეცედენტო მოცულობით შევიდა ალიაბათური ტექსტებიც. ეს კოლექცია ლექსიკონითურთ უახლოეს მომავალში შეემატება ინგილოური დიალექტის კვლევისა და დოკუმენტირების სამეცნიერო გამოცდილებას.

დღეს უკვე სადავო არ არის, რომ მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების საშუალებით დოკუმენტირებულმა ვრცელმა ენობრივმა მასალამ შეიძლება მოგვცეს ერთიანი ქართული კულტურული და ენობრივი სივრცის შესახებ ნათელი და უტყუარი დასკვნების გაკეთების საშუალება.

ენა ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია, ამ კულტურის შექმნის, აღქმის, შენახვის, ანალიზის ... საშუალებაა. ენა ამა თუ იმ ხალხის მსოფლალქმისა და სამყაროს შესახებ მისი წარმოდგენების ჩამოყალიბების ცოცხალი სურათი და მატანია! — ეს უდავო ჭეშმარიტებანი ხომ სხვადასხვა დროის ბუმბერაზ მკვლევართა ნააზრევში ჩამოყალიბდა და დღეს საყოველთაოდაა გაზიარებული. მიუხედავად ამისა, დღეს ზოგიერთი არაქართველი მკვლევრისთვის მაინც ძნელი გამხდარა იმის გააზრება, რომ ინგილოური ქართული ენის დიალექტია და მასში უკუფენილია არა მარტო მთელი ისტორიული გზა

ქართული ენის ისტორიული განვითარებისა, არამედ აკუმულირებულია სწორედ კულტურული ერთობის უძველესი რეალიები.

არ ვაპირებთ ამ საკითხებთან დაკავშირებით ვრცელ პოლემიკას, რადგან ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა არის საკმარისი საბუთი და წყარო ამ პრობლემატიკის მეცნიერული კვლევისათვის.

ქართული კულტურის ისტორიული მრავალფეროვნება ყალიბდებოდა საქართველოს ყველა კუთხის თანაბარი მონაწილეობით. ეს პროცესი, რასაკვირველია, მიმდინარეობდა ასევე მრავალფეროვანი ენობრივი ქვესისტემების აქტიური თანამონაწილეობით როგორც საერთო ეროვნული კულტურის, ისე საერთო ეროვნული ენის ჩამოყალიბებაში.

საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბდა ორიგინალური ენობრივი სიტუაცია, ეთნოგრაფიული კუთხეების სიმრავლე და მათი ისტორიული სტატუსი განაპირობებდა შესაბამისი სამეტყველო ვარიანტების წარმოქმნას.

ქართველი ერის ენობრივი პორტრეტი დღეს წარმოდგენილია სამი ქართველური ენისა (ქართული, ზანური, სვანური) და მათი ორათეულზე მეტი დიალექტის სახით. ქართული ენა ქართველთა დედა ენაა, ის არის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი, ეროვნული და კულტურული ერთობის ყველაზე მტკიცე ნიშანი.

ნორმირებული (სტანდარტული) ქართული სამწერლობო და სახელმწიფო (ეროვნული) ენაა ყველა ქართველისთვის. ის წარმოდგენილია სამი არასამწერლობო ნაირსახეობით: არასტანდარტული ქართული, ზანური და სვანური.

დღეს არასტანდარტული ქართული წარმოდგენილია 16 ეთნოდიალექტის სახით. ამათგან სამი: ფერეიდნული, ინგილოური და კლარჯული (იმერხეული) გავრცელებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამ დიალექტების დოკუმენტირება და კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიული განვითარების გზისა და ქართველთა კულტურული „პორტრეტის“ სრულყოფილად წარმოსადგენად.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანი დიალექტოლოგიური ტექსტების ფართო ინტერდისციპლინარული კვლევისთვის მომზადებაა. ამიტომაც ტექსტების გამოსაცემად მომზადებისას უარვყავით ტრადიციული დამოკიდებულება — დიალექტური სპეციფიკის შენარჩუნების „ერთგულების“ პრინციპით ტექსტის ენათმეცნიერული „ჩასწორება“ და „დიალექტური ნორმის“ მიხედვით უნიფიცირება. ჩვენ ვამზადებთ

მაგნიტური ჩანაწერის აბსოლუტურად იდენტურ (რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევს ფირის ხარისხი) განაშიფრს. ამიტომ ამ ტექსტების მიხედვით შესაძლოა შევისწავლოთ არა მხოლოდ სპეციფიკური ენობრივი მოვლენები, არამედ დინამიკაში დავაკვირდეთ სხვადასხვა სამეტყველო კოდის თანაარსებობისა და ურთიერთგავლენის, ენობრივი „რეინტეგრაციის“ საინტერესო პროცესებს.

ახალი ტექსტური კოლექცია, რომელიც ამ წიგნზე მუშაობის დროს შევქმენით, საუკეთესო საშუალება გახლავთ 20-25 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების შესასწავლად, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, მასალა ზოგჯერ ერთი და იმავე პირისგანაც კი გვაქვს მოპოვებული. ენობრივი პროცესების ვრცელ მასალაზე ასეთი „მონიტორინგის“ უპრეცედენტო საშუალებას იძლევა სწორედ „კორპუსის ლინგვისტიკა“, რომელზეც მოგახსენებდით და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვასილ აბაშვილის მიერ მოპოვებული ტექსტები ფასდაუდებელი განძია ასეთი კვლევისთვის.

მაგრამ ეს მაინც ერთი მხარეა ამ მასალის უნიკალობისა.

ისევ ჩვენი პროექტის ფარგლებში „დაიბადა“ იდეა, გვექცია დიალექტური ტექსტი სერიოზულ და სანდო ისტორიულ წყაროდ. ფაქტობრივად, ჩვენი კორპუსი XX საუკუნის საქართველოს ისტორიისა და კულტურის „ხალხურ ენციკლოპედიად“ ან „ხალხურ ქრესტომათიად“ შეიძლება განვიხილოთ.

ეს ტექსტები მიუყვებოდნენ ჩაწერილი ზეპირი ისტორიები.

ზეპირი ისტორიის, როგორც მოვლენათა დოკუმენტირების წყაროს, მნიშვნელობა ყველა დროში მაღალი იყო. ის ყოველთვის აქტუალური იყო, როგორც თაობათა შორის კულტურული კავშირის აუცილებელი ფორმა. ჩვენი ისტორია იცნობს „მოწაფეთა და მოწაფეთა მოწაფეთაგან“ აღწერილ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთებს ერის კულტურული და სულიერი ცხოვრებისას. თაობათა შორის კულტურული კავშირის უზრუნველყოფა და „კომუნიკაციური მენსიერების“ შენება „ზეპირი ისტორიების“ უნივერსალური ფუნქციაა და ერთნაირად არის დამახასიათებელი ყველა ერისთვის.

XX საუკუნემ ეს მიმართულება მეცნიერების ახალ დარგად აქცია. მას ზოგჯერ „ცოცხალ ისტორიასაც“ უწოდებენ. მიიჩნევენ, რომ დოკუმენტირების ეს ფორმა ისტორიული სინამდვილის დადგენისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

ჩვენს მასალას დამატებით სანდოობის „მანდატს“ ანიჭებს ის, რომ ეს ტექსტები არ არის მიზნობრივად ამა თუ იმ საკითხზე ინ-

ფორმაციის მოსაპოვებლად შეკრებილი. ძირითადად ეს არის იმ ადამიანთა ცხოვრების ფურცლები, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი, რაიმე კუთხით „შეალამაზონ“ ან შეცვალონ რეალური ფაქტები.

ამ მხრივაც ფასდაუდებელია ვასილ აბაშვილის ტექსტები.

საინგილოს ბევრი აქვს მოსათხრობი თავის ცხოვრებაზე, ყოფაზე... აქ ჭერ კიდევ შეხვდებით იმ ადამიანებს, რომელთა მეხსიერებამაც შემოინახა გასული საუკუნის თითქმის ყველა ისტორიული მოვლენა. მათ მონათხრობში მოჩანს კუთხის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ყველა მხარე. ეს გახლავთ XX საუკუნის საინგილოს ცხოვრება — ადამიანების პირადი ცხოვრება და ბედი კუთხისა და ქვეყნის ისტორიულ მოვლენათა ფონზე. ამ ისტორიებში იკვეთება ე.წ. „ვასტანიას“ — საუკუნის 30-იანი წლების ამბოხების, კოლექტივიზაციის, II მსოფლიო ომის, საბჭოთა „ინტერნაციონალიზმის“ მშენებლობის, საკოლმეურნეო ცხოვრების, ერთა შორის ურთიერთობის, დედა საქართველოსთან კონტაქტების, ოჯახური ცხოვრების, რელიგიური ყოფის... ამსახველი დეტალები. ამ ისტორიებმა შემოინახეს კუთხის ყველაზე ცნობილი ადამიანების სახელები: მირზა ღღელი, ფათა ბიზაძე, ივან ბაბაძე...

ტექსტების გამოცემისას ვიყენებთ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილ დიაკრიტიკულ ნიშნებს.

უმლაუტის გადმოტანისას ძნელი იყო სრული დელაბიალიზაციის შემთხვევების გადმოცემა. ხშირად ვკამათობდით, რა გადმოგვეტანათ თუ ე, თუ ი (რადან / ვერადან; ყმაწულ / ყმაწილ). უმლაუტის პროცესის გაგრძელება და შედეგად სრული დელაბიალიზაცია ინგილოურში გამოხატული ფაქტია და დაინტერესებულ მკვლევარს ამ მოვლენის უკვე ექსპერიმენტული კვლევის საშუალება ხმოვანი მასალის მოშველიებით შეეძლება.

ინგილოურისთვის საკმაოდ აქტუალური აღმოჩნდა ხმოვანთა ექსპრესიული სიგრძე. მასალა იმდენად საინტერესო გახლდათ ამ მხრივ, რომ ერთი პირობა, ვაპირებდით სათანადოდ აგვესახა ეს მოვლენა ტექსტების გამოცემისას. საკმაოდ შრომატევადი სამუშაოც გავწიეთ ამ მხრივ, მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტეთ, რომ ეს პრობლემა უპრიანია „კორპუსული“ კვლევის ფარგლებში იქნას შესწავლილი და აღარ დავარღვიეთ დიალექტური ტექსტების გამოცემის ძველი ტრადიცია. კორპუსში, სადაც პარალელურად იქნება შესაძლებელი ტექსტის ნაბეჭდი და ხმოვანი ვერსიის შესწავლა, შესაძლებელი იქნება სათანადო (პროსოდიული) ანოტირების შემდეგ შესწავლილ იქნეს ეს საკითხიც.

და კავშირისა და „და“ ნაწილაკის ადვილად გასარჩევად ამ უკანასკნელს წარმოვადგენთ ორი - ა ხმოვნით, იმ შემთხვევებშიც, როცა ხმოვანი არ გრძელდება და ერთი - ა ისმის.

ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევაში (მოკმ. და ვით ბრუნვის თანხმოვნითი ნაწილის, „ც“ ნაწილაკის) ფრჩხილებში ვწერთ დაკარგულ თანხმოვანს: კაცი(ც). ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ დარჩენილი ხმოვანი გრძელდება, მაგრამ ჩვენ ამ სიგრძეს ტექსტში არ აღვნიშნავთ (არ აღვადგენთ მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების - ს ნიშანს).

მეშველი ზმნის ნაშთი ხმოვნის დაკარგვისას ბოლოკიდურ ხმოვანს ტრადიციულად მახვილით აღვნიშნავენ და ჩვენც ამ წესს ვატარებთ ჩვენს ტექსტებში.

დაკარგული პირის ნიშნის ჰ-ს საკომპენსაციო სიგრძე, ტრადიციისამებრ, ორი ხმოვნით გვაქვს გადმოცემული.

ზოგჯერ ხმოვნის დაგრძელებას ინტონაციური ღირებულება აქვს, ზუსტად ისეთი, როგორიც ემფატიკური ხმოვნის ქონა-არქონას: აარ (არა) — არ; რაამ (რამე) — რამ. ჩვენ ვეცადეთ, ზუსტად გადმოგვეცა ასეთი შემთხვევებიც.

ყველაზე დიდი სირთულე ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას იყო ჰ და ე ბგერების ზუსტი გადმოტანა მაგნიტური მატარებლიდან. საქმე ის გახლავთ, რომ მათი პოზიციები ერთგვარად შერყეულია. ჩვენ მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ პარალელურად დამოწმებული (ჰ-ს და ე-ს გარეშე წარმოდგენილი) შემთხვევების დაფიქსირება (ჰუთჰომ//უთჰომ, დაეჰირა...). შესაძლოა, ჩვენი დაკვირვება ყოველთვის ზუსტი არ იყოს, მაგრამ სპეციალურად ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს საშუალება ექნება ჩვენს კორპუსში განთავსებული სათანადო ხმოვანი ჩანაწერით გადაამოწმოს მისთვის საინტერესო ფორმები.

ტექსტები წარმოდგენილია მთქმელების ვინაობის, ასაკის, განათლების, ჩაწერის ადგილისა და დროის მითითებით. ტექსტების ნაწილი დასათაურებულია (ხშირად ეს სათაურები თვით მთქმელებს ეკუთვნით). ციტირებისა და მითითების გასაადვილებლად ტექსტები დანაწევრებულია თხრობის ნაკადის შესაბამისად, თემების მიხედვით და დანომრილია.

გამოკვლევა, რომელიც ერთვის ტექსტურ მასალას, ვასილ აბაშვილის საკანდიდატო დისერტაციის მიხედვითაა შედგენილი. საკვალეფიკაციო ნაშრომის პირდაპირ წიგნად გამოქვეყნება მაშინ, მოგვხსენებათ, მიღებული არ გახლდათ. ითვლებოდა, რომ პუბლიკაციამდე

კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. რასაკვირველია, ვასილ აბაშვილიც გეგმავდა ნაშრომის საფუძვლიან გადამუშავებას, შევსებას. ავტორი საინგილოდან იყო და კარგად ფლობდა ამ დიალექტს. გარდა ამისა, კარგად იცნობდა სამეცნიერო ლიტერატურას. ნაშრომი საყურადღებოა მრავალი ასპექტით. მასში ძირითადად განხილულია ის საკითხები, რაც, ავტორის თვალსაზრისით, აკლდა წინა გამოკვლევებს, ან რომელთა შეფასებასაც ის არ ეთანხმებოდა. ყველაზე მნიშვნელოვნად ამ ნაშრომში გვესახება იმ მოვლენების საკუთრივ ქართული ენის ბუნებაზე დაყრდნობით ახსნა, რომელთაც სხვა მკვლევარები უცხო ენის გავლენად მიიჩნევდნენ (თხოვნითი ბრძანებითის წარმოება, მეშველზმნიან ფორმათა ჩამოყალიბება და ა. შ.).

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტები გადმოტანილია ზედმიწევნითი სიზუსტით. შენარჩუნებულია დაუმთავრებელი წინადადებები, გაწყვეტილი, წარმოუთქმელი სიტყვები. ფიქსირებულია ის ადგილებიც, რომელთა გაშიფვრა არ მოხერხდა. ყველა ასეთი ადგილი გადმოტანილია მრავალწერტილით (...).

ტექსტებში უცვლელად არის გადმოტანილი ვასილ აბაშვილის კითხვები და რეპლიკები, რესპონდენტებთან საუბრის მონაკვეთები (დაბეჭდილია დაბრილი შრიფტით).

აი, თითქოს ყველაფერი ვთქვი. იმედი მაქვს, რომ ის, რაც ამ წიგნს დავაკელი, ვერ დაამცრობს მის ინფორმაციულ ღირსებას და ვასილ აბაშვილის მიერ მოპოვებული მასალა დაიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს სამეცნიერო სივრცეში.

მანამდე კი, უკანასკნელად გადავიკითხავ ჩემთვის უკვე ახლობლად ქვეული ადამიანების ისტორიებს.

დროა დავამთავრო ეს უცნაური მოგზაურობა დროში, ეს უცნაური დიალოგი გარდაცვლილ კოლეგასთან, მეგობართან!

ძნელია შესაფერისი სიტყვების მონახვა. ამ განცდას ყველაზე მეტად მაინც ეს უხდება — წყვილად ნათქვამი:

გამარჯობა და ნახვამდის!

მარინე ბერიძე

თბილისი, 21.04. 2009 წ.

თავი I. ხმოვანთა სისტემა ინგილოურში

§1. **ირაციონალური გ ხმოვანი.** ინგილოურში, სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, ფიქსირებულია ირაციონალური ხმოვანი გ, რომელიც ა, ი, ო, ე ხმოვნების ალოფონია და ძირითადად რთული შედგენილობის ზმნისწინებში გვხვდება: (ა) ჩმოგ || ჩგმოგ (← ჩამო-დი), შმოგ || შგმოგ (← შამოდი „შემოდი“), გდმოგ || გგდმოგ (← გადმოდი), გპმოგ || გგპმოგ (← გამოდი), გპმოგ (← ამო).

როგორც ვხედავთ, ირაციონალური გ რთულ ზმნისწინებში ა-ს დასუსტების შედეგია. ზოგჯერ აღნიშნული ხმოვნები (ა, ე, ი, ო) იმდენად სუსტდებიან, რომ ხშირად ქრებიან კიდევ. ე. ი. ხმოვნების რედუქციის შედეგად მიღებული გ თავისუფლად მონაცვლეობს ო-თან; მაგ.: ეგრის იმან გგდასულიყო (18, გვ. 190). გგდმოველ თალის ზედათი; ყარფუხ მაჰკრელა დანაჲ გგპომღ, გოჟს; დანაჲ დაჲკარგა (18, გვ. 190). მოჰვან, ფრტ დოვთეს, ჩგპრველ (18, გვ. 190). სასტულევს ცოტა გპოყბიევაჲ უნდ (50).

ზოგჯერ გ საერთოდ შეიძლება დაიკარგოს: გდასულიყო, გპომღ, გდრველ, ჩპრველ... (გარდა გპო (← ამო) ზმნისწინისა, სადაც გ-ს დაკარგვა გამოიწვევდა დამთხვევას მო- ზმნისწინთან (107, გვ. 354). (შდრ. გპოთქმაჲ „ამოთქმა“, გპოსხმაჲ „ამოსხმა“).

(ბ) გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გ-ს ვილებთ -ში და -ზე თანდებულის -ი და -ე ხმოვნების რედუქციის შედეგად: კარზ || კარზგ (← კარზე), კარშ || კარშგ (← კარში) (107, გვ. 349); მაგ.: პატრა გადაჲ (=ბიჰი) კარშგ გაჲს. რაშგ გინდაჲა ჩონ თავ (18, გვ. 146).

(გ) უფრო იშვიათად გ გვეძლევა ო ხმოვნის დავიწროების შედეგადაც:

1. ორღებემდინ გააცილა (18, გვ. 83).

შდრ. ლამეს ორღობეში ატარევეს (71).

2. მემონი თავი კიდგზნებ ნაქნარ ადგილში შოჟდა (18, გვ. 188).

შდრ. რაჲ იქნა აჲ კიდობანი? (ალიაბ.).

§2. **უძლასუტიანი ხმოვნები.** სალიტერატურო ქართულისა და დიალექტთა ერთი ნაწილისაგან განსხვავებით ინგილოური დიალექ-

ტის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს უმლაუტიანი ხმოვნები.

უმლაუტიანი ხმოვნები ბუნებრივია ქართველური ენებიდან სვანურისათვის (77, გვ. 171-227), ხოლო დიალექტებიდან ახასიათებს მოხეურს (107, გვ. 264), ფერეიდნულს (85, გვ. 203) და ჭავჭავურს (5, გვ. 22).

ინგილოურში უმლაუტიზებული ო და უ ხმოვნები გვხვდება როგორც აზერბაიჯანულიდან ნასესხებ, ასევე ზოგ ქართულ სიტყვაშიც.

1. აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებში:

ქულფათ (წვრილშვილი), **აჟქ** (საპალნე, ტვირთი), **გულგაზ** (ცხვირსახოცი), **ქუთ** (ჩლუნგი, უნიჰო, უხელო...), **გუმუშ** (ვერცხლი), **ბუთუმ** (← ბუთუნ „ყველა“), **გუჟ** (ძალა, ღონე, ენერგია), **დუმამა** (ღილი), **დუმან** (მტერი), **ლუთუ** (ლატაკი), **ჟჩტუმაშ** (ტანსაცმელი), **სურუმ** (ჯოგი), **დუნუამ** (ქვეყანა, მსოფლიო); **დრმაგ** (ლეიბი), **ბრამ** (შხამიანი მწერი), **დრთუან** (გარშემო, ირგვლივ, ოთხივე მხარეს), **გრამ** (ცა), **გრამან** || **გრამან** (ლურჯი მდელო), **დრშულ** (ტანსათბურა), **მრჰკამა** (მაგრად, ძლიერად), **მრლათ** (ვადა, შესაძლებლობა), **ნრჰარ** (მოჯამაგირე), **რლჰამ** (ქვეყანა, მხარე), **რრდაგ** (იხვი), **რრუშ** (სადოვარი), **რგამ** (გერი, არღვიძლი), **რრთალ** (სანახევრო) და სხვ.

2. სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებულ ქართულ სიტყვებში:

ა) უმლაუტიზაცია ხდება ძირის ფარგლებში, როცა ძველი ქართულის წყვილბაგისმიერ უ-ს და კბილბაგისმიერ ვ-ს მოსდევს ე ან ი ხმოვანი, სადაც **უე** || **უი** კომპლექსების ადგილს იკავებს ო და უ უმლაუტები. **უე** || **უი** კომპლექსი გადადის ო-ში, ხოლო **უი** || **ვი** — უ-ში (ამიტომაც, **უე** და **უი** დიფთონგები იშვიათია ინგილოურში; მაგ.: **უე** || **ვე** → **ო**: გუელი → **გოლ**, გუერდი → **გორდ** შუელი → **შოლ**: ღუელი → **ღოდ**, წუერი → **წორ**, თუე → **თომ**, თქუენ → **თქონ**, ჩუენ → **ჩონ**, ძუელი → **ძოლ**, კუერციხი → **კორცხ**, ყველი → **ყოლ** და სხვ.

ბ) **უი** || **ვი** → **უ**: წვიამ || წუიამ → **წუამა**, შვიდი || შუიდი → **შუდ**, შვილი → **შულ**, ფკვილი → **ფქულ**, ადვილი → **ადულ**, წყვილი → **წყულ**...

ჟ-სა და ო-ს ვიღებთ მაშინაც, როცა /ი/ და /ე/ უშუალოდ არ მოსდევენ წყვილბაგისმიერ ჟ-ს. ინგილოურში წყვილბაგისმიერი ჟ-ს /ი/-სა და /ე/-ს წინ გადასმის შედეგად თავმოყრილი კომპლექსები გვაძლევს უმლაუტიან ხმოვნებს: გრჟუტ ← *გრჟიტი ← გურიტი, წრჟულ ← *წლუილი ← წულილი, კჟც ← *კიცი ← კიცუ, რჟცხ ← *რუიციხ ← რიციხუ, ზჟრკ ← *ძიერკ ← ძირკუ, ქრჟუგ ← *ქრუივი ← ქურივი, ვრჟლ ← *ვრუელი ← ვურელი, ვრჟტ ← *ვრუეტი, კნრჟაჲ ← *კნრუესა ← კუნრესა, კნრჟტაჲ ← *კნრუეტა ← კუნრეტა, ფრჟტ ← *ფრუეტი ← ფრეტუ, ფრჟს ← *ფრუესი ← ფრესუ, რჟქს ← *რუექსი ← ექუსი...

2. S₁-ის გ-ს გავლენით ხდება მომდევნო გვარისა და ქცევის ხმოვანთა ლაბიალიზაცია და უმლაუტიზაცია, თუ ეს ხმოვანი წინა წარმოებისაა: ვი > ჟი: ვიცი > ვჟცი > ჟცი, ვიქ > ვჟქ > ჟქ, ვიქიფე > ვჟქიჲფე > ჟქიჲფე, ვიცინი → ვჟცინ → ჟცჟინგარ, ვითვრები → ვჟთვრე > ჟთვრე > *ჟთრე > ჟთრგვარ...

ვე > ო: ვეძახი > ვოჯახ > ოჯახგარ, ვეჩვევი > ვოჩვე > ოჩვე > ოჩგვარ, ვეწვევი > ვოწვე > ოწვე > ოწგვარ...

S₁-ის ვ ფონემატური მიხეზით შეიძლება გადაჯდეს სიტყვის შიგნით და თუ, მას მოჰყვება ე ა ი ხმოვანი, მაშინაც გამოიწვევს მათ ლაბიალიზებას: ვხრი > *ხერი > *ხერჟი > ხრჟი, ვცვლი > *ცვლი > უცვლჟი > ცლჟვარ, ხოლო ვე > ო: ვხედავ > *ხვედავ > ხვრდავ > ხვრდაგვარ, ვჩეჩავ > *ჩეჩავ > *ჩვრჩავ > ჩვრჩავგარ, ვგრეხავ > *გრეხავ > *გრვრხავ > გრვრხავგარ, ვვლეჩავ > *ვვლეჩავ > *ვვლვრეჩავ > ვვლვრეჩავგარ, ვვლეტავ > *ვვლეტავ > *ვვლვრეტავ > ვვლვრეტავგარ (შდრ. თუშური ჩვეჩავ „ჩეჩავ“ და ყვიდი „ყვიდი“ — ა. შანიძე) და სხვ.

ვ (||ჟ)-ს მიერ გალაბიალებულ (უმლაუტიზებულ) ხმოვანს უნარი აქვს დაიმსგავსოს რეგრესული ან პროგრესული გზით წინამავალი ან მომდევნო ხმოვანი.

ო იმსგავსებს წინამავალ ო-ს და აქცევს მას ო-დ: მოწოწოწო ← *მოწოწოწო ← მოწოწერი, მოგოგოგოგო ← *მოგოგოგოგო ← მოგოგოგოგო; ო იმსგავსებს მომდევნო მარცვლის ე-ს: გუელები → *გუოლღე >

გწლრვ, გუერდები → *გუორღევ → გორღრვ... ო იმსგავსებს პრე-
ვერბის ა-ს და აქცევს მას ო-დ: შრგრკრა ← *შაგვრკრა ← შაგვეკ-
რა, წრგრლა ← *წაგვრლა ← წაგველა... ო-ს შეუძლია გამოიწვიოს
მისი წინამავალი ო-ს ლაბიალიზაცია: უწნქრლაღ ← *უწინქვრლაღ ←
ღვ. ქართ. ჭინჭელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია საურთიერთო ასიმილა-
ციის შემთხვევებიც. ასეთ მაგალითებად მიჩნეულია „რზრ“,
„მზრზბელ“, „გზრზბი“, სადაც ე-ს მიერ პალატალიზებული ო(რ)
პირუკუ ახდენს გავლენას ე-ზე და ალაბიალებს მას; რზრშ (←
ეზრში ← ეზოში), მზრზბელ ← მეზრზბელ, გზრზბი ← გენდრზბი
← გენდოზბი (20, გვ. 174).

ჩვენი ვარაუდით, „რზრ“, „მზრზბრლ“ ფორმებს შესაძლებელია
განვითარების ასეთი გზა ჰქონდეთ გავლილი: ეზო — მე-ეზო-ე (ვ-ს
ჩართვით) > მეეზოვე > *მეეზოვრზ > მეეზოვრზ > მეეზ(ო)რზ > მე-
რზრზ, მე-ეზოელი (ვ-ს ჩავარდნით) > მეზოველი > მეზოზბელ > მე-
ზოზბრლ > მეზრზბრლ > მზრზბრლ; ეს უკანასკნელი შესაძლებელია
ლაბიალური ბ-ს გავლენით ეაზ-დ; შდრ. ლაბიალური თანხმოვნების
მიერ მომდევნო ხმოვნების ლაბიალიზება: ბელტი > ბოლტი, იბამს >
იბოამს, ფარცხი > ფორცხი... წინამავალი ხმოვნის ლაბიალიზაციისა
და უმლაუტიზაციის უნარი აქვს სხვა ლაბიალურ თანხმოვნებსაც,
მაგ.: ჰუზბაჰ ← ჰუზბაჰ ← ჰიზბაჰ; შდრ. ქიზიყ. ჰუპაჰი „მოუსვენარი,
თავზადაკარგული“; სუფათ (აზერბ. სიფათ „სახე“), ჰუფათა
(აზერბ. გუფათა „უძელო ხორცი“).

ე ხმოვნის ლაბიალიზების უნარი აქვს მომდევნო ვ-საც. ასეთ შე-
მთხვევაში ვ შენარჩუნებულია: *ბევრი > ბრვრ, თევზი > თრვზ, ქევ-
რი > ქრვრ, გენდოზბი > გენდრვზ > გზრზრვივარ.

უ იმსგავსებს (ალაბიალებს) მომდევნო მარცვლის ო-ს და აქცევს
მას უ-დ (სადაც პროგრესული ასიმილაცია ვითარდება ჯაჰვერად):
ვიცინით > ვუცუნით > უცუნით > უცუნუვართ, *კუირიაღ >
*კუურიაღ > კ(უ)ურუაღ; უ იმსგავსებს მომდევნო მარცვლის ო-ს
და აქცევს მას ო-დ: ღვროღ || ღუინოღ > *ღუუნოღ > ღ(უ)უნრღ და
სხვ.

მაგრამ უე და ვე კომპლექსი ყოველთვის არ გადადის ო-ში. არის

შემთხვევები, სადაც ეს წესი დარღვეულია:

ა) კბილბაგისმიერი ვ+ე არ გადადის ო-ში: მმართველი > მართველ, პირველი > პირველ, უცოდველი > უცოდველ, ფრინველი > ფრინველ || ფრუწველ; აღნიშნულ ფორმებში ვე-ს ო -ში გადასვლას ხელი შეუშალა -ელ სუფიქსის მორფოლოგიურმა დატვირთვამ; არსებობს ვარაუდიც, რომ პირველ, ფრინველ და მსგავსი ფორმები ინგლოურში მეორეულია.

ძველი ქართულის უმარცვლო უ+აუ. მაგ.: -თუნ (შენთუნ), თუ-თან (18, გვ. 25)... და გ+ე+უ: ქართველი > ქართულ; ეს უკანასკნელი ინგლოურში ორი მნიშვნელობით იხმარება: ქართულ I. „ქართველი“; 2. „ქართული“.

ბ) თანხმოვნების შემდეგ მოქცეული უე კომპლექსი ყოველთვის არ გადადის ო-ში; მაგ.: ტიტულელ ფორმაში შემავალი უე გადადის ო-ში (ტიტოლაჲ), მაგრამ შიშუელ ფორმაში შემავალი უე არ გვაძლევს ო-ს, გვექნება შიშუელ და არა შიშოლაჲ. ხოლო ნეიტრალური ძირიდან, საიდანაც აქტივი იწარმოება, ორივე ფორმაში დასტურდება უმლაუტიანი ხმოვნები: ა-ტუტლ-ოგ-ს — გატუტლ(ლ)და, ა-შუშლ-ოგ-ს — გა-შუშლდა > გაშუშლ(ლ)და.

ამგვარად, უო, უე და ვე კომპლექსები ყოველთვის არ გვაძლევენ უმლაუტიან ხმოვნებს.

ანალოგიური ვითარება გვაქვს უა||ვა კომპლექსების შემთხვევაში; არაყოველთვის უა||ვა გვაძლევს ო-ს.

ვა(უა) კომპლექსის ო-დ ქცევის წინაპირობად მიჩნეულია ვ-ს ფონეტიკური თავისებურება, მისი მისწრაფება წყვილბაგისმიერობისაკენ.

მართალია, ინგლოურში კბილბაგისმიერი ვ ჩვეულებრივ წყვილბაგისმიერდება, მაგრამ ეს გაწყვილბაგისმიერებული ვ+ა ყოველთვის ო-ს არ გვაძლევს: ხვალ > ინგილ. ხუალ, რვა > ინგილ. რუაჲ, ქვა > ინგილ. ქუაჲ (18, გვ. 24).

ანალოგიური მაგალითები დადასტურებულია ფერეიდნულშიც. ვა კომპლექსის გვერდით გვაქვს უა კომპლექსი (უ მახვილიანი + ა) „...მახვილიანი უ-ნი+ა უცვლელი რჩება, ო-ნად არ გადადის, მახვილის ტარების პოტენცია სიმპტომია იმისა, რომ უ-ნი წარმოადგენს სრულ ხმოვანს, რომელიც მარცვალს ქმნის; ფაქტია, რომ მარცვალქონე უ-

ნი+ა ო-ნად არ გადადის, არკვევს (ჩვენის აზრით) იმ უ-ნის (ბრჯგუს) ბუნებას, რომელსაც + ა-ნი გვაძლევს ო-ნს; ცხადია, ის მახვილის ტარების შემძლე არ უნდა ყოფილიყო. მას მარცვლის შედგენა არ შეეძლო — იგი უმარცვლო იყო“ (86, გვ. 73).

ანალოგიურ მასალაზე დაყრდნობით გრ. იმნაიშვილი იზიარებს არნ. ჩიქობავას დებულებას და აღნიშნავს, რომ „როცა მახვილი ეცემა გაწყვილბაგისმიერებულ ვ-ს, მაშინ ის იძენს სრულხმოვნებას და არ უერთდება ა-ს ო-ში გადასასვლელად. თუ მახვილი მოუდის ა ხმოვანს, მაშინ ხშირად გაწყვილბაგისმიერებული ვ რჩება უმარცვლო უ-დვე (ზოგჯერ შეიძლება კბილბაგისმიერი ვ არც გაწყვილბაგისმიერდეს და დარჩეს პირვანდელ მდგომარეობაში“ (18, გვ. 24).

„პირველიც და მეორეც გატარებულია მასდარში: **მოკლუამ, დაცუამ**.

ასეთივე ვითარება გვაქვს **ქვამ, რვამ და ხვალ** (завтра) სიტყვებში, რომლებშიც ძველ ქართულში ვ იყო; მაგ.: **ქუამ || ქუვამ, რუამ || რვამ** (რვამეტ), **ხუალ || ხუვალ**“ (18, გვ. 24).

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, **უა||ვა** კომპლექსის შემთხვევაში, ო-დ ქცევის წინაპირობად მიჩნეულია ვ-ს წყვილბაგისმიერობისაკენ მისწრაფება. **უა||ვა-ს ო-ში** გადაუსვლელობის მიზეზად ასახელებენ მახვილის გავლენას, რომლის დაცემის შემდეგ უ წარმოადგენს სრულ ხმოვანს, რომელიც მარცვალს ქმნის, ხოლო სრულხმოვანი არ უერთდება მომდევნო ა-ს და არ იქცევა ო-დ (ა. ჩიქობავა, გ. იმნაიშვილი). მაგრამ ისეთი მოვლენების, როგორიცაა **ძუალი** → **ზოლ**, **თუალი** → **თოლ**... ანალიზი სინტაგმატური ვითარების მიხედვით მიუღებელს ხდის აღნიშნულ დებულებას. ამოსავალ ვეულ ფორმაში ამ თეორიის მიხედვით მოსალოდნელი იყო **უწულ**, მაგრამ დიალექტში მის ადგილას გვაქვს **უწლ**.

ქუამ, რუამ ფორმებში მახვილის გადაწევა თავკიდურ მარცვალზე მომხდარა **ჟ > უ** პროცესის შემდეგ. ასე რომ, მახვილს კი არ უქცევია **ჟ** ხმოვნად, არამედ ხმოვნად ქცეულ უ-ს მოუთხოვია მახვილი.

საყურადღებოა, რომ **სიტყუამ, სესხუამ, ტირუამ** ტიპის ფორმებში, სადაც ჟ-ს მომდევნო ა უმახვილოა, ყოველთვის არ ხდება ჟა → ო პროცესი; მაგრამ **სეტყუამ** ფორმაში გვაქვს ჟა → ო: **სეტყომ**

|| სტყმა (71).

კალკე აღსანიშნავია **გა** → **უ**: დიაკვანი > **დეგაკუნ**, გადმოიყვანა > **გადმოყუნა** || **გგდმაყუნა** || **გდმაყუნა**; მასდარია გადმოყუნამ (51, გვ. 281).

გამონაკლისები: გამონაკლისის სახით თანხმოვნების შემდეგ ინგილოურში **გა** არ გადადის **ო**-ში შემდეგ სიტყვებში: **იანვარ**, **ნაცვალ** (დედინაცვალ), სადაც ძველ ქართულშივე **გ** კბილბაგისმიერი იყო.

გა||უა>ო ახასიათებს ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებს — მოხეურს, ხევსურულს (ძული → მოხ. ძოლი). იშვიათად აღნიშნულ დიალექტებში შეიმჩნევა უკუპროცესით **ო** → **გა**; მაგ.: ხევს. **უვაჩი** (← ყოჩი), **დვალი** (← დოლი)... (4, გვ. 6).

ო → **გა** უკუპროცესი, როგორც ეს ახასიათებს იშვიათად მოხეურსა და ხევსურულს, ინგილოურისათვის არაა ნიშანდობლივი.

გა-საგან **ო**-ს მიღებას განიხილავენ როგორც ბგერათშერწყმას, მაგრამ აქ საქმე გაქვს ჯერ ხმოვნის ასიმილაციასთან ლაბიალობის მიხედვით: ლაბიალური **გ**-ს გავლენით **ა>ო**, შემდეგ ხდება **გ**-ს დისიმილაციური დაკარგვა ლაბიალიზებული ხმოვნების წინ. **ა** > **ო**-ს მიღების საფუძველზე იქმნება ენისათვის დაუშვებელი **გო** კომპლექსი (59, გვ. 16); (58, გვ. 91-95).

S₁-ის **გ**-ს გავლენით ხდება **ა**-ს ლაბიალიზება **ო**-დ: ვამბობ > **ვომბოვ** > **ომბოვვარ**, ვარჩევ > **ვორჩევ** > **ორჩევვარ**, ვაშრობ > **ვოშროვ** > **ოშროვვარ**, ვაკეთებ > **ვოკეთებ** > **ოკეთევარ**.

ფონეტიკური მიზეზით შეიძლება მოხდეს **S₁**-ის **გ** ნიშნის გადასმა სიტყვის შიგნით, **ა** ხმოვნის წინ და გამოიწვიოს მისი ლაბიალიზება **ო**-დ: ვქნათ > ***ქვნათ** > ***ქვნოთ** > **ქნოთ**, ვკამ > ***ქვამ** > ***ქვომ** > **კომვარ**...

თვით ამ ანალოგიის საფუძველზე ჩანს ინგილოურში ლაბიალური **ვ||ჟ**-ს ზეგავლენით მომდევნო (ი, ე) ხმოვნების ასიმილაცია ლაბიალობის მიხედვით **ე** > **ჲ**, **ი** > **ჟ**. შემდეგ კი ხდება მასიმილირებელი **ვ(ჟ)**-ს დაკარგვა უმლაუტიანი (ჲ, ჟ) ხმოვნების წინ ფონემატური სტრუქტურის გავლით როგორც მორფემათა ზღვარზე, ისე ერთი მორფემის ფარგლებში: ვიცინი > **ვჟცჟნ** > **ჟცჟნვარ**, ვიქ > **ვჟქ** > **ჟქ**: შეილი > ***შევლ** > **შლ**, ყველი > ***ყვლ** > **ყლ**, კუერცხი >

*კურცხი > კორცხ, წუიმა > წუჰმა > წუმა და სხვ.

სწორედ ლაბიალიზების პროცესის ასეთი განვითარება გვაპარაუ-
დებინებს: (1) ვე > ო და ვი > უ ცვლილებაში შეუალედურია ვო და
ვჰ კომპლექსები იმის გამო, რომ ვ ასატანია ლაბიალურ ხმოვანთა
მომდევნოდ, მაგრამ არ არის ბუნებრივი ლაბიალურ ხმოვანთა წინ:
ვო > ო, ვჰ > უ (თვით აზერბაიჯანულიდან შემოსულ სიტყვებში:
ვოჟათ > ოჟათ „ჯიუტი“, მუქქჰჰჰ > ვჰჰ > უჰ „საპალნე, ტვირთი“),
ხოლო ოვ უცვლელად რჩება ქვვრ ← ქევრი, აღოვა ← აღევა
(შდრ. ლაბიალური ხმოვნის ო-ს მომდევნოდ ვ: მაყოვლ ← მაყული,
წვალოვა ← წვალევა „წვალევა“);

(2) ერთი მორფემის ფარგლებში ორი უმლაუტიანი ხმოვიდან
ერთ-ერთი, უფრო სწორად, რიგით მეორე გამოითქმის ჰ-დ ან ე-დ;
მაგ.: ლოოლო > ლოოლო „სარეველა მცენარეებით დაფარული ად-
გილი“, მოოლო > მოოლო || მოოლო „ვადა“, სოოო > სოოო
„საუბარი“.

შეზღუდვა ხდება მხოლოდ მორფემათა ზღვარზე: უო და არა
ოჰ: ა) თემატური სუფიქსის -ებ/> -ევ დართვის შემთხვევაში: შე-
გროვება > შეგრევევა > შეგრევევა > შეგრევევა > შეგრევევა
> შეგრევევა, გათხვევა > გათხვევა > გათხვევა > გათხვევა
> გათხვევა > გათხვევა... აღნიშნულ მაგალითებში ჯერ ადგილი
აქვს ო-ს სრულ დამსგავსებას ვ-თი დაშორებულ ე-სთან, შემდეგ ვ-ს
გადანაცვლებას მისი წინამავალი ე-ს წინ, თავმოყრილი ე ხმოვნების
განმსგავსებას ი-დ (შეგრევევა), ვ-ს მიერ ი-ს გალაბილებას უ-დ
(შეგრევევა), შემდეგ ხდება მასიმილირებული ვ-ს დაკარგვა უმლაუ-
ტიზებული ხმოვნის წინ (შეგრევევა), ბ) მრავლობითის -ებ > -ევ
დართვის შემთხვევაში: ქუა-ქევი→ინგილ. ქუო... სუფიქსისეული ვ-
ს გავლენით ე > ო; წარმომქმნელი მაწარმოებლების — სა-ე და მე-
ე-ს დართვის შემთხვევაში: ორი-მე-ორ-ე → ინგილ. მოოოო, თივა-
სა-თივ-ე → საოოო, ასეთი ცვლილება, რა თქმა უნდა, ძირითად
წესზე გავლენას ვერ მოახდენს.

ვე > ო, ვი > უ ისე როგორც ვა > ო, მეორეული მოვლენაა. ვა >
ო საზოგადოდ გავრცელებული ყოფილა საშუალო საუკუნეთა ლიტე-
რატურულ ენაში (36, გვ. 104). სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით

ინგილოურისთვის უა || გა > უო || გა > ო უფრო დამახასიათებელი ჩანს.

ჲ-სა და ჳ-ს ქართული ენის დიალექტებსა (მოხეური, ფერეიდ-ნული, ჭავჭავური, ინგილოური) და სვანურში არსებობა გვაგვარაუდებინებს, რომ მათი წარმოქმნა განპირობებულია ენის შინაგანი პოტენციით.

ისმის კითხვა: უნდა მივიჩნიოთ თუ არა ჲ და ჳ ხმოვნები ფონემებად? როგორც აღვნიშნეთ, უმლაუტიანი ხმოვნები დიალექტში ფუნქციონირებენ, მაგრამ მათი ფონემებად ჩათვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მათ სიტყვათგანმასხვავებელი დანიშნულება ექნებოდა. დიალექტში ვხვდებით ისეთ ლექსემებსაც, რომელთა განსხვავებაც მხოლოდ უმლაუტის საშუალებით ხდება:

1) კურტი — „კვირტი“ და კურტ — „კრუხი“

ჭუგო კურტიან მატულ ყოფილა (71). მაგრამ ჩონმა კურტმა ორმოც ჭუჭულ გამაყონა (71).

2) ზოლ — „ძველი“ და ზოლ — „ძვალი“:

ზოლ შუნდ ერ-ორ წელს თუ შადნახ, თეთრდევის (71), მაგრამ ჩონ ზადლიბე ზოლევ მაჲლ (71).

3) წორ — წვერი და წორ|| წოორ — სწორი:

ცახი წორრვს ერთმერზე აწონონ (71). შდრ.: ე ხედ წორ ყოფილ.

4) წოლაჲ — „მაწონი“ და წოლაჲ — „დაწოლა“:

ერ კოკოპ წოლაჲ (71), ასმარცოლაჲ ზმევ დანაწოლ ოთალი კართან დგევის (71).

განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითები:

კურტ (კრუხი) აზერბაიჯანულიდან არის ნასესხები (71), ხოლო კურტ კვირტი-ისაგანაა მიღებული ფონეტიკური ცვლილების შედეგად.

ზოლ და ზოლ შესაბამისად ვა და ვე კომპლექსების ო-ში გადასვლის შედეგადაა მიღებული.

წორ-იც -ვე კომპლექსის ცვლილების შედეგია.

ასევე წველასაგანაა მიღებული წოლაჲ — მაწონი.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოთ მოყვანილ ფორმებში უმლაუტიანი ხმოვნების გაჩენა გვიანდელი მოვლენაა. მან მაშინ იჩინა თავი, როცა ნასესხები თუ ფონეტიკურად სახეცვლი-

ლი სიტყვები ბგერითი შედგენილობის მიხედვით დაემთხვენენ განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის სიტყვებს. მაშასადამე, ინგილოურში დაწყებულია **ჩ** და **ჭ** ხმოვნების ფონემიზაციის პროცესი და ისინი ზემოთ ჩამოთვლილ ლექსემებში სწორედ დამოუკიდებელ ფონემებად წარმოგვიდგებიან. მაგრამ, რადგანაც მსგავსი მაგალითები ძალზე ცოტაა, ჩვენ თავს ვიკავებთ, **ჩ** და **ჭ** ცალკე ფონემებად შევიტანოთ ინგილოურის ხმოვანთა სისტემაში. რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, უმლაუტიანი და უუმლაუტო ხმოვნები (ო, უ და ო, უ) მხოლოდ ფიზიკური მახასიათებლებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არა აქვთ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია და, ამდენად, ცალკე ფონემებად არ გამოიყოფა.

§3. ხინტაგმატური ანალიზი. სამეცნიერო ლიტერატურაში ხმოვნები დეტალურად არის განხილული როგორც არტიკულაციურ-ფიზიკური, ისე ფონემატური თვალსაზრისით. ფონემატური თვალსაზრისით მეცნიერთა აზრი სხვადასხვაობას არ იწვევს.

სამართლიანად შენიშნავს გ. მაქავარიანი ხმოვნებთან დაკავშირებით: „Две главные фонемы не могут находиться в непосредственном соседстве друг с другом, за исключением случаев, когда они относятся к разным морфемам“ (117, გვ. 4).

აქედან გამომდინარე, გ. მაქავარიანი უშვებს ხმოვანთა უშუალო მეზობლობის გამონაკლისებს, როდესაც ისინი სხვადასხვა მორფემას განეკუთვნებიან.

თ. უთურგაიძე ადგენს ხმოვანთა განაწილების წესს სიტყვის თავსა და ბოლოში: „... ხმოვანთა განაწილების ძირითადი მოდელი ამ პოზიციაში დახასიათდება შემდეგნაირად: ხმოვანი იკრძალება ხმოვნის გვერდით; დაშვებულია ხმოვნის რეალიზაცია თანხმოვანთა წინ და მომდევნოდ (გარდა **ოუ** ხმოვნებისა **ფ**-ს გვერდით)“ (59, გვ. 33) და ადგენს სტატისტიკურად: „თეორიულად მოსალოდნელი 50 შესაძლებლობიდან ქართულში სიტყვის თავკიდურად და ბოლოში რეალიზებულია ხმოვანთა 8 კომპლექსი: **ჩი**ა-, **ჩი**ე-, **ჩი**ო- და **-აო**#, **-ეო**#, **-ოა**#, **-ია**#, **უა**# — შესაძლებლობის 16%“ (59, გვ. 31; 60, გვ. 20).

ჩვენი კვლევის მიზანი არ არის ხმოვნების განხილვა არტიკულაციურ-ფიზიკური თვალსაზრისით. განვიხილავთ მხოლოდ ინგილოურ-

ში დადასტურებულ ხმოვანთა წყვილებს, მათ მონაცვლეობას როგორც მორფემათა ზღვარზე, ისე ძირეულ მორფემებში (სიტყვის თავსა, შუაში და აბსოლუტურ ბოლოში). ვეხებით ზოგ თავისებურებას, რომლებიც, ჩვენი აზრით, საჭიროებს დამატებით განხილვას.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ყველა რიგის (A, B, C) კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ.

კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხურია ერთ ხმოვანზე დასვლა. საამისო გზა სხვადასხვაგვარია: A რიგის კომპლექსი ამას აღწევს ასიმილაციის გზით (აუ → ოუ → უუ → უ̄ → უ), B რიგის კომპლექსი — დიფთონგიზაციის (resp. დისიმილაციის) გზით (უა → უა → ვა → ა), C რიგის კომპლექსი — შერწყმის გზით (აა → ა̄ → ა) (101, გვ. 33).

შ. ძიძიგური წარმოგვიდგენს შემდეგ თანმიმდევრობას:

A რიგში ღია ხმოვანს მოსდევს ვიწრო ხმოვანი;

B რიგში ვიწრო ხმოვანი წინ უსწრებს ღიას;

C რიგში დალაგებულია თანაბარი ღიაობისა და იდენტური ხმოვნები.

A რიგისათვის ავტორი ადგენს ასეთ წესს: ფართო + ვიწრო გვაქვს რეგრესული ასიმილაცია: „მომდევნო ვიწრო ხმოვანი ავიწროებს წინამავალ უფრო ფართო ხმოვანს“ (101, გვ. 20).

B რიგისათვის — ვიწრო + ფართო: „ადგილი აქვს ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროებას“ (101, გვ. 25).

C რიგისათვის: „იდენტური ხმოვნები ისწრაფვიან შერწყმისაკენ და ვიღებთ ჩერ გრძელ ხმოვანს, შემდეგ კი ერთ ხმოვანში გადაიზრდებიან (101, გვ. 29).

ინგილოურში მორფემათა ზღვარზე ორი პრეფიქსისეული ხმოვნის შეხვედრის შემთხვევაში იქმნება დიფთონგი, მაგ., ა+უ > აუ: შენა > აუშენა (|| ავშენა), აუღია > აუღი (|| ავღი), გაუყოფა > გაუყოფა (|| გავყოფა), გაუკეთა > გაუკეთა (გავკეთა), დაუძახა > დაუზახა (|| დავზახა), დაუგლეჯია > დაუგლეჯი (|| დავგლეჯი), წაუყვანია > წაუყონი (|| წავყონი), გაუგდიათ > გაუგდიაუ (|| გავგდიაუ)... ო+უ > ოუ: მოუთმენელი > მოუთმენელ, მოუტანა > მოუტანა (=მოგტანა)...

ა + ი გვაძლევს ომ-ს: მომტან, მომგონ... ომ-ს თავდაპირველი ფორმა ოვი (მოვიტანე, მოვიგონე), სადაც ინგილოურში დაკარგულია პირველი პირის ნიშანი ვ (ოვი > ოი > ომ), თავის მხრივ, პირველი პირის ნიშნის ვ-ს დაკარგვა გამოწვეულია ლაბიალური კომპლექსის მოშლით (ოვი > ოი); ეს უკანასკნელი ოი კომპლექსი გადავიდა ომ-ში, რაც გამოწვეულია ფონემატური სტრუქტურის მოთხოვნილებით. მეორე და მესამე პირში მო- მონაცვლეობს მა-სთან. პირველი პირის მო-ს ცვლილება მა-დ ხდება მორფოლოგიურ ნიადაგზე პირთა განსასხვავებლად (59, გვ. 21). თავის მხრივ, III პირის მა-(მატანა, მაგონა) ფორმა განსხვავდება II და III პირისაგან S₃ პირის ნიშნით ა-თ:

| | | | | |
|-----|----|--------|--------|-------------------------|
| I. | პ. | მომგონ | მომტან | მე |
| II | პ. | მაგონ | მატან | შენ |
| III | პ. | მაგონა | მატანა | იმან (II იმან ← აი მან) |

B რიგის თანმიმდევრობა ინგილოურში თითქმის არ დასტურდება.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: (ა) ინგილოური კილოს კაკურ თქმაში ხმოვანი + ი როგორც მორფემათა ზღვარზე, ისე ერთი მორფემის ფარგლებში და სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ქმნის დიფთონგს: გადცინა, ჩადლო, დამზინა, მაყონა, გამამცნო, გამზაბრეგ, აძლა, მეძდან (მოედანი), მეძმუნ || მაძმუნ... მ-ს ვხვდებით ხმოვანზე გათავებულ როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებთან სახელების ბოლოს: გივიმ, თამრომ, არაწიმ, გუგრაამ, ზემ, თორემ, ბუდეამ, ვინიმ, თაზიმ, ზრომ, ფარჩამ („ქსოვილი“), დევაამ („აქლემი“), ფაჩამ, ღუნწომ, ქუამ, რუამ... აქ იგი სახელობითი ბრუნვის -მ (← ი) სუფიქსის ალოფონია. ასევე დამავალი დიფთონგი იქმნება ნათ. და მოქმ. ბრუნვებშიც, სადაც ბრუნვისნიშნისეული ხმოვანი არა მარტო ვერ იწვევს ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის რედუქციას, არამედ თვითონვე ვიწროვდება და გადადის მ-ში.

ახლა განვიხილავთ ერთი მორფემის ფარგლებში ხმოვანთა უშუალო თანმიმდევრობას:

1. ერთი მორფემის ფარგლებში აუ და ეუ ხმოვანთა კომპლექსები ქმნიან დიფთონგებს: შაური > შაურ, ყარაულ > ყარაულ (|| ყარაულ), გოზაური > გოზაურ (|| გოზავრ); შდრ. ქიზიყ. გოზაური „ღვინის-არაყის კურკელი“ (40); აბეური > აბეურ (|| აბჷვრ). დიფთონგიზაციის პროცესი გამოწვეულია ფონემატური სტრუქტურის მოდელთან შეუთავსებელი არაბუნებრივი კომბინაციით (ხმოვანი + ხმოვანი — VV).

2. ხმოვანთა უშუალო მეზობლობა აცილებულია თანხმოვანთა ჩართვით: მტყუანი > ტყუვან, მყაუნა > ჟავანაჲ || ჟევანაჲ, შუა > შუვამ, ძუა > ზუვამ, ყუა > ყუვამ, დიაკვანი > დევაკუნ, ჳვარი > ჟუვარ, შხუილი > შხუვილ, ყმუილი > ყმუვილ, დუად > დუვად („ქვების თავსახურავი“); შდრ. კახური (ინტერვოკალურ პოზიციაში ვ-ს ჩართვა): ბუვი, ცრუვი, ყრუვი, რუვი (39, გვ. 68).

ჩართულია გ: ნიორი > ნიგორ, ლაგან (აზერბ. ლმან „სპილენძის ტაშტი“) და სხვ.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ხმოვანთა უა, ია, უი, აო, იო კომპლექსების უშუალო თანმიმდევრობა დაძლეულია თანხმოვანთა ჩართვით.

3. ხმოვანთა ფონემატური მოდელის გავლით სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მორფემათა ზღვარზე ხმოვანი + წოდებითის ნიშანი -ო და სხვათა სიტყვისეული ნაწილაკი -ო გადადის ვ-ში (ეს უკანასკნელი ახასიათებს მხოლოდ ინგილოური კილოს კაკურ კილოკავს, ხოლო ალიაბათურ კილოკავში გვხვდება -ო); მაგ.: ზმავ, დავ, დედავ, ტაიავ, ჰეზნავ, ბიზავ; წოვდავ, უნდავ, სსომავ, კაცოვ, მეავ; კიავ, ნაჩუქარივ, წყალივ, თოვლივ...

4. შედგენილ შემასმენელსა და კითხვით ფორმებში ორივე ხმოვანი ინარჩუნებს გრამატიკულ ფუნქციას (59, გვ. 14): კაცოავ, ქალიავ, გერიავ, დოსტიავ, შჷლიავ, ხაბარიავ... ხოლო ფუძეხმოვნიან სახელებზე მეშველიზმნისეული (არს || არის) სუფიქსის დართვისას წარმოიქმნება დიფთონგი: ზროხავს („ძროხა არის“), საჭიროავს („საჭირო არის“), ყრუავს („ყრუ არის“), თინავს („თინა არის“), იორდა-

* მართალია, ასეთი ფორმები გვხვდება, მაგრამ წოდებითის ნიშნად ვ-ს გამოყენება ინგილოურში იშვიათია. იხ წოდებითი ბრუნვა.

ნამს („იორდანა არის“)... ფუძეთანხმონიან სახელებთან კი დიდფთონგის თავიდან აცილების მიზნით იკარგება შედგენილი შემასმენელის - ა (← არის || არს); მაგ.: **დათი კოლი** („დათვის კვალია“), **ჩონ კაცი** („ჩვენი კაცია, ჩვენი ქმარია“), **დიდ შული** („უფროსი შვილია“), **დიდ ვაშლი** („დიდი ვაშლია“), **მწობლი კამეჩი** („მეზობლის კამეჩია“), **ლაფ შური** („ძალიან ძვირია“) (18, გვ. 116; 21, გვ. 122).

უნდა შევნიშნოთ, რომ ინგილოურ კილოში ხმოვანთა უშუალო თანმიმდევრობა დასტურდება: (ა) მორფემათა ზღვარზე, როდესაც ერთ-ერთი ხმოვანი ძირეულ მორფემას განეკუთვნება, არ ხდება დიდფთონგიზაცია: ერთი — **ა-ერთევს**, ორი — **გაა-ორა**, ურემი — **მე-ურ-მემ**, ენა — **მო-ენემ**, ალაზანი — **ნა-ალაზნევ**, ჭლე — **ჭლეოგამ** („სიგამხდრე“). მაგრამ ლაბიალური კომპლექსი **ოჟ** შეიძლება დაიშალოს დისიმილაციის გზით; მაგ.: კინტოური > **კინტაჟურ**, ინდოური > **ინდაჟურ** (||**ჰ**) **ინდაჯრ**) და სხვ.

(ბ) თანხმონის დაკარგვით: **იმააც** (← იმასაც), **ლდეაც** (← ღღესაც), **ღამეაც** (← ღამესაც), **გააკეთეველ** (← გასაკეთებელი), **წაადეველ** (← წასადები), **ჩააყრელ** (← ჩასაყრელი), **შააგრუვეველ** (← მოსაგროვებელი), **შააყონელა** (← მოსაყვანად); **ჩონსააც** (← ჩვენსადაც), **კარგააც** (← კარგადაც), **ფინთააც** (← ფინთადაც)...

(გ) ორი სიტყვის (ფორმის) შეხორცებით მიღებული ხმოვანთა უშუალო თანმიმდევრობა დასტურდება როგორც საკუთრივ ქართულ, ისე აზერბაიჯანულიდან შემოსულ სიტყვებში; მაგ.: **მეუმ** (← მე უნ ← მე უნდა), **მეამ** (← მე ან), **საუმ** (← სად უნდა), **რაამ || რაუმ** (← რა უნ ← რა უნდა), **თუარ** (← თუ არა), **თუარდემ** (← თუ არადა), **იიქ** (← აი იქ), **ეეს** (← აეს ← ად+ეს ← აი ეს), **ეე** (← აე ← ადე ← ად + ეს ← აი ეს), **ეემამ** (← აი ამან), **აამი || აემი || ეემი** (← აი ამისი), **ჰეემიზანი** (← აი ამისაგან), **აემ** (← აი ეგ), **აგერ** (← აი ეგრე), **აესლა || ეესლა** (← აი ახლა), **აეს** (← აი ეს); **ალთი-აჩულ** (აზერბ. ალთი + აჩულ „უკედლო ნაგებობა“), **ნააჟამ** (აზერბ. ნა+აჯამ „რატომ“), **რაზიოგამ** (აზერბ. რაზი + ქართ. -ობა „თანხმობა“), **სხოთარ** (ქართ. სხვა + აზერბ. თაჰჰარ „სხვაგვარი, სხვანაირი“).

(დ) აზერბაიჯანული გზით შემოსულ სიტყვებში დადასტურებუ-

ლი ხმოვანთა კომპლექსები; მაგ.:

აა: ბაანამ || ბაჰანამ (აზერბ. ბჰჰან „მიზეზი, საბაბი“), დაავამ (აზერბ. დავა „ჩხუბი, ომი“), ნაარამამ (აზერბ. „სადღვებელი“), ფაამ (აზერბ. ფამ „გონება“), შაად (აზერბ. შაჰიდ „მოწმე“), ყააბამ || ყაჰბამ (აზერბ. გჰჰბ „კახა, მეძავი“).

ია: ნიათ (აზერბ. „სურვილი“), ბადიამ (აზერბ. „დიდი ჯამი“), ბიაბურ (აზერბ. „შერცხენილი“), ყიამათ (აზერბ. გიამაშთ „დიდი ამბავი“), ხიალ (აზერბ. ხმაალ „ფიქრებში წასვლა“), ყაისი || ყამისი (აზერბ. გამსხს „გარგარი“), თიან (აზერბ. თიან „სპილენძის დიდი ქურქელი“), ფაიზ (აზერბ. „შემოდგომა“), ტაიამ (აზერბ. დამხს „დედის ძმა“).

ეე: ქეერიზ || ქეერიზ || ქეჰრიზ (აზერბ. ქჰჰრიზ „ქა“), ფეამლაგანი || ფეელაგანი (აზერბ. ფჰჰლიგანი „ფალაგანი, მოქიდავე“), ფეამლაშარ || ფეელამლაშარ (აზერბ. „წინასწარმეტყველი“), შეევაამ (აზერბ. „ხილი“).

აუ: ყაუმ (აზერბ. გოჰუმ „ნათესავი, მოყვარე“), ყაურმა („თავის ქონში მომწვარი ხორცი“).

ეი: შეიზ || შემზ (აზერბ. ჯეჰიზ „მზითვეი“).

იო: შიოტ* (რუს. „ქსოვილი“).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება გარკვეული წესის ჩამოყალიბება: ინგილოურ კილოში ხმოვანთა უშუალო თანმიმდევრობა დაძლეულია დიფთონგიზაციის გზით, თანხმოვანთა ჩართვით, ხმოვნის დაკარგვით. მაგრამ ეს წესი, ჩვეულებრივ, ირღვევა: (ა) მორფემათა ზღვარზე; (ბ) თანხმოვნის დაკარგვისას; (გ) ორი სიტყვის შეხორცებისას (როგორც საკუთრივ ქართულ, ისე აზერბაიჯანულიდან შემოსულ სიტყვებში); (დ) სხვადასხვა ენათა ლექსიკიდან შემოსულ სიტყვებში.

* „შიოტ“ ფორმის პარალელურად შეიძლება წააწყდეთ ვ ჩართულ ფორმასაც „შეოტ“.

თავი II. თანხმოვანთა სისტემა

თანხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი

ჩვენი კვლევის ობიექტია ინგილოური დიალექტის ფონემატური სისტემა; ამ სისტემას განვიხილვთ ქართული ენის კახური დიალექტის ფონემატურ სტრუქტურასთან მიმართებით.

თანხმოვანთა პარადიგმატული აღწერა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით.

| წარმოების ადგილი | რაგვარობა | |
|------------------|-----------|--------------|
| | ხშულები | ნაპრალოვნები |
| ბაგისმიერი | ბ ფ პ | მ ვ |
| კბილბაგისმიერი | ღ თ ტ | ნ |
| წინანუნისმიერი | (-) ც წ | ზ ს ლ |
| შუანუნისმიერი | | რ |
| უკანანუნისმიერი | (-) ჩ კ | ყ უ |
| რბილსასისმიერი | გ ქ კ | ღ ხ ყ |
| ენისძირისმიერი | (-) ჯ | |
| სახმოსიმისმიერი | ც | ჰ |

§ 4. საჭიროა საპეციალურად შევჩერდეთ სქემაში მოყვანილ ზოგიერთ წევრზე.

1. კახურთან მიმართებით ინგილოურში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს /ძ/ და /ჭ/ ფონემების შეცვლა /ზ/ და /ყ/ ნაპრალოვნებით.

ინგილოურში /ძ/ და /ჭ/ ფონემების არქონას უკავშირებენ აზერბაიჯანული და ხუნძური ენების ზეგავლენას.

გრ. იმნაიშვილი ძ>ზ და ჭ>ყ გარდაქმნის მიზეზად ერთდროულად ასახელებს უცხოენობრივ გარემოსა და ამ ბგერათა ბუნებას: „ინგილოურში ძ და ჭ ბგერების დაკარგვა გამოწვეულია ორი მიზეზით: 1) ძ და ჭ ბგერების არმქონე ენობრივ წრეთა ხანგრძლივი გა-

ვლენითა და 2) ამ ბგერათა ბუნებით (მათი მსგავსებით ზ და ჟ ბგერებთან)“ (19, გვ. 86). აქვე უნდა შევნიშნოთ:

1) თუ დავეუშვებთ /d/-სა და /z/-ს დაკარგვას ინგილოურში აზერბაიჯანულის ზეგავლენით, მაშინ არ იყო გამორიცხული, რომ მასთან ერთად დაკარგულიყო ე. წ. „კავკასიური ხშულები“ (2, გვ. 73), (პ ტ წ კ ყ ყ), რომლებიც ინგილოურში არ დაკარგულა. ქართულის (resp. ინგილოურის) ბგერები აზერბაიჯანულში გამოითქმის: 'ტ' > 'დ'-დ, 'კ' > 'გ'-დ, 'ყ' > 'გ'-დ (ან პირიქით: აზერბაიჯანულის 'დ' გადადის ინგილოურის ტ-ში; მაგალითად: დაძხი > ტაძი „დედის ძმა“, 'გ' > 'კ': გარზახ || გარზახ || გარზახ > ინგილ. კარზახ „წიგო“, 'გ' > 'ყ': გარმახ > ინგილ. ყარმახ, „კაუჭი“, ალაგანად > ინგილ. ალაყანადად „კვიკვი“... ასევე არ მოხდა 'ც' > 'ს' პროცესი, ვთქვათ: ცოცხი > სოსხი „ცოცხი“, ცოლი > სოლი „ცოლი“...);

2) მეორე მხრივ, თუ დავეუშვებთ ხუნძური ენის ზეგავლენას, მაშინაც გარკვეულ წინააღმდეგობასთან გვექნება საქმე, კერძოდ: ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში (ანწუხურში, ქარულში), რომლებიც ახლოს მდებარეობენ საინგილოსთან (ბელაქანთან, ზაქათალასთან, კახთან ანუ კაკთან), დადასტურებულია 'ძ' და 'ჯ' ბგერები; ამასთან ერთად, 'ჯ' ბგერა, შესაბამისად /z/ ფონემა, აზერბაიჯანულსაც აქვს. სწორედ ამ დიალექტების წარმომადგენლები ცხოვრობენ ინგილოებთან ერთად საინგილოს ტერიტორიაზე.

ანწუხურში 'ძ' თავს იჩენს ინფინიტივში /ნ ლ რ/ სონორების მომდევნოდ: ქვენ-ძი (ქარ. ქინ-ძი) „კამა“, ტვენ-ძი „წასვლა“, მინ-ძი „თქმა“, ჭენ-ძი „გადაყლაპვა“, ჰვალ-ძი „ადუღება“, ჰველ-ძი „მოკდომა“, ყელ-ძი „სმა“, ჰარ-ჯი „თხოვნა“... (87, გვ. 45).

იმავე ანწუხური დიალექტის კადოქოლურ თქმაში 'ძ' შეცვლილია 'ჯ'-დ: ქვენ-ჯი „კამა“, ტვენ-ჯი „წასვლა“... ამასთანავე, სამხრულ-ხუნძურში არ დასტურდება ბაგისმიერი აბრუპტივი 'პ' (87, გვ. 4).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ /d/ და /z/ ფონემების დაკარგვას ავხსნით ხუნძური ენის გავლენით, მაშინ გამორიცხული არ იყო, რომ იმავე ინგილოურში დაკარგულიყო ბაგისმიერი 'პ', ამასთანავე ხუნძური ენის გავლენით გაჩენილიყო მისთვის დამახასიათებელი ლატერალური (ლ', ლა, ლ', ტა, ტ') და მგარაი (ცა, წა, სა, შა, ჟა, კა, ხ', ხა) თანხმოვნები (87, გვ. 38). ასეთი ბგერები კი ინგილოურისათვის

უჩვეულოა.

ზემოთ ნათქვამის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ ძ > ზ და ჯ > ჟ დიალექტის შინაგანი განვითარების შედეგად ხდება, ე. ი. ადგილი აქვს მუდერი აფრიკატების დეზაფრიკატიზაციას; შდრ. დასავლური დაჟდა „დაჯდა“, ჟის „ჯდის“, ბზანება „ბძანება (< ბრძანება“); მოხეური დაბზანდა „დაბძანდა (← დაბრძანდა“)...

შესაძლოა, ჯერ მიზეზი იყო სინტაგმატური კანონზომიერება, ვთქვათ: ბრძოლა > ბძოლაჲ > ბზოლაჲ, გრძელი > გძელი > გზელ, ბრჯენა > ბჯენაჲ > ბჟენაჲ, ე. ი. ხშული + ხშული > ხშული + ნაპრალოვანი და შემდეგ თანდათანობით გამოიღვენა /ჯ/ და /ძ/.

2. «ქ» ბგერა. ინგილოურ კილოში დასტურდება ვ-ს გაფშვინვიერებული რეფლექსი «ქ», რომელიც ჩნდება პოზიციურად ფონეტიკურ ნიადაგზე ანლაუტსა და ზმნის ფუძის წინ ყრუ-მკვეთრი და ყრუ-ფშვინვიერი /ფ თ ტ ჯ კ ხ ჰ წ ყ ც ს/ ფონემების წინ: აქ «ვ» იცვლება «ქ»-დ (ქჰამ, ქჰრი, ქთლი, ქტირი, ქყოფავ, დაქქესიბდი („გავლარიბდი“), დაქთერგ („გადავეჩვიე“, „დავანებე“), გაქყიდ, ქჰნავდი...).

ვ-ს გაფშვინვიერებული რეფლექსი «ქ» დასტურდება კახურ კილოშიც (39, გვ. 20); მაგრამ არც ინგილოურსა და არც კახურში «ქ» არ არის სიტყვათგანმასხვავებელი ელემენტი, ე. ი. არ არის დამოუკიდებელი ფონემა.

აქვე უნდა შევიშნოთ, რომ ინგილოურ კილოში უცხო ენიდან შემოსულ «ქ»-იან სიტყვებში გვაქვს ჩვეულებრივ «ფ»: აფენდი, ფირმაჲ (19, გვ. 82).

3. «ჟ» ბგერა. უმარცვლო უ ინგილოურსა და კახურში უმთავრესად გვხვდება /წ ლ ნ რ თ კ ს ქ შ ყ ხ ჯ/ ფონემების მეზობლად შემდეგ პოზიციებში: ა) ხმოვნის შემდეგ ხმოვანი + უ ქმნის დიფთონგს (უ > ჟ) როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ისე მორფემათა საზღვრებზე, მაგ., გაჟთლჟ, გაჟკეთევი, დაჟკრეფი, გაჟგო || გაჟგა, აჟშენა (|| აგშენა), ყარაჟლ (|| ყარავლ), ყოჟმ... დიფთონგიზაციის ასეთი პროცესი გამოწვეულია უ > ჟ კომბინაციის არაბუნებრიობით; ანალოგიური მოვლენები ახასიათებს (აუ > აჟ) აჭარულსა და ფერეიდნულს.

მაშასადამე, «ჟ»-ს მიღება შეიძლება /უ/ ხმოვნის რედუქციით.

ამასთანავე, ინგილოურში ორი ხმოვნის თანმიმდევრობა, როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ისე მორფემათა ზღვარზე, აცილებულია თანხმოვანთა ჩართვით: უარესი > უვარეს, უარ > უვარ (ხმოვანთა კომპლექსების შესახებ იხ. ზემოთ, ხმოვანთა სისტემა ინგილოურში).

ბ) 'ჟ'-ს კვალი დასტურდება ხმოვნის მომდევნო ვ-ს ადგილას (ვ > ჟ): შავი > შაჟ, ბავშვები > ბაჟშვები (კახ.), გცხოვრობდი > გცხოჟრობდი (39, გვ. 31), მოვიდა > მოვდა > მოჟდა, წავიდა > წავდა > წაჟდა, მივა > მიჟ, შევა > შეჟ, გავა > გაჟ, ჩავა > ჩაჟ, გამოვა > გამოჟ || გამოჟ, დავდექი > დაჟდექი, ბევრი > ბეჟრი, თოვლი > თოჟლ და სხვ.

ხმოვნის მომდევნო ვ > ჟ-ს მაგალითები ტექსტებიდან:

ცეცხლ ბეჟრ (|| ბევრ || ბოჟრ || ბოვრ) ქნაში იტკრიცვის ისიც ომოჩხრეკაში (52, გვ. 104). „პურ წოვდა (|| წოჟდა || წავდა), ჰელ მისც!“ (52, გვ. 104); ჟაჟ ჟათამ მუცელგახეჟლ (18, გვ. 166); დბალ თადთი თოჟლ თოჟლობს (18, გვ. 166); ყოვ გაჟშუ (=გოჟშუ), ჰუთ-ქომ: ჰაბა, ჰერ წაჟდეთა? (109, გვ. 135).

გ) წყვილბაგისმიერი თანხმოვანი უ გვხვდება თანხმოვანთა და ზოგჯერ სონორთა მომდევნოდაც; იგი გვხვდება სალიტერატურო ქართული ენის კბილბაგისმიერი ვ-ს ადგილას, ე. ი. ვ > ჟ როგორც ინგილოურ, ისე კახურ დიალექტშიც: გათჟჟლამ, გაწჟლამ, (მ)კჟლარი, სხჟამ, ნახჟამ, ყიდჟამ, მასკჟლამ || მასკჟვლამ, სიტყჟამ, სეტყჟამ მოყჟარემ, ჩჟრიოთ (კახ.), ყჟელ (კახ.), ლჟია (კახ. „ღვია“) (42, გვ. 122-127), ხჟალ (← ხვალ), ცოლჟამ, ქჟამ, დაცჟამ... სონორთა მომდევნოდ ვ > ჟ: რვა > რჟა (შდრ. მეგრული (ბ)რუო), გლინვა > გლინჟამ, მოკლვა > მოკლჟამ, შარვალი > შარჟალ, ნათლვა > ნათლჟამ, ტირვა > ტირჟამ... ხმოვნის ჩავარდნის შემდეგ მომხდარა ვ > ჟ: ნათლავს, ნათლვა > ნათლჟამ, გლინავს, გლინვა > გლინჟამ... ანალოგიური პროცესი დადასტურებულია ძველ ქართულში: სა-თნ-ო ← *სა-თნ-ჟ-ე (შდრ. ს-თნ-ავს „მოსწონს“) (7, გვ. 43).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა ჟ-ს მოსდევს /ა ე ი/ ხმოვნები, მიღებული კომპლექსები ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის: ჟაჟ, ჟიჟ, ჟეჟ.

4. **„ც“ ბგერა.** „ც“ დადასტურებულია ქართული ენის დიალექტებში, კერძოდ: კახურში, ხევსურულში, თუშურში, აჭარულში, იმერულში, ფერეიდნულში, გურულში.

მ. ჭანაშვილი თითქოსდა განასხვავებს **„ჭ“** და **„ც“** ბგერას; მას განსაზღვრავს, როგორც გარდამავალ ბგერას **„ჭ“**-სა და **„ხ“**-ს შორის და იმასაც დაასკვნის, რომ „ინგილოურში არის ხმა, რომლის გამოსათქმელად ქართულში ნიშანი არ მოიპოვება. ცხადად მოისმის იგი სიტყვაში არ: ა-სა და რ-ს შორის რაღაც გადატეხილი ბგერაა, რომელიც არც ნახევარი **ხ**-ა და არც სრული **ჭ**: აგრ“ (109, გვ. 231).

„ც“ ბგერა ინგილოურში გვხვდება ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში მეტყველების სხვადასხვა ნაწილებთან, კერძოდ:

ა) ჩვენებით-მითითებით ნაცვალსახელებში: **ცე, ცაჲ, ცემათ, ცემაგ, ცეეხ, ცეეხენ, ცეეჲ** („აი იჲ“), **ცეჲ** („იჲ“) **ციჲც** („აი ისიც“);

ბ) ხმოვნით დაწყებულ ზმნებში: **ცუთქომ, ცუშხერავს, ცუნდ, ცეეფარა** („აეფარა“) და სხვ.

გ) რიცხვით სახელებში: **ცერთ, ცორ, ცორმოც**;

დ) **ც** გვხვდება სხვათა სიტყვის ო ნაწილაკის წინ, როცა მას დაერთვის კითხვითი ნაწილაკი ა და ო-ს აქვეყნ **უ**-დ: **შენ — ცუა?** (← **შენოა?**) **ცესე-ცუა?** (← **ესეოა?**), **მე-ცუა?** (← **მეოა?**), **ის-ცუა?** (← **ისოა?**), **(ვ)უთხრა-ცუა?**, **მოგხტო-ცუა**; **შდრ. ფშაური არ მოგვხტა-უა** (**უ** < **ო**: **მოგვხტაოა** > **მოგხტაუა**), **ჩონსა-ცუა?**, **ქალაქელი-ცუა?**, **კაცი-ცუა?**...

ე) **„ც“** გვხვდება უარყოფით ნაწილაკში „არა“ უკანასკნელი ა-ს შემდეგ: **არაჲ** (შდრ. იმერული „არაჲ“ (34, გვ. 163); ან კიდევ: ამავე „არა“ ფორმაში გვხვდება მხოლოდ ერთი ა, რომლის ძლიერი შემართვისა და დამართვის შედეგად ერთსა და იმავე დროს ვიღებთ ორ **ც**-ს (**ცაჲ**) (19, გვ. 82). პარალელურად უარყოფით ნაწილაკ „არა“-ში თავიკიდურ ა-სა და ბოლოკიდურ ა-ს ადგილას სონორი რ-ს მომდევნოდ დადასტურებულია **ც** (მაგ. **ცარჲ „არა“**) (50); იგი გვხვდება ოთხი ნაირსახეობით: **არაჲ || არაჲ || ცარჲ || ცაჲ**.

ვ) აზერბაიჯანულის გზით შემოსულ ზოგიერთ სიტყვაში; მაგ.: **ცინსან** (← **инсан** „კაცი“), **ცეველ** (← **эвел** „ძველად“, „პირველად“, „უწინ“), **ცაჲაჲ** (← **аяз** „ყინვა“, „სიცივე“), **ცოსაათ** (← **ошад** „იმ სა-

ათში“, „მაშინვე“) (19, გვ. 82).

ინგილოურ კილოში **„ც“** ფონემას არ წარმოადგენს; იგი ჩნდება პოზიციურად, ფონეტიკურ ნიადაგზე: ჯერ ხდება ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის დაკარგვა, შემდეგ ძლიერი შემართვის შექნა. სიტყვაში ხშირად მონაცვლეობენ: **„ჭ/ც“**: **ჭარჭარ, ჰეესტეეს, ჰერთტერთ, ჰუნდტუნდ, ჰუთქომტუთქომ...**

ამის გარდა, იგივე **„ც“** ხმოვნების გამყოფად გვევლინება კითხვით ნაწილაკიან ფორმებში: ძირეული ან სუფიქსისეული ხმოვნის მომდევნოდ და სხვათა სიტყვის **უ (< ო)-ს წინ** (მე ცუა? (ვ)უთხრაუა? კაციცუა? ჩონსაცუა? და სხვ.); შდრ. თუშური, აჭარული; თუშურში **„ც“** ხმოვანთა გამყოფად დადასტურებულია ზმნისწინ **ა-სა** და **ქცევის ა-ს** შორისაც (გაცოჯრეს < გაჯაოჯრეს) (61, გვ. 15).

5. „ჭ“ ბგერა. ინგილოურმა ქართული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით მეტი უნარი გამოიჩინა თავკიდური ხმოვნის წინ **„ჭ“-ს** შენარჩუნებაში. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის მაგალითები უხვადაა ინგილოურში. იგი შეიძლება შეგვხდეს სახელებსა და ზმნებში.

„ჭ“ უმეტესად გვხვდება უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვებში, ამასთანავე, ზოგჯერ ქართულ სიტყვებსაც ახასიათებთ ფშვინვიერი შემართვა:

ა) აზერბაიჯანული გზით შემოსულ სიტყვებში: **ჭამამ** („აბანო“), **ჭაფთუფამ** („თუნგი“), **ჭალავ** („ალი“ ცეცხლის მნიშვნელობით), **ჭარაკი** („ძველი ამბავი“), **ჭაფვან** („აივანი“), **ჭეფვან** („ნადირი“), **ჭებამ** („ფიწალი“), **ჭეთიმ** („ობოლი“), **ჭეზნამ** („სიძე“), **ჭენგამ** („მაყრიონი“)... ინლაუტში: **საჭყალ** („წვერ-ულვაში“), **ფაჭჩამ** („ფადიშაი“, „მეფე“), **გაჭრამ** („უმუნო თუთის ხე“), **ქეჭრიზ** („ჭა“)... მეტყველების სხვადასხვა ნაწილებში: **ჭეგაშ** („ნელა“), **ჭალჭალ** („სუსტად“, „ძლივძლივობით“), **ჭაჭე** („ნამღვილი“), **ჭეჩ** („საერთოდ, სრულებით“), **ჭარ** („ყოველი“), **ჭიგინა** („სწრაფად“).

ბ) **„ჭ“** მოულის ქართულ სიტყვებსაც: **ჭამ** („რა“), **ჭაჩეჩამ** (აჩეჩა“), **ჭე** („ის“), **ჭეგ** („ეგ“), **ჭიგი** („იგი“), **ჭეგრე** („ეგრე“), **ჭეგაც** || **ჭეგეც** („ეგეც“), **ჭიქ** („იქ“), **ჭეექ** („აი იქ“), **ჭერთ** („ერთ“), **ჭორ** („ორ“), **ჭორმომ** („ორმომ“), **ჭოფოფ** || **ჭომომ** („ოფოფი“), **ჭომომბს** („ომომბს“), **ჭჭრიქელლამ** („ვირისთავი“), **ჭინდამ** || **ჭინდაურ** || **ჭინდავრ** („ინდოური“), **ჭელვამ** („ელვა“), **ჭეკალ** („ეკალი“)...

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ინგილოურში ხმოვნების წინ 'ჰ' კარგად ძლებს. 'ჰ' შემონახულია აგრეთვე უცხოური წარმოშობის (არაქართულ) სიტყვებში, რომლებიც აზერბაიჯანულის გავლენამდე შემოსული ქართულ ენაში, როგორიცაა; მაგ.: ჰაქიმი || ჰეჰიმი (აზერბ.), ჰარამი (არაბ.), ჰალალი (არაბ.)... (118, გვ. 06); ხმოვნის მომდევნოდ: ფეჰლავანი (სპ. „ფალავანი“, „გმირი“), შაჰრი (სპ. „ქალაქი“)... (118, გვ. 06).

ინგილოურისათვის სპეციფიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ხმოვანთა ფშვინვიერი დამართვა მარცვლის ფარგლებში, როცა ზმნისწინის მახვილიან ხმოვანს ფუძისეული თანხმოვანი მოსდევს. ამის შესახებ სპეციალური მსჯელობა გვექნება ქვემოთ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 'ჰ' დასტურდება ორ ხმოვანს შორისაც. ჩვენი ვარაუდით, ორ ხმოვანს შორის არსებული 'ჰ' წარმოადგენს ხმოვნების გამყოფს, როცა სხვათასიტყვისეულ უ (← ო) ნაწილაკს დაერთვის კითხვითი ნაწილაკი -ა; მაგ.: მაჰლაჰუა? ჩმაჰლაჰუა? (← ჩემაჰლაჰუა? ← ჩამაჰლაჰუა?), კარიჰუა?, ზროხაჰუა? (|| ზროხაჰუა?), ნანაჰუა? (||ნანაჰუა?)... ზმნისწინსა და ფუძისეულ ხმოვანს შორის: ელვა — გა-ჰ-ელვაჰ, გაადვილებული — გა-ჰ-ადჰლე(ვ)ულ...

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგილოურში ფშვინვიერი შემართვის გვერდით გვხვდება იოტიზებული შემართვაც. 'ჰ'-ს გადასვლა (მონაცვლეობა) ღ-ში ხდება მაშინ, როდესაც 'ჰ'-ს მოსდევს ხმოვანი /ქ/; მაგ.:

ა) უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში: ჰენჯაჰ/მენჯაჰ („სიძე“), ჰენგილაჰ/მენგილაჰ („ინგილო“), ჰენგიან/მენგიან (ტოპონიმი), ჰენგაჰ მენგაჰ („მაყრიონი“), ჰეთიმ/მეთიმ („ობოლი“), ჰენდ/მენდ („მინდორი“, „ნაკვეთი“), ჰეშეკ/მეშეკ („ყუთი“)...

ბ) ქართულ სიტყვებში: ჰემათ/მემათ, ჰეგრე/მეგრე (შდრ. ფერიდნული ემათ, ეგრე) (85, გვ. 196-1247), ჰენლა/მენლა, ჰეკალ/მეკალ (შდრ. მოხეური ეკალ) და სხვ.

'ჰ'/ღ' მონაცვლეობას ადგილი აქვს სხვა დიალექტებშიც (ქართლურში, თუშურში, ქიზიყურში).

გ) ფშვინვიერი შემართვა ახასიათებთ ზმნებსაც ანლაუტის ხმოვანთა წინ: ჰუნდ, ჰუქნი, ჰუთქომ, ჰუთხოვი, ჰუეგარს, ჰუმღერის, ჰუნანნი, ჰუკითხნი, ჰუგაზირევი...

§5. ჰ-ს ფონეტიკური და მორფოლოგიური ფუნქცია. ზმნური ფორმების ანლაუტში, ხმოვნების წინ წარმოდგენილ ჰ თანხმოვანთან დაკავშირებით მ. ჭანაშვილის მიერ გამოქვეყნებული ინგილოური ტექსტების საფუძველზე აკ. შანიძემ წამოაყენა დებულება: „ჰაეს წარმოშობას უნის წინ ზმნის ფორმებში არავეითარი მორფოლოგიური საფუძველი არ უძევს. არამედ იგი წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა იმგვარადვე, როგორც იმავე ჰაეს გაჩენა უნისა და ონის წინ ანლაუტში და, მაშასადამე, ლაპარაკი მესამე პირის ობიექტის პრეფიქსის ხმარების შესახებ ხმოვნების წინ, ინგილოური მასალების მიხედვით, შეუძლებელია“ (79, გვ. 266).

მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები, აკ. შანიძემ უარყო თავისი ერთი წლის წინათ გამოთქმული მოსაზრება: „ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენის შემდეგ, რა თქმა უნდა, უნდა გადასინჯულ იქნეს საკითხი ინგილოურ კილოში ჰაების გაჩენის შესახებ ზმნის ფორმებში. ყოველ შემთხვევაში, ახლა აღარ მაკმაყოფილებს დებულება, კატეგორიულად წამოყენებული ერთი წლის წინათ, რომლის მიხედვითაც ლაპარაკი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების შესახებ ხმოვნების წინ ინგილოური მასალების მიხედვით თითქო შეუძლებელი იყოს. ახალ აღმოჩენასთან დაკავშირებით სხვანაირად უნდა შეფასებულ იქნეს ინგილოური ჰუყვარს, ჰუნდოდა, ჰუთხრა, ჰუნახი და მსგავსი ფორმები, სადაც, როგორც ახლა ირკვევა, ჰაემეტობის კვალი უნდა იყოს დარჩენილი“ (81, გვ. 362).

[ჰ]-ს ფუნქციასთან დაკავშირებით ს. ჟღენტი და სტ. მენტეშაშვილი გამოთქვამდნენ გარკვეულ ვარაუდებს. მოგვყავს ორივე მოსაზრება:

ს. ჟღენტი: „საფიქრებელია, რომ ინგილოურში თავკიდურ ხმოვანთა წინ მასობრივად განვითარებული ჰ მიუთითებდეს ხმოვნის ფშვინეიერ შემართვაზე; მაგ.: ჰელგა, ჰაკაკ, გუთან-ჰაჩიჩაჲ, ჰეემ, ჰარავინ, ჰუნდ“... (47, გვ. 126).

სტ. მენტეშაშვილი: „ინგილოურ კილოში ჰაემეტობა არ არის მორფოლოგიური მოვლენა, არამედ ფონეტიკური“ (41, გვ. 203).

ჰ-ს ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ფუნქციასთან დაკავშირებით ჩვენი მხრიდან შევნიშნავთ: ინგილოურში როგორც ხმოვნების

წინ, ისე ზმნებში **ჰ** რომ ფშვინვიერ შემართვას ქმნის, ეს არ ეწინააღმდეგება მის მორფოლოგიურ დატვირთვას: **ჰუვაზირევი, ჰუკი-თხნი** და სხვა მსგავსი ტიპის ფორმებში **ჰ** გრამატიკულ ფუნქციას ატარებს (შდრ. **ჰ** ძველი ქართულის **ჰასმენს** ფორმაში, გარდა იმისა, რომ იგი ა-ს აძლევს ფშვინვიერ შემართვას, გრამატიკულ ფუნქციასაც ატარებს).

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართულ ენაში **ჰ** კომბინაციაში არ შედის სხვა თანხმოვნებთან (67, გვ. 13). უფრო ადრე, 1902 წელს ს. ხუნდაძე ამის გამო მას ქართულ თანხმოვნადაც კი არ მიიჩნევდა. თ. გამყრელიძე **ჰ**-სთან დაკავშირებით შენიშნავს: „იგი მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება ქართულში (ხ[X] სპირანტის გარკვეული პოზიციური გარდაქმნის შედეგად და იმკვიდრებს ადგილს ქართულ ფონემურ სისტემაში (8, გვ. 152).

ინგილოურ კილოში ზმნისწინიან ფორმებში დადასტურებულ **ჰ**-ს მორფოლოგიური ფუნქცია აკისრია (პირის ნიშანია). საანალიზოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს (მაგალითს): **დაჰტჰრო, გაჰტწივ, გოჰუილით, მიჰტცემ, მოჰკალ, შეჰხედე, გაჰტხე.**

გავაანალიზოთ ზემოთ მოყვანილი ფორმები.

დაჰტჰრო ეს არის **და-ჰ-ვ-ჰრა** ისტორიული **ვ-ჰ** (S_1O_3i) > **ჰ-ვ** და ამისი ზუსტი რეალიზაცია **მიჰტცემ** (შდრ. დღევანდელი მი-ვ-ს-ცემ), **გოჰუილით** (< გავჰუილით), **ვ-ს** (S_1) არსებობაზე მიუთითებს **ა>ო** (გა > გო), **გაჰტწივ** შეიძლება იყოს ორპირიანიც (**გაჰტწივ** მე ის) და ერთპირიანიც (შინ გაჰტწივ), ქართულ ბუნებას ავლენს: ეს ზმნა **ვ** პრეფიქსს მოითხოვს, როცა ერთპირიანია (შინისკენ გავსწიე), **მოჰკალ** (როგო კად იქნა, ეგ მოჰკალ!) ზმნაში **ჰ** არის S_2 -ის ნიშანი, **შეჰხედე** (შეჰხედე! ამას ხაბარი სადთი მოჰდის) ზმნაში **ჰ** არის ირიბი ობიექტის ნიშანი ბრძანებითში, **გაჰტხე** (რებე გაჰტხე ვეზირის ხაზნა?) ზმნაში **ჰ** S_2 -ის ნიშანია.

ინგილოურ კილოში ზმნურ ფორმებში **ჰ**-ს გამოყენება დაკავშირებულია სწორედ ზმნისწინიან ფორმებთან, სადაც, ჩვეულებრივ, ძველი ქართულის მდგომარეობაა ასახული.

ივ. იმნაიშვილმა აღწერა ძველი ქართულისა და ხევსურულის შემთხვევები და აჩვენა, რომ პირის (O_3) ნიშნების გამოვლენა ზმნისწინ-

თან არის დაკავშირებული (30, გვ. 164-203).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ჰ- იკარგება ან არ იკარგება (ძველი ქართულისა და ხევსურულის ვითარება ამ მხრივ ერთმანეთს ემთხვევა) (იხ. 30, გვ. 189), ინგილოურიც ძველ ქართულსა და ხევსურულს უდგას გვერდით.

შენიშვნა: არის შემთხვევები, როცა ფორმა ზმნისწინიანია (ე. ი. პირის ნიშანი ინლაუტშია), პრეფიქსი ჰ იკარგება, მაგრამ ისე, რომ აგრძელებს წინამავალი ზმნისწინის ხმოვანს და ვლბულობთ ე. წ. სამაგიერო სიგრძეს (იხ. 72, გვ. 123). ე. ი. ეს ნიშნავს, რომ ჰ დახურულ მარცვალში შეიძლება დაგრძელდეს: დაჰ- > და- (დაჰდგი > დადგი), გაჰ- > გა- (გაჰჟავრდი > გაჟავრდი, გაჰზეხი > გაზეხი... ოღონდ ჰ ყოველთვის წინა ხმოვანს მისდევს მარცვალში, რადგან ჰ-ს შემდეგ თანხმოვანი მოდის.

რაც შეეხება ჰ-ს ფუნქციას უზმნისწინო ფორმებში (ე. ი. როცა ჰ პაუზას მოსდევს), უნდა ითქვას შემდეგი: ინგილოურში უზმნისწინო ფორმებში ჰ-ს ან მისი ბგერისნაცვალის ს-ს მორფოლოგიური ფუნქცია ძალზე შერყეულია. იგი თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან (0): ა) აბსოლუტური ზმნები პირის ნიშანს უმეტესად არ დაირთავენ: ჰაბე დგეხარა შენ ჰეჟანდ? („რატომ სდგეხარ შენ მანდა?“). სპორადულად შვიდი თანხმოვნის (დ, თ, ტ; ც, წ; ჩ, ჭ) წინ (ძ და ჭ-ს უქონლობის გამო ჰძ- და ჰჭ- კომპლექსი ერთი მორფემის ფარგლებში არ დასტურდება და მათ ცვლის ზ და ე: *ჰჭ- > ზ- (ჰძლევს > ზლევს), *ჰჭ- > ე (შენ ჰჯავრობ > ჟავროგ);

ბ) იგივე შეიძლება ითქვას ჰ-ს კომბინაციაზე სპირანტებთან: ჰხ- > ხ-; ჰღ- > ღ-, ჰს- > ს-, ჰწ- > წ-, ჰშ- > შ-, ჰჟ- > ჟ- (ჰხრავს > ხრავს, ჰღლეტავს > ღლეტავს და სხვ.);

გ) უკანაენისმიერი გ, კ-სა და ფარინგალური გ-ს წინ ჰ-ს მყარი საფუძველი არ გააჩნია: ჰ- ხან თავს იჩენს, ხან კი — არა; მაგ.: ჰგროჰმავს || გროჰმავს, ჰკლავს || კლავს, ჰგროჰტავს || გროჰტავს. მაგრამ ზმნისწინიან ფორმებში ჰ- შენარჩუნებულია (დაჰგროჰმა, მოჰკლავს, გაჰგროჰტავს), ხოლო ქ-სა და ყ-სთან ჰ- თითქმის ყოველთვის შენარჩუნებულია, როცა იგი III ობიექტური პირის ნიშანია. მაგ.: იმა სამ უშლ ჰქონდა (=ჰყავდა). წინაღლითაც ფიქრში ჰქონდა იმი მოკლუჟაჲ.

საპირისპირო მოვლენით ხასიათდება ქართლური, სადაც III ობიექტური პირის ნიშანი ჰ-ქ-სა და ყ-ს მეზობლობაში თითქმის ყოველთვის იკარგება (27, გვ. 146).

მაშასადამე, ინგილოურში ჰ-ს გამოვლენა დამოკიდებულია ზმნისწინზე. ზმნისწინი საშუალებას იძლევა ჰ-სა და ფუძისეული თანხმოვნის სხვადასხვა მარცვალში განაწილებისა: აჰ-ტანდენ, დაჰ-ჩა და სხვ. შდრ. ჰკლავს > კლავს; აჰ ჰკ პაუნას მოსდევს, ამიტომ ჰ იკარგება (ან შეიძლება დაიკარგოს), მაგრამ მოჰკლავს ფორმაში (მოჰკლავს) ჰ და კ სხვადასხვა მარცვალში ხვდება და ჰ- შენარჩუნდება.

აქედან გამომდინარე, ჰ გამოვლინდება ხმოვნის მომდევნოდ ყველა თანხმოვნის წინ (CVჰ-, VჰVჰV), მაგრამ ჰ არაა თანხმოვნებისა და ხმოვნების წინ (ჰC-, ჰV).

წრ. ჯ-ს დისტრიბუცია ინგილოურში და მასთან დაკავშირებული მორფოფონოლოგიური პროცესები. ინგილოურ კილოში შენარჩუნებულია ძველი ქართულის ყრუ ფშვინვიერი ჯ. ჯ დაცულია ისეთ სიტყვებში, როგორიცაა ჰელ, მუჰლ, (მ)ჰარ, ჰარ, ჰმაჰ, ჰმელ, ჰშირ...

ფონემა ჯ დღესდღეობით დაცულია სვანურსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის დიალექტებში: კერძოდ: თუშურში, ხევსურულში, ფშაურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ქიზიყურში (სიღნაღის, დედოფლისწყაროს რაიონებში), გურჯაანის რაიონში (სოფ. დარჩეთი), ინგილოურში (კახის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონებში), ფერეიდნულში (85, გვ. 196-247), ქართლურში.

ვ. თოფურიას შესწავლილი აქვს /ჰ/-სა და /ხ/-ს პოზიციები ქართველურ ენებში. იგი დასკვნის სახით აღნიშნავს:

„(1) ს შ ც რ ციშლაუტ-აფრიკატებისა და წინაენისმიერი თ'ს მომდევნო მეზობლად ხ'ს, [დ] ზ ჟ ძ ჯ'სთან ღ'სა [ტ] წ ჰ'ს გვერდით ყ'ს ატარებდნენ და ქმნიდნენ სხ შხ ცშ ჩხ თხ; [ღღ] ზღ ჟღ ძღ ჯღ; [ტჟ] წჟ ჰჟ კომპლექსებს; ხოლო

(2) ხსენებული ბგერების წინ კი — ჯ'ს და გვეკონდა: ვს ფშ; ვც ვჩ; [ვღ, **ვზ ვჟ ვძ ვჯ ვჰ] ჯგუფები. ვარსკვლავიკვეშ მოქცეულთათვის მაგალითი არ მოგვეპოვება“ (14, გვ. 47).

ვ. თოფურიას შემუშავებულ წესებთან დაკავშირებით ზ. სარჯველაძე შენიშნავს: „ეს დასკვნა სწორია ძველი ქართული ძირეული მო-

რფემისათვის... რაც შეეხება მორფემათა ზღვარს, აქ ეს წესი არ მოქმედებს; დასაშვებია, ერთი მხრივ, /ხს/, /ხშ/, /ხც/ და მისთანა; ხოლო მეორე მხრივ, /სჟ/, /თჟ/ და მსგავსი კომპლექსები“ (56, გვ. 261). ეს უკანასკნელი /*თჟ/ კომპლექსი ვ. თოფურიას აზრით წარმომდგარია დაჯ-იდან, ე. ი. ქართ. თხა ← *თჟა ← *ღჟა ← *დაჯ (14, გვ. 20).

ქართულ /თხ/ კომპლექსს ეხებიან თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი, მათ ქართ. თხა-ს არქეტიპად *ღჟა მიაჩნიათ (7, გვ. 119).

სამწუხაროდ, მკვლევრები (ვ. თოფურია, ზ. სარჯველაძე, თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი) სავარაუდებელი /თჟ/ და /ღჟ/ კომპლექსების შემცველ მაგალითებს არ ასახელებენ; მხოლოდ ზ. სარჯველაძეს მოჰყავს ორიოდ მაგალითი: ერთ-ველისა, ერთგმობით (56, გვ. 261). ამ შემთხვევებში კომპლექსი დასტურდება მორფემათა ზღვარზე და არა ძირეულ მორფემაში და, რაც მთავარია, თანამედროვე ქართულის დიალექტებში, სადაც ხშირად იხმარება /ჟ/ ფონემა, უკვე მომხდარა თჟ > თხ პროცესი (თ-ს გავლენით ჟ > ხ); მაგ. ინგილოურში დასტურდება „ერთხელ“ და არა „ერთჯელ“, მაშინ როცა დიალექტში ცალკე „ველი“ ფორმაა გაბატონებული.

საერთოდ თანამედროვე ქართული ენის არც ერთ დიალექტში არ დასტურდება /თჟ/ კომპლექსი. ქართული ენის სტრუქტურული თვალსაზრისით ხშული + ჟ (ფჟ-, თჟ-, ცჟ-, ჩჟ) არაა ბუნებრივი კომპლექსი (59, გვ. 106) და, ამდენად, არცაა მოსალოდნელი. ივარაუდება მორფემის შიგნით თანმიმდევრობა ხმოვნის რედუქციის გარეშე.

შენიშვნა: დადასტურებულია თითო-ოროლა შემთხვევა, სახელდობრ, მთიულურში: ფჟიჟა „ყველის მატლი“ (59, გვ. 106). ქართველური ენებიდან სვანურში დადასტურებულია /ცჟ/ კომპლექსი: ცჟჟემჟდ || ცჟემჟდ „შვილდისარი“; ამ ბოლო კომპლექსის გასაყრელად ჩნდება ანაპტიქსური ხმოვანი [ი] და გვექნება (ცჟჟემჟდ || ციჟიმჟდ), ან: მეორე კომპონენტი /ჟ/ შეცვლილია /ხ/-დ: ცხემჟდ (14, გვ. 50).

იმავე სვანურში /ცჟ/ კომპლექსი მეორეულია: ცჟჟემჟდ ← ცხჟი + ჟემჟდ: ცხჟი „ისარი“, ჟემჟდ „მშვილდი“.

რაც შეეხება /თხ/ კომპლექსს, იგი მომდინარეობს დაჯ-იდან მო-

რფონოლოგიური ცვლილების საფუძველზე: დაჯ > *დჯ, და ეს უკანასკნელი სიმულანტურად გადავიდა ბუნებრივ ჰომოგენურ /თხ/ კომპლექსში: დაჯ > *თჯ > *თჯ > თხ.

ქართული ენის კახურსა და ინგილოურ დიალექტებში /ჯ/ ფონემა ძირითადად იმ სიტყვებში იხმარება, სადაც ძველ ქართულში გვექონდა. ანალოგიური დებულება მთის დიალექტების მიმართ წამოაყენა აკ. შანიძემ (80, გვ. 16).

მოგვყავს ინგილოურში დადასტურებული /ჯ/-ს შემცველი სიტყვების მოკლე სია: ჯარ(ი), ჯელ(ი), ზემწიფეი || ჯელმწიფეი, ჯევ(ი), ჯელოსან(ი), ჯოჯობ(ი), ჯორც(ი), (მ)ჯარ(ი), (მ)ჯეც(ი), (მ)ჯცო-ჯან(ი), (მ)ჯნე, მენაჯ(ი) (← ვენაჯი), თიჯამ, საჯელ(ი); ფეჯი (კახური), მუჯლ(ი), ოჯერ(ი), ჯმამ, ჯმალ(ი), ჯმარეჯამ, ჯმელ(ი), ჯნამ (← ჯნვა), ჯსნამ, ჯსნილ(ი), ჯშირ(ი), ჯშვამ, ჯვიშირი (კახური), ჯდომამ, აჯდამ, გაჯშამ(ი), დაჯშობილ, ჯუჯრუტი (ქიზიყ. „ნახვრეტი“), ჯრწლ (← *ჯრუელ ← ჯურელი), ჯრწტ (← *ჯრუეტ ← ჯურეტი), ჯნწშამ (← *ჯნუეშა ← ჯუნეშა) (45), ჯწლამ (← ჯუელა), ჯჷჯჷნ (← ჯვიჯვინი), ჯრუალ (ინგილ. „ცხელი“ შდრ. ძვ. ქართ. მკურვალე)...

დასახელებული მაგალითების გარდა კახურსა და ინგილოურში /ჯ/ იხმარება შემდეგ სიტყვებშიც: ჯარჯაბამ (ინგილ. „ქედანი“), ჯანჯრატო (ინგილ., ქიზიყ.), ჯიფ(ი), ჯეტი (ქიზიყ. „შტერი“) (40), ჯინცვამ („მკვიდროდ ჯდომა“), ჯუნჩულამ (აჯუნჩულ „მოხრილი, მობუზული“), ჯონჩამ, ჯირჯალ || ჯერხალ, იჯანი (ქიზიყ., თუშური „ზღურბლი, დირე“) (61, გვ. 201), ჯლამ (დაჯლამ, მიჯლამ), ჯლეჩამ („გაჯლეჩა“), ჯლარჩ-ჯლურჩ („მტერევის ხმა“), ჯჷცოი („გამხმარი რძე ჯურჷელზე“), ჯჩოჯამ („ხრჩობა“)...

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ /ჯ/-ს შეიძლება მოსდევდეს ხმოვნები (ა, ი, ე, ო, უ), უმლაუტიანი ხმოვნები (რ, ჯ), სონორები (რ, ლ, მ, ნ, ვ), სპირანტები (ს, შ), ხშულები (ც, ჩ, დ, ბ).

/ჯლ/, /ჯბ/ კომპლექსები მიღებულია მორფოფონოლოგიური ცვლილების საფუძველზე: ჯბო ← ჯაბ-ორ (14, გვ. 154). არაბუნებრივი კომპლექსი წარმოიქმნება მორფოლოგიური მოდელის დაწოლით

(მომხდარა ხმოვნის რედუქცია); ძირის კუმშვის შედეგად მიღებულ /ვბ/-ს უნდა მოეცა ბუნებრივი /ვუ/, /ვვ/ ან /ვმ/ კომპლექსი. მაგრამ /ვბ/ კომპლექსის გადასვლას /ვუ/-სა ან /ვვ/-ში ხელი შეუშალა მომდევნო ლაბიალურმა [ო]-მ. ხოლო ქართული ენის თუშურ კილოში /ვბ/ კომპლექსი შეცვლილია /ვმ/-დ: ვბო > ვშო (62, გვ. 151).

რაც შეეხება ვედ-/ვდ- (გარდავკედ > ჯდომა), ჯად-/ვდ- (116) (მოჰჲადა > მოჲდა), /ვდ/ კომპლექსში /ვ/ ფონემის გავლენით /დ/ იქცევა /თ/-დ, ე. ი. კომპლექსი ხდება ჰომოგენური (ვდ/ვთ): გარდაჲდა > გადაჲთა, მოჲდა > მოჲთა, ჯდეგ > ჯთეგ.

ანალოგიური მოვლენები დადასტურებულია ძველ ქართულშიც, სადაც /ვ შ ს ქ ც/ -ს მომდევნოდ დ > თ (გარდაჲდა > გარდაჲთა, დაშდომა > დაშთომა, ესდენი > ესთენი, ცდომა > ცთომა, სთქდომა > სთქთომა) (103, გვ. 52).

/ვ/-ს შემცველი კომპლექსები (ვჩ-, ვც-, ვშ-) განიხილება დიაქრონიულ მიმართებაში.

ჭაფრიკატი: ა) ვჩოგაჲ (ივჩრვ || უჭჩრვ, დამჩო, დაავჩრლი); ეს კომპლექსი საინტერესოა იმით, რომ ძვ. ქართულში [რ]-ს წინ განვითარებული [ხ] ინგილოურში შეცვლილია /ვ/-დ: ავჩოგხ (← ძვ. ქართ. ახრჩობხ ← არჩობხ ← *აჩობხ ← აშთობხ ← აშულობხ...) (32, გვ. 126-127). რაც შეეხება რ-ს, რომელიც გაჩენილია [ჩ] (←შთ)-ს წინ, ინგილოურში იკარგება რ: ხრჩ → ვჩ, ანალოგიური ვითარებაა კახურში, ოღონდ ხრჩ → ხჩ, სადაც [ხ] არის დამკვიდრებული, [რ] არ გვაქვს [ხ]-სა და [ჩ]-ს შორის (ახჩოფხ, დაიხჩო).

/ვჩ/ კომპლექსი დასტურდება აგრეთვე ქიზიყურში, ხევსურულში (104, გვ. 290), (მაგ. ხჩოლა ← ვჩჩოლა „ბოლი, კვამლი“).

ბ) ვ + ც: (მ)ვცოვან (← მვცოვანი „კადაროსანი“).

ინგილოურ კილოში ვც კომპლექსს დაკარგული აქვს თავკიდური მ/, ხოლო /ვ/-სა და /ც/-ს შორის /რ/ ისმის: (მ)ვრცოვან.

/ვც/ და /ვშ/ კომპლექსებთან დაკავშირებით ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, „ვც, ვშ კომპლექსები არ ჩანს ბუნებრივი ქართულისათვის. ზემოთ ჩვენ შევხებით ამ კომპლექსთა სუპერაციის ერთ-ერთ გზას: რ ვითარდება კომპლექსის პირველსა და მეორე კომპონენტს შორის. ამ კომპლექსთა დაძლევის მეორე საშუალება წინამავალი ვ

თანხმონის დისიმილაციური გამკვეთრება ჩანს“ (57, გვ. 227).

ამასთან დაკავშირებით ბ. გიგინეიშვილი სრულიად სამართლიანად წერს: „**ეშ** არანაკლებ ძნელი ჯგუფია ქართულისათვის. ამიტომ **ვშ** → **ეშ** შესაძლოა **ვშ**-ს დაძლევის მიდრეკილობით კი არ იყოს გამოწვეული, არამედ იმ გარემოებით, რომ **შ**-სა და **ც**-ს წინა პოზიციაში გლოტალიზაციის მიხედვით დაპირისპირება ირელევანტურია, რაც შესაძლებლობას ქმნის ამ ტიპის აქცესურ ჯგუფთა თავისუფალი მონაცვლეობისას“ (9, გვ. 56).

ამ ორი ვარაუდიდან გამომდინარე, ზ. სარჯველაძე **ივშ**-ს **იეშ**-დ ცვლის მიზეზად **ივშ**-ს არაბუნებრიობა მიაჩნია და სუპერაციის ერთ-ერთ გზას [რ]-ს განვითარებისა და **ივ**-ს **იე**-დ ქცევაში ხედავს, ხოლო ბ. გიგინეიშვილი **ივშ**-ს **იეშ**-ში გადასვლის მიზეზს წინა პოზიციაში გლოტალიზაციის არარელევანტურობას მიიჩნევს.

ჩვენი ვარაუდით, **ივშ**-ს **იეშ**-დ ცვლა მორფოფონოლოგიური ცვლილების შედეგია: **ეაშ/ეაშ/ეშ** (რედუცირებულია ხმოვანი). **ეაშ**-ფუძე აღდგება ზმნის ფორმებში (დაჰვაშ, დაჰვაშთ).

მაგალითები: „**დაჰვაშ** კარი შენი“. (28, გვ. 138); „**დაჰვაშთ** სასუფეველი წინაშე კაცთა“.

საერთოდ, **ივ**-ს მონაცვლეობა **იე**-სთან ინგილოურსა და კახურში ჩვეულებრივი მოვლენაა. **ივ** შეიძლება მონაცვლეობდეს მისივე ლოკალური რიგის ფონემა **იე**-სთან ან **ივ** მონაცვლეობდეს **იხ**-სთან, ან პირუკუ; მაგ., ინგილოურში **ვყ**: **ფეჰ/ფეჰ** (ძვ. ქართ. ფერჰ-ში რ მეორეულადაა მიჩნეული) (იხ. 68, გვ. 138), **თოჰჰოჰ, ჩოჰაჰოჰაჰ, დაჰეჰე/ დაჰეჰე, დაჰოცა/დაჰოცა, ნაჰეჰე/ნაჰეჰე, ხეთოჰ-ვეთოჰ ჭეთოჰ, დაჰშობილ/დაჰეშობილ...** **ვხ**: **გარჰარ/გარხარ, გაჩაჩო-გამაჩაჩაჩოგამ, ხერგალ/ჩირხალ, ყანყრატო/ჩანგრატო...**

კახურში **ეჰ**: **ყანყრატო/ჩანგრატო, ქიზიყი/ქიზიყი, ყიჩაჩ-გიჭიჩაჩი...** **ხჰ**: **ძროხა/ჩროჰა, ახლო/ბჰლო, მოხუცდენ/ბოჰუც-**
დენ (83, გვ. 7-17).

ჩვენ ვუშვებთ **ეჰ** მონაცვლეობას ძველ ქართულშიც (დიალექტურ დონეზე) CVC სტრუქტურის ძირებში, რის შედეგადაც შესაძლებელია **ეაშ/ეაშ**; ამ ფუძეთა კუმშვის შედეგად კი მივიღებთ **ივშ** და **იეშ** კომპლექსებს იმის მიხედვით, რომელი ფუძის კუმშვა მოხდა.

ძველი ქართული შეესეულად > შეესეულად მიგვითითებს იმაზე,

რომ /ს/-ს წინ (resp. შ-ს წინ) ბუნებრივია /ვ/ და არა /ყ/. მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვ/ყ მონაცვლეობა შესაძლებელია ფონეტიკური გარემოცვის მიუხედავადაც. ძველი ქართულის დონეზე ბუნებრივია აქცესიური თჷ-, ძჷ-, კჷ- და სხვ., ასევე კომპოგენური გზ-, ვს- და ვშ- კომპლექსები.

თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზი.

ამჟერად ჩვენ განვიხილავთ თანხმოვანთა კომპლექსებს, რომლებიც ერთი მორფემის ფარგლებშია რეალიზებული: I პოზიცია ანლაუტში (#-V), II პოზიცია — ხმოვნებს შორის არსებული კომპლექსები (V-V), III, როდესაც თანხმოვანთა კომპლექსი დგას ხმოვანსა და პაუზას შორის (V-#).

C₁ გაერთიანებულია /ბ ფ პ მ ვ/, C₂ კლასში — წინაენისმიერები /დ თ ტ *ძ ც ც წ ზ ს ჳ ჩ ჩ ჰ ჟ უ შ/, C₃ კლასში ერთიანდება — /რ ლ ნ/, C₄ კლასში აერთიანებენ ფარინგალებსა და ლარინგალებს /გ ქ კ ლ ხ ყ ჯ ჰ ე/. ჰ-სა და ე-ს პირობით აერთიანებენ C₄ კლასში, რადგან ვერ არღვევენ აკრძალვის ძირითად ფონემატურ წესს მორფემის ფარგლებში (59, გვ. 78).

§7. პოზიცია # - V

პირველ რიგში განვიხილავთ სიტყვათა თავკიდურ პოზიციაში თანხმოვანთა კომპლექსებს ერთი მორფემის ფარგლებში.

სალიტერატურო ქართულსა და მთის კილოებში სიტყვის თავკიდურად არ შეიძლება შეგვხვდეს /მმ-, ბბ-, ფფ-, პპ-, მმ-, მფ-, მპ-, ბმ-, ბფ-, ბპ-, ფმ-, ფპ-, ფბ/. ამავე C₁ კლასში შემავალი ვ თანხმოვანი ამავე წესს მისდევს. ეს კომპლექსები აკრძალულია ერთი მორფემის ფარგლებში თავკიდურ პოზიციაში.

ზ. ჭაფარიძე აყალიბებს კანონს: „თავკიდურ კონსონანტურ ჯგუფში არასონორს არ შეიძლება მოსდევდეს იმავე აქტიური ორგანოთი ნაწარმოები, მისივე ან მომდევნო ლოკალური რიგის (რიგების) სხვა

* C₂ კლასში შემავალი წინაენისმიერი აფრიკატები ძ და ჟ, რა თქმა უნდა, ინგილოურში სხვა თანხმოვნებთან კომპლექსებს ვერ ქმნიან, რადგან ამ დიალექტში მათ ცვლის ზ და ე ფონემები (შესაბამისად რიგისა).

არასონორი“ (112, გვ. 147).

აქედან გამომდინარე, ერთმანეთს არ შეიძლება მოსდევდეს ორი იდენტური (ერთი და იგივე) თანხმოვანი თავკიდურ პოზიციაში.

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, ინგილოურ კილოში (ასევე აღმოს. საქართველოს მთისა და ბარის დიალექტებში) C_1 კლასში შემაჯავალი ლოკალური რიგის შიგნით შემაჯავალი ფონემები /მმ-, ბბ-, ფფ-, პპ-, მმ-, მფ-, მპ-, ბბმ-, ბფ-, ბპ-, ფმ-, ფპ-, ფბ/ ერთი კომპლექსის ფარგლებში არ გვხვდება. ასევე ინგილოურში იდენტურ თანხმოვანთა კომპლექსები /მმ-, გგ-, ვვ-/ მარტივდება პირველი თანხმოვნის დაკარგვით:

მმართველი > მართველ, გგონია > გონი, გვარჯიშობ > ვარჯიშოვ || ვარჯიშობ.

C_2 კლასში შემაჯავალი ფონემები /ღ თ ტ ძ ც წ ზ ს ჯ ჩ ჰ ჳ უ/ წინაენისმიერებია.

წინაენისმიერი + წინაენისმიერი ($C_2 C_2$) აკრძალულ კომპლექსებს წარმოადგენენ თავკიდურ პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში.

მიუხედავად ამისა, არის რიგი სიტყვებისა, სადაც სპირანტებს შეიძლება მოსდევდნენ აფრიკატები, სპირანტი + ხშული, აგრეთვე აფრიკატი + ხშული; მაგ.:

1. სპირანტი + აფრიკატი: სწავლა, სწორი, სწრაფი; სჯული, სჯაბასი.

2. სპირანტი + ხშული: სტამბა, სტაფილო, სტვენა, სტრიქონი, სტუმარი; შთა- (შთა- ზმნისწინი); შტო, შტერი, შტოფი.

3. აფრიკატი + ხშული: ცდა, ცდომა, ჯდომა, ჰდე (62, გვ. 135).

აკრძალვა C_2 კლასში (ე. ი. $C_2 C_2$) ქართულში დარღვეულია რვა კომპლექსის (სწ-, სჯ-, სტ-, შთა-, შტ-, ცდ-, ჯდ-, ჰდ-) შემთხვევაში, ხოლო ქართული ენის სხვადასხვა ქვესისტემაში (გარდა აღნიშნული კომპლექსებისა) დადასტურებულია ზღ- (ზღველი), სთ- (სთვა), ჩდ- (ჩდილი) კომპლექსები.

სჯ-, ჯდ-, ცდ-, ჰდ- მხოლოდ ზმნათა ფორმებში დასტურდება და მოდის გახმოვანებული ძირიდან (CC ← CVC) (59, გვ. 138).

დიაქრონიულ ქრილში განიხილება $C_2 C_2$ და $C_2 V C_2$ რიგის სხვა გამონაკლისებიც:

„1. ცდ-, ცად-, ცედ: ისტორიულად ესენი მორფემათა შესაყრის

კომპლექსებია, ე. ი. აღდგება ც — დ (ცდილობს), ც — დ (ცდება), ც — აღ (ცადა), ცედ (შევცედ > შევცდი).

2. ჯღ-, ჭედ-: აქაც საქმე გვაქვს მორფემათა შესაყართან, ე. ი. აღვადგინოთ ჯ — დ და ჯ — ედ.

3. წეს-: წ — ეს, შდრ. წ — ოდ, წ — ან.

4. შეფე: ფ — აღ, ფ-ლ-ობა, მე-ფ-ე, აქაც საქმე გვაქვს მორფემათა შესაყარის კომპლექსთან.

5. ჰღე- < ჰ-ღ-ე, შდრ. ჰედ (ჰედავს) და ჰიდ (მოჰიდება)...

6. შთა < შ-თა < შე-ღ-ა.

7. ტაც-: ტ-აც, შდრ. ტ-ან: გატანება...“ (62, გვ. 138).

რაც შეეხება სტ- კომპლექსს, C₂ C₂ — კომპლექსი რეალიზებულია სესხების შედეგად (იხ. ქვემოთ).

ჩვენ მიერ მოპოვებული და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ინგილოურისა და კახურის მონაცემთა მიხედვით საანალიზო მასალა მრავალფეროვანია და სხვადასხვაგვარ სურათს იძლევა.

ინგილოურში მკაცრად არის დაცული C₂ C₂ — კლასის კომბინაციები თავკიდურ პოზიციაში. ქართული ენის სხვადასხვა ქვესისტემისაგან განსხვავებით, ინგილოურში რეალიზებულია მხოლოდ შემდეგი კომპლექსები:

1. აფრიკატი + ხშული: ჩღ- (ჩდილ, ჩდევე), ცღ- (ცდაჲ, ცდევე), ჯღ- > ჟღ- (ჟდევე).

2. სპირანტი + ხშული: შტ- (შტოფ), სტ- (სტოლ); ბოლო კომპლექსი სხვადასხვაგვარ სურათს გვიჩვენებს:

ა) სტ- ბგერათა კომპლექსის წინ სხვადასხვა ხმოვნების დართვით; მაგ.: სტაქან > ისტაქან || ესტაქან, სტანცია > ისტინციაჲ, სტამბული > ისტამბულ, სტოლ > ისტოლ, სტარშინა > ასტარჩინაჲ (18, გვ. 70), ისტალაგაჲ (50). ანალოგიური ვითარება გვაქვს სკ-, შკ-, სპ- კომპლექსების შემთხვევაშიც: სკამი > ისკამ, სკლადი > ისკლად; ს/შკოლა > იშკოლ || უშკოლ; შკაფი > იშკაფ; სპიჩკა > ისპიშკაჲ || ისფიშკაჲ || იფიშკაჲ...

ინგილოურში ასეთი ფორმების დამკვიდრება გამოწვეულია აზერბაიჯანული ენის ძლიერი გავლენით.

ბ) მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც სტ- კომპლექსს (C₂ C₂)

თავიდან არ უვითარდება ხმოვანი: **სტაფილო** (*ისტაფილოჲ || *უსტაფილოჲ), **ს/შტვენა**¹ (*ისტვენა), **სტოლბა** (*ისტოლბაჲ), **სტადიონი** (*ისტადიონ), **სტრიქონი** (*ისტრიქონ); ეს უკანასკნელი ინგილოურში უფრო ხშირად იხმარება „**ჟერგაჲ**“ (რიგის, მწკრივის მნიშვნელობით).

სამართლიანად შენიშნავს ინგილოური კილოს მკვლევარი — გრ. იმნაიშვილი, რომ „ასევე წინახმოვნის გარეშე იხმარება სოფ. სამთაწყაროში აგრეთვე „**სტოლ**“, „**სკლად**“, „**სკამ**“ და სხვა. აქ, ამ სიტყვებში საქმე უნდა გვქონდეს წინახმოვნის არდართვასთან კი არა, არამედ მის ჩამოცილებასთან, რაც ახალი (მათი ახალ ადგილზე დასახლების შემდეგდროინდელი) მოვლენა უნდა იყოს და უნდა მიეწეროს ქართულის გავლენას“ (18, გვ. 71, შენ. 1).

ქართული ენის კახურ დიალექტში **/ს/** ფონემა **/ტ/-ს** წინ მეტისმეტად მერყევი გამხდარა: **/ს/** შეიძლება სულ დაიკარგოს ან **/ს/** გარდაიქცეს **Ბ**-დ.

/ს/-ს დაკარგვა-გარდაქცევა სხვა კილოებშიც გვხვდება (კერძოდ, მესხურში, ჭავჭავურში, ქართლურში).

1) ანლაუტში **[ს]** გარდაიქცევა **[მ]**-დ: **მტანცია**, **მტუმარი**... შდრ. ქართლ. **მტოლი**; მთიულურ-გუდამაყურულში **ს** წინ უჩნდება ირაციონალური ხმოვანი **გ**: **სტაქანი** > **გმჰტაქან** „ჭიქა“ (იხ. 107, გვ. 276). ქართლურში: **გმტუმარი** „სტუმარი“.

2) ინლაუტში (ძირეულ ელემენტში): **ჩუმტი**, **ნემტორა**, **კომბომტი**, **დამტური** და სხვ. ადგილი აქვს **შ/მ** თავისუფალ სუბსტიტუციას: **მუმტი**, **მუმტარი**, **ტამტი**... **[მ]** მიღებულია **Ლ**-საგან (**შ** → **ს** → **მ**) (39, გვ. 34).

არნ. ჩიქობავას აზრით: „შინი სანით იყო შეცვლილი მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა მოგვცა კანონზომიერი რეფლექსი“ (88, გვ. 67).

ზოგჯერ **Ლ**-თან და **Მ**-სთან **Ბ**-დიფთონგს შეადგენს: **მს**, **მჰ**, **მჰში** **მჰს**; ბოლო კომპლექსი მხოლოდ ქართლური კილოს ალგეთურ მერყეულებაშია გამოვლენილი (55, გვ. 18); მაგ.: **შამჰშჰამ**;

¹ ვარსკვლავებზევ ალნიშნული ფონემები ვერ დავადასტურეთ.

¹ „ს/შტვენა-ს ინგილოური კილოში წინ განუვითარდა სჟ- (C₂ C₂ → CVCC): ა) „სჟსტჟნ — ლერწმის ან კაქლის ხისაგან გაკეთებული ჩასაბერი საკრავი; ბ) „სჟსტჟნ — სტვენის მნიშვნელობით.

შამქსწვდეს, მომქსტეხოს (55, გვ. 14).

ქართულურში დადასტურებულია მტ- კომპლექსი თავკიდურ პოზიციაში: მემსტვირე, პრემსტავი, ამსტამი, ჩუმსტემი, კაბუმსტამ; მს > მჭ: ბომჭტანი... (55, გვ. 13). 'ს' გარდაისახება 'ჭ'-დ: ლაჭტი, კომბოჭტო და სხვ.

ინგილოურში ინტერვოკალურ პოზიციაში ხმოვნებს შორის მოქცეული 'ს' გარდაისახება 'ჭ'-დ, ხოლო ეს უკანასკნელი იკარგვის; მაგ.: ისიც > *იჭიც > *იიც > იც, იმასაც > *იმაჭაც > იმააც.

ვ. თოფურისა აზრით, ... სწორედ ეს მს დიფონგი უნდა იყოს გარდამავალი საფეხური. შემდეგ ალბათ დიფთონგური სანის დაკარგვით მ შეპრჩა ზმნებს („ამტყდა“ და სხვ.), მაგრამ სუსტი მ-ც ვერ ძლებს ხანგრძლივად და დროთა ვითარებაში ისიც იკარგვის... სტოლი > მსტოლი > მტოლი > ტოლი; მისდეგს > მემსდეგს > მიმდეგს > მიდეგს და სხვა“ (13, გვ. 130).

ს > 0 (ნული): კახურში სწრ-, სწ-, სტ- და სპ-, სკ- კომპლექსების წინ ს ხშირად იკარგვის. ამ მხრივ კახური კილო ახლოს დგას ქართულთან (55, გვ. 36), ჯავახურთან (5, გვ. 38) და მესხურთან (102, გვ. 245).

მაგ., კახურში: სწრაფად > წრაფათ, სწორი > წორი, სწორედ > წორედ, სწავლა > წავლა; სტუმარი > ტუმარი, სტაქანი > ტაქანი, სტრაჟნიკი > ტრაჟნიკი, სტოლბა > ტოლბა, სტვირი > ტვირი... სპილენძი > პილენძი, სპიჩკა > პიჩკა... სკამი > კამი (88, გვ. 66). სწ > მწ ინტერვოკალურ პოზიციაში: სამწორზე, ამწავლა, გამწი (← გა-სწი) (39, გვ. 46).

კახური კილოსაგან განსხვავებით, ინგილოურში სტ-, სპ- და სკ- კომპლექსებში 'ს' არ იკარგვის. 'ს' იკარგვის მხოლოდ სწრ- და სწ- კომპლექსებში, ე. ი. თავკიდური 'ს'-ს გარეშე გვაქვს: წრაფა („სწრაფად“), წორი || წორი („სწორია“), წორ („სწორი“), წავლა („სწავლა“).

სტ-, სპ-, სკ- კომპლექსების წინ ჩნდება შუაენისმიერი ი (იხ. ზემოთ, გვ. 48).

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით საშუალება გვეძლევა ვთქვათ შემდეგი: ინგილოურსა და კახურში ს + მკვეთრი თანხმოვანი (სწრ-, სწ-, სტ-, სპ-, სკ-) არაბუნებრივი კომპლექსების შემთხვევებში

კახურში იკარგება პირველი კომპონენტი, ისევე — ნიშანდობლივია ხმოვნის გაჩენაც.

ეს თითქმის ყოველთვის იკარგვის C_2 კლასში შემავალი თანხმონების წინ, რომლებიც მორფემათა ზღვარზე იქმნებიან თავკიდურ პოზიციაში: სძინავს > ზინავს, სძოვს > ზოვს, სჯავრობს > ჟავროვს, სჩადის > ჩადის > ჩიის; სწევს > წევს, სჯობია > ჟობია, სთვრება > თრჯ და სხვ.

კახურ კილოში კი ს გარდაიქცევა მ-დ: სჭირდა > მჭრიდა, სკამდა > მშქამდა > მქამდა, სჯობია > მჯობია, სთვრება < მთვრება...

ბოლოს აღსანიშნავია ის, რომ დღესდღეობით სახელი სხვადასხვანაირი ფორმით შეიძლება შეგვხვდეს (სტუმარი || მტუმარი || ტუმარი).

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ უპირატესად პირვანდელი (სრული) სახით გვხვდება: სკამი, სკლადი, სპილენძი, სტოლბა.

ს-ს დაკარგვა ან სხვა ბგერად გარდაქცევა უმეტესად გვხვდება ტ-სა და წ-ს წინ: ტ-ს წინ იკარგება აგრეთვე ყრუ-ფშვინვიერი, C_2 კლასის ნაპრალოვანი შ ბგერა ქართლურში (ალგეთურში): შტოფი > ტოფი (55, გვ. 39), ინგილოურ კილოში კი შტ- კომპლექსს, როგორც შტო სიტყვის შტ-ს, გაუჩნდა ანაპტიქსური წარმოშობის მ (შტო > შიტომ): ხის შიტობსაც გადმოვკაფავ... (109, გვ. 133; 71).

ს-ს დაკარგვა-გარდაქცევა აიხსნება მისი და მეზობელი თანხმონების წარმოების ადგილის მიხედვით, დასავლურში მსგავს კომპლექსებში -ს უცვლელად შენარჩუნებულია. ცვლილებას განიცდის ან სულ იკარგება მეორე კომპონენტი (სწ- > სტ-, სწრ- > სრ-, სთ- > ს-, სც- > ს-): სტავლა „სწავლა“, გაასრა „გაასწრო“, მასან „მასთან“, მისა „მისცა“, მოსილდა „მოსცილდა“... (22, გვ. 32).

ცვლილებები აღმოსავლურ და დასავლურ კილოებში ფონოლოგიურად იდენტურია: მიუღებელი კომპლექსიდან იკარგება ერთ-ერთი შემადგენელი — აღმოსავლურ დიალექტებში თავკიდურა თანხმოვანი (სწავლა > წავლა), დასავლურში — მეორე კომპონენტი (სწრება > სრება „გასწრება“).

ერთ-ერთი კომპონენტის დაკარგვით ფონემათა კომბინაციები ბუნებრივი ხდება.

რაც შეეხება დასავლურში დამოწმებულ სწ- → სტ- პროცესს (სწავლა > სტავლა), ეს გახლავთ კომპლექსის გამარტივების ცდა.

ვ) მორფოლოგიურ ელემენტებში (ნათ. და მიცემითს ბრუნვებში) ს გარდაიქცევა [ჟ]-დ, თუ მას წინ ხმოვანი უძღვის, ხოლო სრულ დაკარგვასთან გვაქვს საქმე ბოლოთანხმოვნიან სახელებთან.

შთა- კომპლექსი, როგორც სხვა დიალექტებში, ასევე ინგილოურში იძლევა ჩა-ს (შთაგონება > ჩაგონებაჟ || ჩაგონევაჟ); შდრ. სალიტ. ქართ. ჩავიდა (← შთავიდა), ჩა- (← შთა- ← შდა ← შედა), რომელიც ჩვეულებრივ ფორმადაა ქცეული.

სჯ- || შჯ- || რჯ- || რჩ- კომპლექსის ნაცვლად ინგილოურში გვაქვს სჟ-, რომელიც მარტივდება: სჯული (|| შჯული || რჯული || რჩული) → ჯულ / ეულ (შდრ. რჯულძადლი → ინგილ. ჯულძადლი / ეულზადლ).

ძველ ქართულში დადასტურებულია კომპლექსი რჩ- სიტყვებში: რჩული, სარჩელი...

ძვ. ქართულში სჯულმა ორგვარი განშტოება მოგვცა:

1. სჯ- > შჯ- (ჯ-სთან ს იქცა შ-დ და მივიღეთ შჯული);

2. სჯ- > სჩ- (ნაწილობრივი ასიმილაცია ჯ > ჩ), შემდეგ ს-სა და რ-ს მონაცვლეობის შედეგად რჩული და აქედან ნაწარმოები სხვა ფორმები მივიღეთ (37, გვ. 49).

ძვ. ქართულში რჩულთან ერთად შეიძლებოდა გვეკონოდა სჩულიც (შდრ. სჯული || რჯული; სთველი || რთველი, სძალი || რძალი...).

ორივე ნამყო დროის მიმღეობაა და განვითარების ასეთი გზა აქვს გავლილი: საჯული → სჯული, *სჩევული > *სჩული (შდრ. რჩეული ← რჩევული) (103, გვ. 52).

ამგვარად, სჯ- (სჯული ← საჯული) კომპლექსი თავიკიდურ პოზიციაში მომდინარეობს გახმოვანებული პრეფიქსიდან (CC ← CVC).

ზემოთ განხილული მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ინგილოურში C₂ კლასში შემაგალი ფონემები /დ თ ტ ც წ ზ ს ჩ ჯ ე შ / თავიკიდურად ერთი მორფემის ფარგლებში ერთიმეორეს არ მოსდევნენ.

აღნიშნულ პოზიციაში აკრძალული კომპლექსის აცილება სხვადასხვა გზით ხორციელდება: ა) ხდება თანხმოვანთა შერწყმა (შთაგო-

ნება > ჩაგონევაჲ); ბ) აკრძალული კომპლექსების წინ ჩნდება ხმოვანი (სტაქანი > ესტაქან || ისტაქანი); გ) კომპლექსი მარტივდება (სწავლა > წავლაჲ, სწრაფი < წრაფ...).

C₃ კლასში შემავალი /რ ლ ნ/ სონანტები #-V პოზიციაში (ე. ი. რლ-, რნ- და ლნ-, აგრეთვე ლრ-, რნ- და ნლ) აკრძალულია ერთი მორფემის ფარგლებში.

აღნიშნული კომპლექსები (რლ-, რნ-, ლნ-, ლრ-, ნრ-, ნლ-) მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში გვხვდება.

ინგილოურ კილოში C₄ კლასში შემავალი /მ ქ კ ლ ხ ყ ჯ ჰ ც / ფონემები თავიიდურ პოზიციაში არ ქმნიან კომპლექსებს. ასეთი კომპლექსები არ იქმნება არც მორფემათა ზღვარზე.

შენიშვნა: აქვე უნდა მივუთითოთ შემდეგ გარემოებაზე: C + /ჰჰ/ და /ჰჰ/ + C კომპლექსი არამარკირებულია; ეს უკანასკნელი გვქონდა მხოლოდ მორფემათა საზღვარზე (ჰ-ვნავს, ჰ-ჯაჯავს; ჰ-ქონი...).

O₂ პირის ნიშანი გ, როდესაც ზმნის ფუძე იწყება გ, ქ, კ თანხმონით, როგორც ინგილოურში, ასევე კახურში* ჩვეულებრივ იკარგება.

ზოგჯერ კახურში სრული ასიმილაციით გვაქვს იდენტურ თანხმოვანთა კომპლექსები თავიიდურ პოზიციაში: კკითხა ← გკითხა, ქქონდა ← გქონდა, ქქონდეს ← გქონდეს (შდრ. ქართლ. ქქონდეს...) (55, გვ. 26).

სრული ასიმილაციის შემდეგ კახურში ადგილი აქვს იდენტურ თანხმოვანთა გამარტივებას: გქ → ქქ → ქ, გკ → კკ → კ.

ინგილოურში იდენტური თანხმოვანთა კომპლექსები თავიიდურ პოზიციაში არ გვხვდება.

აღნიშნულ კლასში შემავალი /გ ქ კ/-ს წინ პირველი კომპონენტი გ- იკარგება, /ლ ხ ყ ჯ /-ს წინ კი გ — უმეტეს შემთხვევაში, შენარჩუნებულია; მაგ., დაკარგულია პირველი კომპონენტი გ.: გგონი, შდრ. კახ. გონი, გქონდა > ქონდა, შდრ. კახ. ქონდა; გკითხა > კითხა, შდრ. კახ. კითხა, კითხოს...

* თუმცა კახურში O₂ გ უკანაენისმიერ თანხმოვანთა წინ თითო-ორჯერ მაგალითში შეიძლება.

გ- იკარგება აქვს ხევსურულშიც, როცა ფუძისეული გ და ზმნის მაწარმოებელი გ ერთმანეთს ხვდება, ერთ-ერთი იკარგვის: გონავ ← გგონავ (112, გვ. 34).

ზემოთ განხილული მასალის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. # — პოზიციაში $C_1 C_2 C_3$ და C_4 კლასში შემაჯავალი ფონემები ერთი მორფემის ფარგლებში ერთიმეორეს არ მოსდევენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კუმშვის შედეგად მიღებულ კომპლექსებს $CVC > CC$ (ცად > ცდ-, ცედ > ცდ), და ისინი, ფონემატური ანალიზის დროს არ უნდა ჩაითვალოს ბუნებრივ კომპლექსებად, რასაც ადასტურებს ფონემატური ცვლილებები შეკუმშულ ძირებში (ფქვნა → ფხვნა, შდრ. ფექ → ფქ → ფხ), აგრეთვე თანხმოვანთა ბუნებრივი მიმდევრობები ძირისეულ მორფემებში.

2. მწიგნობრული გზით დამკვიდრებული რუსული ფონემები ცვლილებას არ განიცდიან (შტოფ, სტოლ, სტოლბაჟ, სტალიონ...), წიგნიერების საფუძველზე; შდრ. ძველი ნასესხობანი (იხ. ზემოთ, გვ. 48).

§8. V — V პოზიცია

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ინგილოურ კილოში აკრძალული არ არის ორი იდენტური, ე. წ. გემინირებული თანხმოვანი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, ქართულს არ უყვარს ორი ერთნაირი ბგერა, იგი ასეთ შემთხვევაში დისიმილაციას მიმართავს ხოლმე, მაგალითად, შემდეგ სიტყვებში: ჭანდაბა (< ჭაანდაბა < ჭაჰაანდაბა < ჭაჰანნამა არაბ. „ჯოჯოხეთი“, (80, გვ. 47), მმ → გმ → ნმ (ემმანუელ → ევმანუელ || ენმანუელ), ნნ → რნ → ლნ (სუნნელი → სურნელი → სულნელი) (103, გვ. 58).

ქართულში მოიპოვება სუფიქსი -ნარ. როდესაც იგი დაერთვის იმ სახელის ფუძეს, რომელიც ბოლოვდება ლ ან ნ სონანტით, მოსალოდნელი (ლნ-, ნნ-) კომპლექსის ფუძისეული ლ ან სუფიქსისეული ნ ჩვეულებრივ იკარგება; მაგ.: წაბ(ლ)-ნარ-ი, წიფ(ლ)-ნარ-ი, იფნ-(ნ)-არ-ი, მურყნ-(ნ)-ალ-ი (რ ფუძეებთან დისიმილაციით: ნალ); (82, გვ. 145); ხოლო Vლ + ნარ უცვლელად რჩება (ყვავილ-ნარ-ი, ხეხილ-ნარ-ი) (82, გვ. 146).

ინგილოურ კილოში დამოწმებულია შემდეგი გემინატები: -ბბ-, -

მმ-, -სს-, -შშ-, -რრ-, -ხხ-, -ნნ-, -ლლ-, -გგ-, -ჩჩ-, -წწ-. სიტყვები, რომელთა სტრუქტურა გამოისახება ფორმულით: თანხმოვანი + თანხმოვანი (CC): „ლო-ბბ-აზ“ („მასხარა, ხუმარა“), „პე-მმ-შა“ („ყოველთვის“), „პა-მმ-ა || ა-მმ-ა“ („მაგრამ“), „ე-შშ-აქ“ („ვირი“), „ი-შშ-იდ“ („სინათლე, შუქი“), „აზ-რრ-უდ“ („ავადმყოფი“), ბაზი-რრ-ულ („სანოვაგე, სამზადისი, თადარიგი“), „ზო-რრ-ამა“ („ძალდომიერობა“), „პა-რრ-ამა“ („ტრიალი“), „უნნულ“ („საფქვილე“), „გუმანუდ“ („ორსული“), „ჯან-ამა“ („ჯოჯობეთი“), „ქე-ლლ-ად“ („თავი, თავის ქალა“), „ბო-ლლ-უნ“ („სიუხვე“), „ე-ლლ-ი“ („ორმოცდაათი“), „მი-ლლ-ათ“ („ხალხი“), „ფაჩჩ-ად“ („ფადიშაპი“), „ა-სს-ად“ („კოკლი“), „თახსირრუდ“ („დამნაშავე“), „ყულულ“ („სამსახური“)...

ასევე იდენტურ თანხმოვანთა კომპლექსები იქმნება ქართულ სიტყვებში: კამეჩ, საჩხელ, სილლამ, დილლამ, ექქაჟ-იქქაჟ (აქედან-იქიდან), კიდდემ, ცამმეტ, რუჟამეტ, ცხრამეტ;² ამმიყონი, გამმილი, გამმიტანი, წამმიტანი, გამმელუზა, ჩამმაგდა, გამმიშო; გაათლენნი, დააკლრნნი, დააყურენნი; ერრაამ, ორრამ; დაკკლავ, მოკკლავ, დაკკმინო და სხვ.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, გემინირებული თანხმოვნები ინტერვოკალურ პოზიციაში მიიღება როგორც უცხო ენიდან შემოსულ, ასევე ქართულ სიტყვებშიც სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილების შედეგად.

ინგილოურში ძირითადად მოქმედებს პოზიციური და ექსპრესიული გემინაცია:

1. ა) პოზიციურ გემინირებულ თანხმოვნებად შეიძლება ჩაითვალოს C₂ კლასში შემავალ ფონემათა კომპლექსების ცვლილების შედეგად მიღებული თანხმოვნები: -რლ-, -ნლ-, ინგილოურში გადადის -ნნ-ში (სრული ასიმილაცია): ჰაზირრულ (← ჰაზირლულ „თადარიგი“), ზორრამა (← ზორლამა „ძალდომიერობა“), ჰარრამა (← ჰარლანმა „ტრიალი“); უნნულ (← უნლულ „საფქვილე“), გუმმანუდ (← გუ-

¹ „ამმა“-ში ქოთოქლოელთა მეტყველებაში მმ შეცვლილია მბ-თი დისიმილაციით: ამა ამა; (იხ. 18, გვ. 49).

² „ცამმეტ“ (← „სამი“ + მეტი ← ათსამეტი“), „რუჟამეტ“, „ცხრამეტ“ ფორმები დამოწმებული აქვს ჭერ კიდევ მ. ჭანაშვილს (იხ. 107, გვ. 227).

მანლუ „ორსული“), ნიშანნუჲ (← ნიშანლუ ← ნიშანლჳ, „დანიშნულ“).

ბ) გემინირებულ თანხმოვანთა კომპლექსი იქმნება მორფემათა ზღვარზე, როდესაც შედგენილი შემასმენელის სახელადი ნაწილის მრავლობითი რიცხვის ნ იმსგავსებს წინამავალ მიმღებობისეულ ლ-ს; მაგ.: გაათლენნ-ია (← || გაათლენნი^ა „გათლიან“, „გაითლებიან“), დაყურენნი^ა (← || დაყურენნი^ა „დაყვირებენ“, „დაიყვირებენ“), დააკლრნნი^ა (← || დააკლრლნი^ა „დაკლავენ“, „დაიკლებიან“... (18, გვ. 46).

გ) გ სრულ ასიმილაციას განიცდის კ-სთან (C₄ კლასი) მეზობლობაში და წარმოიქმნება ორი იდენტური თანხმოვანი ინტერვოკალურ პოზიციაში (გკ → კკ): დაგკლავ → დაკკლავ, მოგკლავ → მოკკლავ, დაგკმინო → დაკკმინო... ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართული ენის კახურ დიალექტში (მოგკლავ → მოკკლავ), ქართლურში (მოგკლავ → მოკკლავ).

დ) ჰჩ → ჩჩ და მპ → მპ: ფაჩჩაჲ³ (← ფაჰჩაჲ „ფადიშაი“), კამმეჩ (← კამბეჩი); ორ იდენტურ თანხმოვანთა კომპლექსი დადასტურებულია აჭარულშიც: თელნარი → თენნარი, სურნელი → სუნნელი; სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პროცესი მიჩნეულია მარცვალ-გამყარზე ასიმილაციის ნიმუშად (65, გვ. 20).

გემინატი ზოგჯერ მიიღება ორი სიტყვის შეერთებით: ერრამ || ერრაამ (← ერთი რამე), ორრამ || ორრაამ (← ორი რამე), მამმარტოჲ (← მარტოდმარტო).

ინგილოურ კილოში ხშირად გემინატი მიიღება ორი იდენტური თანხმოვნის თავმოყრით, რასაც წინ უძღვის ხმოვნის დაკარგვა. იკარგება /ე, ა, ო / ხმოვნები; სულ ერთია, ხმოვანი იქნება ფუძისეული თუ პრევერბისეული: მაგ.: საჩჩელ (← საჩეჩელი), აგგონი (← აგრგონი ← აგრე ჰგონია), პაწწაჲ || პიწწაჲ (← პაწაწა), გამოლლით (← გამოლალით)...

³ მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ინტერვოკალურ პოზიციაში /ჩჩ-/ კომპლექსი განმასხვავებელი ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია სხვა ფორმებთან მიმართებით; კერძოდ: „ფაჩჩაჲ“ (← „ფაჰჩაჲ“, „ფადიშაი“). „ფაჩჩეჲ“ (მრავლ. „ფადიშაები“); „ფაჩჩაჲ“ („ნაბიჯი“), „ფაჩჩეჲ“ (მრავლ. „ნაბიჯები“).

რთულ პრევერბიან სიტყვებში რედუცირებულია პრევერბისეული ო: ამმიონი (← ამომიყვანია), გამმილო (← გამომილია), გამმელუზა (← გამომელვიძა), ჩამმაგდა (← ჩამომმაგლო), გამმიტანი (← გამომიტანია), წამმიტანი (← წამომიტანია) და სხვ.

2. ერთ-ერთ სახეობად შეიძლება გამოიყოს ექსპრესიული ანუ სტილისტური გემინატები, რომელთაც ფუძისეულ თანხმოვანზე ახლავს გაძლიერებული წარმოთქმა.

ერთმა და იმავე პირმა შეიძლება ხან გაძლიერებული ტონით წარმოთქვას ფუძისეული თანხმოვანი, ხან კი — ჩვეულებრივად (ე. ი. მყარი საფუძველი არ გააჩნია).

ინგილოურში ძირითადად მოქმედებს სწორედ ექსპრესიული გემინაცია მარცვალგამყარ თანხმოვანზე ბგერათბაძვით სტილზე.

ასეთი ექსპრესიული „ბგერათბაძვითი“ სიტყვები ინგილოურში არის როგორც საკუთრივ ქართული, ასევე უცხო ენიდან (უმეტესად აზერბაიჯანულიდან) შემოსული.

ა) უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში: ამმა, მოლლაჲ, მილლათ, ელლი, ასსად, ჟაანნამა,⁴ იშშილ და სხვა მრავალი;

ბ) ქართულ სიტყვებში: ცამმეტ, ცხრამმეტ, რუამმეტ, კიდდემ ო კიდდემ, ექქაჲ, სილლაჲ, დილლაჲ და სხვ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამ გამოიწვია ინგილოურში ასეთ თანხმოვანთ კომპლექსთა განსხვავებული თანაფარდობა ქართული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით?

ინგილოური კილოს ქართულთან შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს:

1) ინტერვოკალურ პოზიციაში ორი იდენტური თანხმოვნის გაჩენა, რა თქმა უნდა, გამოწვეულია აზერბაიჯანული ენის გავლენით;

⁴ ინგილოური კილოს ერთ-ერთი თავისებურებაა ორ ხმოვანს შორის მოქცეული ქს დაკარგვა: ჟაანნამა (← *ჟაანანამა ← ჟაანანამა). შღრ. იმააც (← *იმაააც ← იმასაც). ნც (← *იპიც ← ისიც)... დაკარგვის მერე დარჩენილი ორი ხმოვან გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ს-სთანაც; ს იკარგვის ხმოვნებს შორის მყოფადის მიმდებარე: მასლლ (← მოსასვლელი), გააკეთველ (← გასაკეთებელი)... ბოლახმოვნისასხელთა მიცემითი ბრუნვის ფორმაში, როცა მას დაერთვის ემჟატიკური ა: ლამააც (← ლამესაც), დლეაც (← დლესაც) და სხვ.

2) ინგილოურ კილოში მოშლილია /d/ და /z/ ფონემები, რომლებიც თავის მხრივ ვერ ქმნიან კომპლექსებს, და, რაც მთავარია, თავკიდურ პოზიციაში, ჩვენი აზრით, თანხმოდანკომპლექსთა სიღარიბის გამო (რაც გამოწვეულია თანხმოდანთა დაკარგვით), სწორედ ამან, თავის მხრივ, გამოიწვია უკუპროცესი V-V პოზიციაში.

დასკვნა: ინტერვოკალურ პოზიციაში ინგილოურ კილოში დასაშვებია ნებისმიერ კომბინაციათა კომპლექსები C₁ C₂ C₃ და C₄ კლასში შემავალი ფონემებისა:

C₁ კლასი: „ბუმბული“ („ბუმბული“), „ბიმბილ“ („რბილზე რბილი“), „მამბალ“ (მაკე, ორსული“), „თამბალ“ („ზარმაცი“) „ქომბაჲ“ („ფურნის პური“), „კუმბრუცაჲ“ („ტურფა, მოხდენილი“), „ლამფურ“ („დიდი ტალახი“).

C₂ კლასი: „პაშტაჲ“ („ცოტაზე მეტი“), „კეთდეჲ“ („კეთდება, ხდება“).

C₃ კლასი: „ორნიმ“ („ორივე“).

C₄ კლასი: „მეჰკამ || მოჰკომ“ („მაგარი, ძლიერი“), „ზაჰყაჲ“ („უზარმაზარი“), „სახყალ || საჰყალ“ („წვერი, წვერ-ულვაში“), „სახყიზ || საჰყიზ“ („კევი“), „დაჰყა ფაფაჲ“ („მაღალი ბობოხი ქუდი, ფაფახი“), „ტაჰყაჲ“ („ხის კასრი“), „აჲაჰყაბ“ („ფეხსაცმელი“), „ყარა-კაჰყაჲ“, „ყარაკაჰყაჲ“ („ყურძნის დაავალებაჲ“), „კჰჰყაჲ“ („გუგული“) და სხვ.

§9. V — # პოზიცია

ინგილოურ კილოში V-# პოზიციაში გვაქვს ორ-, სამ- და ოთხწევრიანი კომპლექსები.

ოთხწევრიან კონსონანტთა ჯგუფში V-# პირველი და ბოლო წვერი მხოლოდ /r/ ლ ნ / სონორია.

თავკიდურად გვაქვს /-ნ-/ ან /-რ-/, ხოლო ბოლოში /-ლ-/:

-ნჩხლ: ჩო-ნჩხლ (||გვხვდება ლ-ს გარეშე, ე. ი. ჩონჩხ)

-რტყლ: სიმა-რტყლ („ზღმარტლი“).

-რდგლ: დო-რდგლ (|| დო=რდლლ) „დორბლი, ლორწვი“.

-რდლლ: ბა-რდლლ („აბურძგუნლი“, „ჭუჭყიანი“),

-რცხლ: ვა-რცხლ

-რტკლ: კო-რტკლ („ჰვარტილი“).

სამწევრიანი კომპლექსები სიტყვის ბოლოში: კორცხ, ხორკლ, ბანგლ (← ბანჯგლ ← ბანჯგვლი), მატყლ, სისხლ, დენგრ, ბავშვ || ბავშ და სხვ.

ორწევრიანები: გენგ, ზანგ, ავანგ, ლინგ || ლიკ, ქლუნგ, თუნგ, შიჰამანდ, ბანდ, სიმინდ || სმინდ, შუშაბანდ, წიწლანკ, ტლინკ, ტლუნკ, ზინყ || ზანყ, პირანყ, წკლუნტ, ყირინყ, ჩენჩ, კუნზ, ზონზ, გირც, კორც, შართ, მერთ, ფართ, ლურყ, ბორყ, ყარფ, ზჷრკ, ხარკ, ქერქ, ჩირქ, წალდ, ცულდ, ყულფ, ცუცქ, ლ/ნეფს, ლექს, რქს (←ექ-ვისი), ხრუშტ, მუშტ და სხვა მრავალი.

ინგილოური (კაკური) კილოს ძირითადი თავისებურებაა ის, რომ ცალკე აღებულ თანხმოვანფუძიან არსებით სახელებს ახასიათებს სახელობითი ბრუნვის ნიშნის — {ი}-ს მოკვეცა (ორ, სამ, შუბლ, კორცხ, ვაშლ, გორდ...); ხოლო ხმოვანფუძიან სახელებთან, როგორც საზოგადოსთან, ისე საკუთართან, ბრუნვის ნიშანი — დიფთონგს შეადგენს (აი > აჲ, ოი > ოჲ, ეი > ეჲ, უი > უჲ, იი > იჲ), მიუხედავად მარცვლის რაოდენობისა:

ა) საზოგადო სახელებთან: დაჲ, ზმაჲ, დედაჲ, მამიდაჲ, თორნეჲ, კალოჲ, ზუზუჲ, ქეჩიჲ „თხა“, დემურჩიჲ „მჭედელი“...

ბ) საკუთარ სახელებთან: თამროჲ, გოგიჲ, ნუნუჲ, მოსეჲ, ბენე-შაჲ.

კაკურში თანხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშანი {ი} ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა წინადადებაში, ჩვეულებრივ, ფაქტის დადასტურების გახაზვაა საჭირო. აქ ხმოვნის აღდგენას ისეთივე ექსპრესიული ფუნქცია აქვს, რაც ზოგადად, ხმოვნის დაგრძელებას აქვს ხოლმე ბოლოკიდურ პოზიციაში.

სახელობითი ბრუნვის ნიშანი {ი} კაკურში აღდგება აგრეთვე:

1) და კავშირის წინ (ბებერ-ი და შუღლ ერთა მოვდნენ; დეკაცი-ი და გადა-ი იკიდნევოდნენ), 2) -ჯით თანდებულის დართვის შემთხვევაში: (კაც-ი-ვით, ქალივით, შოლ-ი-ვით), 3) და კავშირით შეერთებულ რიცხვით სახელებში (ოციდაორ, ოციდასამ), 4) შედგენილი შემასმენელის მნიშვნელობით ნახმარ სახელებსა და მიმღეობებში (კაცი

← კაცია, დიდი ← დიდია, დაწერილი ← დასაწერელია), 5) კითხვით წინადადებაში (ჰაბა კაცი? ჰაბა ქალი?), 6) -ც ნაწილაკის დართვისას (ქალ-ი-ც, კაც-ი-ც, შულ-ი-ც).

უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში: **ყამჩი** „მათრახი“, **არა-ბოლო** „მეაქლემე“... სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მყოფი -ო ფუძისეულია (არაბოლოლი-ე, არაბოლოლი-მ, არაბოლოლი-ს...).

ინგილოური კილოს ალიაბათური კილოკავი განსხვავებას გვიჩვენებს კაკურთან მიმართებაში. ხმოვანფუძიან სახელებს სახელობითი ბრუნვის ალომორფი 'ი' დაკარგული აქვთ, ხოლო თანხმოვანფუძიანი სახელები სახელობითში {-ი} ნიშნით გვევლინება; მაგ., (1) ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებში: ხე, ქუა, ხალიჩა, თა „მთა“, დანა... საკუთარ სახელებში: ყადიმა, ჟალალა, ბენეშა; (2) თანხმოვანფუძიანი სახელები სახელობითში: კაც-ი, ქალ-ი, დედაკაც-ი და სხვ.

გარდა ზემოთ აღნიშნული თავისებურებისა, კაკურში არის რიგი სიტყვებისა, სადაც მოკვეცილია არა მარტო ხმოვანი, არამედ მასთან ერთად იკარგება 'ვ' თანხმოვანიც; ეს ხდება მაშინ, როდესაც სახელის ფუძე ბოლოვდება 'ვ' თანხმოვანით (ხახვი, დათვი, ვეფხვი, ბავშვი, ლელვი, ჭიხვი, ვერხვი...).

ინგილოური კილოს ალიაბათურ თქმაში შემონახულია ფუძისეული 'ვ' თანხმოვანი და სახელობითი ბრუნვის ნიშანი {-ი} ისე, როგორც კახურ დიალექტშია: ფეტვი, ბავშვი || ბავში, ხახვი, დათვი და სხვ.

სიტყვათა შემოკლება ახასიათებს კახურ დიალექტსაც, ოღონდ შემოკლებულია ყოველთვის მიმართვითი (წოდებითის ბრუნვაში დასმული) სახელი: გო (=გოგო)!, გენა (=გენაცვალე)!, ქა (=ქალო)!(106, გვ. 177).

გრ. იმნაიშვილს შესწავლილი აქვს ვ-ს დაკარგვის შემთხვევები. მოვიყვანთ პირველ ორ დებულებას, სადაც აღნიშნულია:

ა) „თანხმოვნებს შორის მოქცეული და ბოლოკიდური ძველი ქართულის უმარცვლო უ ინგილოურში დაიკარგება იმ შემთხვევაში, თუ მას აღარ შეუძლია ინგილოური წესის მიხედვით უმლაუტის ან ო-ს მოსაცემად გადანაცვლება; მაგ.: **ამააქს** (← **ამააქუს**), **თაგ** (კაკ.),

დათ (კაკ.), ხახ (← ხახვ, კაკ.) და სხვ.“⁵

ბ) „თანხმონებს შორის მოქცეული კბილბაგისმიერი ვინი იზიარებს თანხმონებს შორის მოქცეული უმარცვლო ჟ-ს ბედს, ოღონდ იმ დამატებით, რომ ის შეიძლება დაიკარგოს (უმთავრესად ალიბათურში) ზოგჯერ იქაც კი, სადაც ინგილოური წესის მიხედვით შესაძლებელია მისი გადანაცვლება და უმლაუტის ან ო-ს მოცემა; მაგ.: შაყრილიყნენ, ეყნენ („იყვნენ“), ეხლა დევ მაასლელია და სხვ“. (18, გვ. 55).

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ვ თანხმომი იკარგება მაშინ, როცა მას დაერთვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს, მოსალოდნელი /-ვს/ კომპლექსი არ წარმოითქმის:

| | | |
|--------------|------------|--------------------|
| სალიტ. ქართ. | შაშვ + ს | → ინგ. შაშ |
| „ | ვეფხვ + ს | → ინგ. ვეფხ |
| „ | ბავშვ + ს | → ინგ. ბავშ |
| „ | ჯიხვ + ს | → ინგ. ჟიხვ ჟიხ |
| „ | ძირკვ + ს | → ინგ. ზურკ |
| „ | თავვ + ს | → ინგ. თავ |
| „ | ფაშვ + ს | → ინგ. ფაშ |
| „ | მარწყვ + ს | → ინგ. მარწყ |
| „ | ვერხვ + ს | → ინგ. ვერხ |
| „ | ფეტვ + ს | → ინგ. ფრტ |
| „ | ნეზვ + ს | → ინგ. ნრზ |
| „ | ნეხვ + ს | → ინგ. ნრხ |
| „ | ნესვ + ს | → ინგ. ნრს |
| „ | ექვს + ს | → ინგ. რქს... |

ზოგჯერ ვ თანხმონის დაკარგვას ხელს უწყობს ფუძის /ი/ ან /ე/ ხმოვანი. ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე, სადაც /ე/-სა და /ი/ ხმოვნის ლაბიალიზაცია ხდება დისტანციურად, ამასთანავე — სიმულანტურად ასიმილატორი ვ იკარგება, როგორც უმლაუტის დროს:

⁵ ალიბათურში კი ბოლოკიდური უ (უმარცვლო) ზოგჯერ არ იკარგება და სახელობითი ბრუნვის ნიშანთან შერწყმით გვაძლევს უ-ს, მაგ., თავუ, დათუ და სხვ.

ლედვი > ლრღ, ფეტვი > ფრტ, ნეზვი > ნრზ, ექესი > რქს და სხვა მსგავს /ი/-სა და /ე/-ს შემცველფუძიან სახელებში.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელობითი ბრუნვის ალომორფი /ი/ აღდგება და კავშირის წინ (ნრზი და ნაგავ...; შაში და ყმაწულ..., თაგვი და კატაჲ... ვეფხი და ჟანაფარ...), **ვ** თანხმოვანი კი — არა.

შენიშვნა: კაკურ კილო-თქმაში **ვ**-ს ყოველთვის არ შეუძლია წინამავალი /ი/ და /ე/ ხმოვნის ლაბიალიზაცია, ე. ი. ვერ იწვევს უმლაუტს (იმის გამო, რომ თვითონ იკარგება); მაგალითად: ვერხვი → ინგილ. ვერხ (აქედან ნაწარმ. ტოპონიმი „ვერხიან“ — კახის რაიონში), ჭიხვი → ინგილ. ჟიხ; უმლაუტი არ ჩნდება მაშინაც, როცა სახელის ფუძეს დაერთვის ნათესაობითის -ის: ჟიხი ჯორც („ჭიხვის ხორცი“), ვერხი ბუთად („ვერხვის ტოტი“)... -იან სუფიქსის დართვისას: ჟიხ(ვ)იან ტოლმაჲ („ჭიხვიანი ტოლმა“), ვერხიან (ვერხვიანი ტოპ.):

ხ-ს დაკარგვა უკავშირდება თანდებულისეულ **შ**-სა და **ზ**-ს.

კაკურში /-ში/ ან /-ზე/ თანდებულის დართვისას მოსალოდნელი -**ვ**სში ან -**ვ**სზე კომპლექსი მარტივდება /-ვს/-ს ჩავარდნით; მაგ.: ფრტზე || ფრტზრ, ლრღზე || ლრღზრ,⁶ ფრტში, ლრღში, ხახში, ხახზე, დათზე: დათში, ვეფხზე, ვეფხში და სხვ.

აღიბათურ კილოთქმაში და, ასევე კახურშიც, ტიპობრივია სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ფუძისეული 'ვ'-ს შენარჩუნება და მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა. სახელის ფუძე + ს (მიც.): ხახვ, დათვ, ბავშვ, თავგ... /-ში/ და /-ზე/ თანდებულის დართვისას არ წარმოითქმის /-ვს/ კომპლექსი (როგორც კაკურშია): ლრღზე || ლრღზრ, ლრღში, ხახზე, ხახში...

კახურ დიალექტში „შენარჩუნებულია ფუძისეული **ვ**: ბავშვზე, ლედვზე, ხახვზე, დათვზე, ლედვში, ხახვში და სხვ.

ინგილოურში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში /-ვს/ კომპლექსის ბედს იზიარებს /-ლს/ კომპლექსიც; როცა სახელის ფუძე ბოლოვდება

⁶ „ფრტზრ“, „ლრღზრ“ ფორმებში წინამავალმა უმლაუტიანმა რ-მ დაიმსგავსა მომდევნო მარცვლის /ე/ ხმოვანი.

/ლ-თი და მას დაერთვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი, მოსალოდნელ /ლს/ კომპლექსში შენარჩუნებულია მიცემითის ნიშანი და იკარგვის ფუძისეული /ლ/: სახს (← სახლს), სისხს (← სისხლს), ზალს (← ძაღლს) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ /ლ/ იკარგება არა მარტო ყრუ, არამედ მუღერ და ყრუ თანხმოვნებს შორისაც, მაგ.: თოვში (← თოვლში), ზაღში (← ძაღლში), შუბში (← შუბლში); იკარგება მუღერებს შუა: თოვზე (← თოვლზე), ზაღზე (← ძაღლზე), შუბზე (← შუბლზე)... იკარგება ყრუ და მუღერს შუა (ვაშზე ← ვაშლზე).

ლ¹ შენარჩუნებულია მხოლოდ ხმოვანსა და თანხმოვან შორის; როცა სახელის ფუძეს დაერთვის -ზე, -ში და /ს/. ამ შემთვევაში იკარგება არა ფუძისეული რ-ლ, არამედ მიცემითის რ-ს ნიშანი; მაგ.: თხილ კომეარ („თხილს ვჭამ“), თხილ შრპკამდი („თხილს შევჭამდი“), კაკალ ხრუ („კაკალს ვხრი, კაკალს ვბერტყავ), კბილ გგმააღეგარ („კბილს გამოვიღებ, ამოვიღებ“)... ფუძისეული -ლ + -ზე, -ში: თხილ-ზე, კაკალზე, კბილზე; თხილში, კაკალში, კბილში და სხვ.

ვს- კომპლექსი სიტყვის თავკიდურად. ვს- კომპლექსი ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება.

ა) დასავლურ დიალექტებში ვს- > ფს- (ვსება > ფსება) (59, გვ. 101); ხოლო

ბ) აღმოსავლურ დიალექტში (კახურსა და ინგილოურში) ვს- > მს- (ამსილ, აამსო, დაუმსო, ამსილა, ამსებს, ავამსოთ);⁷

კახურში შ უკვე ფუძისეულად არის მიჩნეული (88, გვ. 65).

ბოლოს: /ვს/ კომპლექსი, როგორც სიტყვის თავკიდურად, ისე სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში სახელებში და ზოგ ზმნაში, არ წარმოითქმის. სტატიკური აქვს ზმნისაგან მხოლოდ -ქ- ძირია და-რჩენილი.

კახური: მაქ, გაქ, აქ; გვაქ, გაქთ, აქ.

ინგილ. (კაკური): მაქ, გაქ, აქ; გოქ, გაქთ, აქთ; შდრ. იმერული (resp. ოკრიბული): გაქ, აქ(ვს)... (34, გვ. 165).

ინგილოურ კილოს ალიაბათურ მეტყველებაში /-ვს/ შეცვლილია

⁷ „ავსილ > ამსილ“ ფორმის პარალელურად ინგილოურში დადასტურებულია „ამსება“ ფორმა: თორნეძე რომ ამსება, ზედ ერ ფიცარ ადებენ (52, გვ. 50).

ო-თი მხოლობითის სამსავე პირში, მრავლ. მხოლოდ პირველ პირში (მაქო, გაქო, აქო; გოქო, გაქთ, აქთ).

სამეცნიერო ლიტერატურაში მაქ; გაქ, აქ... შემოკლებულ ფორმებს ასეთი ინტერპრეტაცია აქვთ მიცემული: ჭერ უნდა მომხდარიყო ვ-ს დააყრუება-დაკარგვა, შემდეგ კი ამ პროცესს უნდა მოჰყოლოდა III პირის ნიშნის დაკარგვაც (39, გვ. 56).

ფონემურ კლასთა მიმართებანი

§10. ხშულთა ორშემადგენლიანი კომპლექსები სიტყვის თავკიდურად (CC კომბინაცია).

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ თანხმოვანთა კომპლექსების ფონემათა ოთხი კლასი, რომლებიც რეალიზებული იყო პოზიციების (# -V, V-V და V-#) მიხედვით. ჩამოვყალიბეთ გარკვეული წესი: C₁ C₂ C₃ და C₄ კლასში შემავალი ლოკალური რიგის ფონემები ერთმანეთთან კომბინაციაში არ შედიან და არც მორფემათა ზღვარზე ქმნიან კომპლექსებს.

ამჯერად განვიხილავთ ინგილოურისათვის დამახასიათებელ თანხმოვანთა კომპლექსებს სიტყვის თავკიდურად ერთი მორფემის ფარგლებში (ქართული ენის კახურ დიალექტთან მიმართებით). უფრო სწორად, ძირითადად ინგილოურში დადასტურებულ თანხმოვანთა წყვილეულებს (სამშემადგენლიანს და ოთხშემადგენლიანს ცალკე), რადგან კახური (ქიზიყური) და ინგილოური ერთნაირ სურათს იძლევა, ხოლო შიგადაშიგ მივუთითებთ საერთო ან განსხვავებულ მოვლენებს.

დადასტურებული ფონემები იყოფა ორ — ხშულთა და ნაპრალოვანთა (არახშულთა) კლასად.

ხშულთა კლასი (C): /ბ ფ პ დ თ ტ (ძ) ც წ (ჭ) ჩ ჰ გ ქ კ ჯ/ (სულ 14 ფონემა);

ნაპრალოვანთა (C°): /ზ ს შ ე ღ ხ ყ ვ მ ნ ლ რ/ (სულ 12 ფონემა და პლუს ჭ);

ხშულთა კლასი აღნიშნულია C სიმბოლოთი, ნაპრალოვანთა კლასი — C°-თი (58, გვ. 90).

გ. ახვლედიანის ცხრილის მიხედვით /მ ნ ყ/ შეტანილია ხშულთა

კლასში; /მ ნ/ ხასიათდება, როგორც „ცხვირისმიერი“, „ხშული“, ხოლო /ყ კი ფონოლოგიური თვალსაზრისით მიჩნეულია როგორც ნაპრალოვნად, ისე ხშულად. „... ყ ფონეტიკურად აბრუბტივია, ხოლო ფონოლოგიურად ნაპრალოვანი“ (1, გვ. 291).

აქედან გამომდინარე, გ. ახვლედიანი /ყ/-ს ფუნქციის მიხედვით მიიჩნევს ნაპრალოვნად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რ. იაკობსონმა ცხვირისმიერი თანხმოვნები ნაპრალოვნებად მიიჩნია (იხ. 59, გვ. 60).

თ. უთურგაიძე გ. ახვლედიანის დიფერენციული ნიშნების „ცხვირისმიერი“, „ხშული“ რელევანტურად მიიჩნევს „ცხვირისმიერობას“ (58, გვ. 61), ხოლო /ყ/ ხასიათდება როგორც „ყელხშული, უკანაენის-მიერი ნაპრალოვანი ყრუ ბგერა“ (59, გვ. 67).

/მ/ და /ნ/ ფუნქციის თვალსაზრისით უპირისპირდებიან ხშულებს, რადგან ისინი სხვა ნაპრალოვნებთან ერთად (სიბილანტები, ფრიკატივები) ხშულებთან კომბინაციაში ქმნიან მეორე სეგმენტს. ნაპრალოვნობით მეტი ფონემა წინა ფონემასთან ბუნებრივ კომპლექსს ქმნის: თმაჲ, ზმაჲ, ზმარ, კმენაჲ, ბნელ, დნევ, ცნოვაჲ, ჟმეტავს, წნელ, ვმელ... ანალოგიური მოვლენა გვაქვს /ყ/-ს შემთხვევაში: წყალ, ტყირპ, ტყეჲ... ხოლო თუ შევცვლით სეგმენტთა თანმიმდევრობას, ნაპრალოვნობით მეტი ფონემა თავის მხრივ იკარგება დაბალი ნაპრალოვნობის მქონე ფონემის წინ: (მ)ზეჲ, (მ)თაჲ, (მ)კერდ, (მ)კლავ, (მ)ტორ, (მ)სხალ, (მ)ჟავეჲ, (მ)ვარ, (ნ)დობაჲ || დოვაჲ...

ანალოგიური მოვლენა გვაქვს /ლ რ/ სონორებთან (იხ. ქვემოთ).

გამონაკლისია /ყბ/ კომპლექსი, რომელიც რეალიზებულია სიტყვა „ყბა“-ში.

/ყბ/ კომპლექსს საფუძვლად უდევს მორფოფონოლოგიური ცვლილება (რედუცირებულია ხმოვანი): ყბ ← ყგბ ← *ყაბ; ხოლო მისგან ნაწარმოებ ფორმაში „ყბედი“ ქართული ენის დიალექტებში (ინგილ., მთიულ., თუშ.) /ყბ/ კომპლექსი შეცვლილა /ყმ/-დ: ყბედი > ყმედი; ასეთი ცვლილება განპირობებულია სტრუქტურული თვალსაზრისით; შდრ. ქიზიყურში /წბ/ კომპლექსი შეცვლილია /წმ/-დ: წმილი (<წბილი „მორცხვი“) (40); დმანისი ← ღმანისი ← ღაბანისი (67, გვ. 37; 62: გვ. 144).

ცხრილი 1

CC — კომბინაცია სიტყვის თავკიდურად

| | ბ | ფ | პ | ღ | თ | ტ | (ძ) | ც | წ | (ჭ) | ჩ | ქ | გ | ქ | კ | ჯ |
|-----|---|---|---|---|---|---|-----|---|---|-----|---|---|-----|---|---|---|
| ბ | | | | | | | | | | | | | (+) | | | |
| ფ | | | | | | | | | | | | | | + | | |
| პ | | | | | | | | | | | | | | | | |
| ღ | | | | | | | | | | | | | + | | | |
| თ | + | | | | | | | | | | | | | + | | |
| ტ | | | | | | | | | | | | | | | | + |
| (ძ) | | | | | | | | | | | | | | | | |
| ც | | | | | | | | | | | | | | + | | |
| წ | | | | | | | | | | | | | | | | + |
| (ჭ) | | | | | | | | | | | | | | | | |
| ჩ | | | | | | | | | | | | | | + | | |
| ქ | | | | | | | | | | | | | | | | + |
| გ | | | | + | | | | | | | | | | | | |
| ქ | | + | | | | | | + | | | | | | | | |
| კ | + | | | | | + | | | | | | | | | | |
| ჯ | | | | + | + | | | + | | | + | | | | | |

ხშილი + ხშილი (CC) კომპლექსებთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას რიგ ფუძეთა ურთიერთმიმართების საკითხი.

ზოგი მათგანი მომდინარეობს გახმოვანებული ძირიდან (CC←CVC). ფუძის კუმშვის შედეგად მიღებული არაბუნებრივი კომპლექსები განიცდიან სხვადასხვა სახის სუპერაციას (ერთ-ერთი კომპონენტის ცვლა, ჩართვა, მეტათეზისი...).

დადასტურებულ ორზშულიან თანხმოვანთკომპლექსებს განვიხილავთ ცალ-ცალკე: 1) დეცესიურ-პარამონიული კომპლექსები; 2) აქცესიურ-პარამონიული კომპლექსები და 3) ხშულთა ჰეტერორგანული კომპლექსები.

1. ბგ-: ქართ. ბგ-ერა უკავშირდება სახელურ ფუძეს ბაგე; ბგ-ერ ← *ბაგ-ერ (59, გვ. 190). ინგილოურში ბგ- (ბგერა) არ დასტურდება; აქ მას ცვლის კმაჲ „ხმა“.

ფქ-: ფქულ ← ფქვილი; ფქ- კომპლექსის ამოსავლად ივარაუდება ხმოვანი ე: ფქ-/ - < ფექ (სვან. ფექ „ფქვილი“) (48, გვ. 81; 62, გვ. 150; 89, გვ. 305).

ბკ- კომპლექსი ინგილოურში არ დასტურდება.

დგ-: ინგილ. დგომაჲ, დგონაჲ, დგაფუნ; ქიზიყ.: დგონდგოლი „ჩოჩქოლი“, დგომილება „დარჩომა“, დგინი „ბამბის ძაფი“... დგ- კომპლექსი მეორეულია: დგ-/ - < დეგ; ხმოვანი აღდგება ზმნის ფორმებში: აღვდევ, დადევ || დადექ; დგ- (< დრგ < დგრ < დგერ); დგაფუნი) — ექსპრესიული ფორმაა დგ- > ჯგ-: დგაფუნი > ჯგაფუნი, ინგილ. ჯგ- > ჟგ (ჟგაფუნ).

თქ-: ქიზიყ. თქეში „დიდი წვიმა“ (ექსპრეს.), თქუა > თქო; ეს უკანასკნელი მიღებულია მორფემათა შერწყმით: თ-ქუა, რ-ქუა... ძველი ქართულის ფორმად მიჩნეულია ქუ (ქვ) (116).

ტკ-: ტკეპნია (ქიზიყ. „მძიმედ ლაპარაკი“), ტკიპაჲ „ლობიოს ჭიში“, ტკიბ (← ტყირბი), (მ)ტკეველ, (მ)ტკიცე...

ძგ- ქიზიყ.: ძგერ, ხმოვნიანი ფუძე აღდგება რედუბლიკაციის შემთხვევაში, მაგ., ძაგძაგი, ინგილ. ზაგზაგ.

ცქ-: ცქუტ ← ცქვიტი, ცქერა.

წკ-: წკირ || წკრუმალ, წკიპურტ, წკეპლაჲ, წკანკწარა ← წანწკარა, წკაბ, წკენტუაჲ, წკინვაჲ ← ბრწკინვა ← ბრწყინვა, წკაპი (ქიზიყ. „ერთბაზად მოწყვეტილი ხმა“) (40).

ჭგ-: ჭგ- > ჟგ- (ჯგაფუნი > ჟგაფუნ), იგივეა, რაც დგაფუნი.

ჩქ-: ჩქერევაჲ „გამეტება“, ჩქეთჲ || ჩქრთჲ „სითხის ქანყყარი, ნულრევა“, ჩქითჲ (კახ. „ბლაგვი არამჰრელი დანა“, ჩქუთი (→ ჩხუ-ტი).

ქჳ-: ქვილ ← ქლიკი (მეტათეზისი), ქკომ ← ქკუა, წკალ || ქკალ || ჩკალ (← ბრწკალი), ქკორტლ ← ქორტკლ ← ძვ. ქართ. ქუარდლი (ქ ჩართულია).

2. აქცესიურ-პარმონიული კომპლექსები.

გბ- კომპლექსი არ დასტურდება.

ქფ-: ქფულ ← ფქულ ← ფქვილი (მეტათეზისი).

კბ- კომპლექსი არ დასტურდება.

გდ-: გდი, გდამს (← გგდამს ← გადადის); ქიზიყ. გდემი, გდემ-ლი. ჰ. ფოგტის ცნობით, „შდება“-ში რ-ის უქონლობა აუცილებელია, მაშინ როცა სიტყვა გრდემლი, ჩვენი გაგებით, დადასტურებულია მხოლოდ სონანტით. ვფიქრობთ, აქ გვაქვს მკაფიო დაპირისპირება გდ-სა და გრდ-ს შორის, ასე რომ, ჯგუფში რ სონანტს ექნებოდა რე-ალური ფონეტიკური ღირებულება“ (ბმ, გვ. 35).

ქიზიყურში ერთმანეთის პარალელურად დასტურდება გდემი || გდემილ || გრდემლი (40).

ქთ- კომპლექსი არ დასტურდება.

კტ- კომპლექსი მიღებულია პროგრესული ასიმილაციით: კტ ← კდ (კტარ ← კდარ „მკვდარი“).

გძ- კომპლექსი მეორეულია და მიღებულია სონორი რ-ს დაკარგ-ვით; გძელი ← გრძელი; შდრ. კახურში: ძქ- || პქ- < ბრჯ- (ბრძენა), ბძ- < ბრძ- (ბრძოლა), ფთ- < ფრთ- (ფრთა). ინგილოურში გძ-, ბძ- მონაცვლეობს გზ-სთან (გზელი), ბზ-სთან (ბზოლაჲ), ხოლო ფთა ← ფრთა სიტყვის ნაცვლად იხმარება აზერბაიჯანულიდან შემოსული სიტყვა „ყანად“ („ფრთა“).

ქც-: ქცევა „გადაბრუნება, შეცვლა“. ქც- კომპლექსი წარმომდგა-რია მორფოფონოლოგიური ცვლილების საფუძველზე: ქც- / ქეც- (რედუცირებულია ხმოვანი). ხმოვნიანი ფუძე აღდგება ზმნის ფორ-მებში (გა(რ)დაიქეც).

მაგ.:

„სიცილი თქუენი გლოვად გარდაიქეცინ“ (3)

კწ- კომპლექსი არ დასტურდება.

გჭ-/გჟ-, ქჩ-, კქლ- კომპლექსები უჩვეულოა.

ამგვარად, ხშული + ხშული (CC), თუ მხედველობაში არ მივიღებთ კომპლექსის წარმომავლობას, განიცდის მორფოფონოლოგიურ და ფონეტიკურ ცვლილებებს (ხმოვნის თუ თანხმოვნის დაკარგვა, ჩართვა, მეტათეზისი, ასიმილაცია, სუბსტიტუცია...), მაშინ თავკიდურ პოზიციაში კომბინაციები რეალიზდება დეცესიურ-ჰარმონიული (ფქ-, ღგ-, თქ-, ტკ-, ცქ-, წკ-, ჯგ-/ჯგ-, ჩქ-, ჰკ-) რიგით; ასევე აქცესიურ-ჰარმონიული (ქფ-, გღ-, კტ-, გძ-/გზ-, ქც-); ჰეტეროგენული (თბ-, ტბ-, კბ-) წყვილები, რომლებიც მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვაში დასტურდება.

ზემოთ მოყვანილი კომპლექსებიდან (ხშული + ხშული) ყველაზე გავრცელებულ ჩქ-სთან შედარებით უფრო პროდუქტიულია წკ- და ჰკ-. კომპლექსებში /კ/ მეორე კომპონენტად ხშირად გვევლინება (1) ჩართულად როგორც თანხმოვნებთან, ისე ხმოვნებთანაც; (2) ბგერის მონაცვლედ; მაგ.:

1. ა) ხშული + ხშული: ჰღე > ჰკღე.

ბ) ხშული + სონორი: წრეტა > წკრეტვა, წრე > წკრე, წვერი > წკვერი, ჰლიკი > ჰკილი (მეტათეზისი).

გ) ჰუარდლი > ჰორტკლ > ჰკორტლ.

2. ბრჰყ- > ბჰყ- > პწყ- (პწყალი), ძვ. ქართ. ტყბ- > ტკბ- (ტკბილი), ჩქმ- > ჩკმ- (ჩკმეტა)...

§11. კომბინაცია CC° – სიტყვის თავკიდურად

| | ზ | ს | ე | შ | ღ | ხ | ყ | ვ(წ) | მ | ნ | ლ | რ |
|-----|---|---|---|---|---|---|---|------|---|---|---|---|
| ბ | + | - | - | - | + | - | - | | - | + | + | + |
| ფ | - | + | - | + | - | - | - | | - | - | + | + |
| პ | - | - | - | - | - | - | - | | - | - | + | + |
| ღ | - | - | - | - | + | - | - | | - | + | + | + |
| თ | - | - | - | - | - | + | - | | + | - | + | + |
| ტ | - | - | - | - | - | - | - | | - | - | + | + |
| (ძ) | | | | | | | | | | | | |
| ც | - | - | - | - | - | + | - | | + | + | + | + |
| შ | - | - | - | - | - | - | + | | + | + | + | + |
| (ჩ) | | | | | | | | | | | | |
| ჩ | - | - | - | - | - | + | - | | + | + | + | - |
| კ | - | - | - | - | - | | + | | + | - | + | + |
| გ | + | - | - | - | - | - | - | | + | - | + | + |
| ქ | - | + | - | + | - | - | - | + | + | + | + | + |
| კ | - | - | - | - | - | - | - | | + | + | + | + |
| ჯ | - | + | - | + | - | - | - | | + | + | + | + |

ხშული + ნაპრალოვანი. თეორიულად მოსალოდნელი 192 (16X12) კომბინაციიდან რეალურად დასტურდება 60 კომპლექსი.

§12. კომბინაცია C°C — სიტყვის თავკიდურად

| | ბ | ფ | პ | ღ | თ | ტ | (ძ) | ც | წ | (ჩ) | ჩ | კ | გ | ქ | კ | პ |
|------|---|---|---|---|---|---|-----|---|---|-----|---|---|---|---|---|---|
| ზ | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ს | - | - | + | - | - | + | - | - | - | - | - | - | - | + | + | - |
| ჟ | - | - | - | + | - | - | - | - | - | - | - | - | + | - | - | - |
| შ | - | + | - | - | - | + | - | - | - | - | - | - | - | - | + | - |
| ღ | - | - | - | + | + | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ხ | - | - | - | - | - | + | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ყ | + | - | - | + | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ვ(უ) | | | | | | | | | | | | | | | + | |
| მ | + | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ნ | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ლ | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| რ | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | + | - | - | - |

ნაპრალოვანი + ხშული“. თეორიულად მოსალოდნელი 198 კომბინაციიდან რეალიზებულია 17 (ზგ-, სპ-, სტ-, სქ-, სვ-, ჟღ-, შფ-, შტ-, შყ-, ღღ-, ღთ-, ხტ-, ყბ-, ყღ-, მბ და რგ) კომპლექსი.

ნაპრალოვანთა კლასი იყოფა ორ ჯგუფად:

I ჯგუფი სიბილანტ-ფრიკატივები /ზ ს ჟ შ ღ ხ ყ/,

II ჯგუფი სონორები /ვ (უ) მ ნ რ ლ/.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ I ჯგუფში შემაჯავლი ფონემები /ზ ს ჟ შ ღ ხ ყ/ + ხშული კომპლექსები ზოგი ნასესხებ სიტყვაში დასტურდება, ზოგი კი — მეორეულია და ფონეტიკურ სახესხვაობას განიც-

დის; მაგალითად:

I ჯგუფი: სიბილანტ-ფრიკატივი + ხშული.

ზგ/ კომპლექსი მიღებულია მეტათეზისით (ზგ ← გზ): ზგაა ← გზაა, ზგელ ← გზელ ← გრძელ; ჩვენი ვარაუდით, გზ-ზგ- მონაცვლეობა მომხდარია — რ-ს დაკარგვის შემდეგ ხშული + ხშული (გრძ → გძ-). ბუნებრივია, ამას მოჰყვებოდა გარკვეული ფონეტიკური ცვლილება, აკრძალული თანმიმდევრობის დასაძლევად: გძ- (ხშული + ხშული). ცვლილება, რა თქმა უნდა, აქაც იყო მოსალოდნელი: უნდა გაჩენილიყო ანაპტიქსური ხმოვანი. მაგრამ ამ შემთხვევაში ინგილოურმა სხვა გზა აირჩია: ჯერ ერთი, /გძ-/ს გაუჩნდა დუბლეტი /ძგ-/ შემდეგ მოხდა დეზაფრიკატიზაცია: გრძ- > გძ- / ძგ-/ გზ-/ ზგ- (გრძელი > გძელი / ძგელ / გზელ / ზგელ).

№3 ცხრილში დადასტურებული /ეგ-/ კომპლექსი მონაცვლეობს /ედ-/სთან. ეგ-/ედ- მონაცვლეობა გამოწვეულია თანხმოვანთა სინტაგმატიკის წესით, რომელიც გულისხმობს არაძირითადი მოდელის (კომპლექსი ფრიკატივი + ხშული) გადასვლას ძირითად, მზარდი ნაპრალოვნობის მოდელზე, სადაც მეორე წევრი ნაპრალოვნობით აღმატება პირველს (კომპლექსი აღმავალი ნაპრალოვნობისა), რაც ქართულისათვის სინქრონულ დონეზე ძირითად მოდელს წარმოადგენს (იხ. 50, გვ. 103 და შემდ.).

სტ-, შტ-, შფ- კომპლექსები უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში გვხვდება (სტოლბაა, შფოთიან, შტოფ...);

„შტო“-ში /შტ-/ კომპლექსი გაყოფილია /ი/ ხმოვნით (შტოა > შიტოა); სტ-, სპ-, სკ- კომპლექსებს კახურში დაკარგული აქვთ პირველი კომპონენტი ს-, ხოლო ინგილოურში აღნიშნული კომპლექსების წინ ჩნდება /ი/ ხმოვანი (იხ. ზემოთ, გვ. 48).

რაც შეეხება ცხრილში აღნიშნულ ჟდ-/ჯდ-/ < ჯედ (ჟდეგ ← ჯდება), ყბ < ყVბ- (ყბაა), სქ ← ჯქ ← ზრქ- (სქელ ← ჯქელ ← ძვ. ქართ. ზრქელი), ღდ- ← მღად- (ღდეღ ← მღადელი), ღთ- ← ღვთ- (ღთჲ ← ღვთის), უდ ← უუდ (ყუდ-ნობა → ყრდნობა) (105, გვ. 28-29).

II ჯგუფი სონორი + ხშული.

თეორიულად შესაძლებელი 80 (5X16) კომბინაციიდან პრაქტიკუ-

ლად არც ერთი არ არის რეალიზებული თავკიდურად.

„სონორი + ხშული“-ის შემთხვევაში იკარგება სონორი: მწყერი > წყერ, მჰრე > ჰრედ, მკაცრი > კაცრ, მკლავი > კლავ, მჰარი > ჰარ; ნღობა > დოვად; ლპება > პევ, ლბობა > ბევ, რბილი / ლბილი > ბილ; სძე / რძე > ზედ, სძალი / რძალი > ზალ, რქა > ქად, რკინა > კინად, რკო > კურკად და სხვ.

ცხრილში /მ/-ს და /ზ/-ს გრაფაში დასმულია პლუსი. უნდა შევნიშნოთ, რომ /მზ/ კომპლექსი დასტურდება მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში და წარმომდგარია მეტათეზისით: მზ ← ბმ (დაბმულ ← დაბმულ, მომზა ← მომზა...).

სალიტერატურო ქართულში რ + ხშული (რგ- კომპლექსი) რეალიზებულია სიტყვებში: რგოლი, რგება, რგავს, თ. უთურგაიძის ცნობით, რგოლ და რგვალ ეტიმოლოგიურად უკავშირდება ერთიმეორეს: რგჟალ > რგოლ. რგ/გრ მონაცვლეობას ადგილი აქვს დიალექტებში. რგვალ ფორმას სალიტ. ქართულში (როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებში) წინ განუვითარდა მ-: მრგვალი, რომლის შესატყვისად მთის დიალექტებში გაჩნდა მირგვალ, მირგველ, მურგვალ ფორმები (62, გვ. 158).

ინგილოურში რგ- კომპლექსი დასტურდება ზმნის ფორმაში (პ)რგავს. რგოლი, რგება ფორმებს ინგილოურში არ განუვითარდა მ-, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა დიალექტებშიც: მრგ- (ძვ. ქართ. მრგული > ახ. ქართ. მრგვალი): ინგილ. გჟრგვალ (შდრ. კახ. გურგვალი); გრგ- (ძვ. ქართ. გრგოლი > ახ. ქართ. რგოლი): ინგილ. გორგალ.

საერთოდ, ძველი ქართულის გრგ-, მრგ-, გრკ-, თრთვ, სრსვ... კომპლექსები გამოყოფილია მარცვლოვანი ელემენტებით, მაგ.: ძვ. ქართ. გრკალი > ინგილ. კირკალ, შდრ. ხევს. ფშავ. გირკალი, კახ. კირკალი, ქიზიყ. კრკალი; ძვ. ქართ. თრთვლი > ინგილ. თირთჟლ, შდრ. ხევს. თვირთვილი, ქიზიყ. თრთვილი; ძვ. ქართული სრსვლი > ინგილ. სჟრსჟლა, შდრ. ხევს. სვირსილა, კახ. სირსველა, გურ. სურსულა... (7, გვ. 310).

§13. კომბინაცია C°C° – სიტყვის თავკიდურად

| | ზ | ს | ჟ | შ | ლ | ხ | ყ | ვ(ჳ) | მ | ნ | ლ | რ |
|------|---|---|---|---|---|---|---|------|---|---|---|---|
| ზ | - | - | - | - | + | - | - | | + | + | + | + |
| ს | - | - | - | - | - | + | | | + | - | + | + |
| ჟ | - | - | - | - | + | - | - | | + | + | + | + |
| შ | - | - | - | - | - | + | - | | + | + | + | + |
| ლ | - | - | - | - | - | - | - | | + | - | + | + |
| ხ | - | - | - | - | - | - | - | + | - | - | + | - |
| ყ | - | - | - | - | - | - | - | | + | - | + | + |
| ვ(ჳ) | | | | | | | | | | | | |
| მ | - | - | - | - | - | - | - | | - | - | + | - |
| ნ | - | - | - | - | - | - | - | | - | - | - | - |
| ლ | - | - | - | - | - | - | + | + | - | - | - | - |
| რ | - | - | - | - | - | - | - | | - | - | - | - |

ნაპრალოვანი + ნაპრალოვანი (C°C°) თეორიულად მოსალოდნე-
ლი 144 (12X12) კომპლექსიდან რეალიზებულია 30 კომბინაცია.

კომბინაციები სონორი + ფრიკატივი არ არის რეალიზებული;
კერძოდ: მ + ზ, შ, ხ; ლ + ხ, მაგ.: მზე > ზეფ, მშიერი > შიერ, მხიარული > ხიარულ; ლხინი > ხინ...

შენიშვნა: №2, 3, 4 ცხრილში შემავალი სონორის ვ(ჳ) (ხშული + ვ(ჳ), ვ(ჳ) + ხშული, ვ(ჳ) + ვ(ჳ)) გრაფას ვტოვებთ ღიად გარკვეული მოსაზრებით. ჯერ ერთი, ამ ბგერის გამოყენების წესის დადგენა შეუძლებელი ხდება. უფრო სწორად, ინგილოურში (ასევე ძველ ქართულსა და ქარ-

თული ენის დიალექტებში) ვ(ჴ)-ს გამოყენება აღრეულია; მეორეც, ფონეტიკურ სახეცვლილებას განიცდის, როცა მას მოსდევს ხმოვნები (ა, ე, ი), ან მაშინაც, როცა ისინი ერთიმეორისგან თანხმოვნით (თანხმოვნებით) დაშორებული არიან (იხ. ზემოთ, თავი I). ერთი კია, რომ ჴ-ს ჯერჯერობით მყარი საფუძველი გააჩნია სიტყვებში: რტაჲ || რტვაჲ, ხტალ || ხტვალ, ქტაჲ || ქტ(ვ)აჲ; შდრ. ფერიჲდნ. რტა, ქტა.

§14. ხშულთა ჰეტეროგენული კომპლექსები

გარდა ზემოთ აღნიშნული კომპლექსებისა, ინგილოურში თავკიდურ პოზიციაში დასტურდება ხშულთა ჰეტეროგენული კომპლექსები, სადაც პირველ კომპონენტადაა ენისძირისმიერი /ვ/, კბილისსმიერები /ტ, თ/; ხოლო მეორე კომპონენტადაა ბაგისმიერი /ბ/ და ქმნიან /ვბ-/, /ტბ/ და /თბ-/ კომპლექსებს.

/თბ-/ კომპლექსს საფუძვლად უდევს მორფოფონოლოგიური და ფონეტიკური ცვლილება: თბ / ტფ / ტეფ (განვტეფ, განსტეფ). ტფ-ილ ფორმისაგან ნაწარმოებია დღევანდელი ტოპონიმი „თბილისი“, ტფ-ის ძველი სახეა ტეფ- (ტფილისი), ქართული ენის დიალექტებში ტფ → თფ: თფილ, სითფო, თფილისი (31, გვ. 22) (ტფილისი — თფილისი)... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინგილოურში /თფ-/ კომპლექსი გაყოფილია /ი/ ხმოვნით „თიფლიზ“, მენ და შენ თიფლიზში წოვდეთა?

/ტბ/, /ვბ/ კომპლექსები მეორეულადაა მიჩნეული. ამოსავალ ფუძედ ნავარაუდევია გახმოვანებული ძირი (CC ← CVC). მორფოლოგიური მოდელის ზეწოლით მომხდარა ძირის კუმშვა: კბ ← კიბ, ტბ ← *ტაბ-ან (ტაბახმელა) (14, გვ. 154). კუმშვის შედეგად მიღებული არაბუნებრივი კომპლექსი ქართული ენის დიალექტებში, კერძოდ თურქურში /ტბ/ შეცვლილია /ტმ-თი, /ვბ/ შეცვლილია /ვმ-თი: ტმოშტნ, კმილნ (61, გვ. 197).

ინგილოურში „კბენა“-ში კბ- კომპლექსი იცვლება კმ-დ (უკმინა, / დაჰკმინა).

სამხშულიანი კომპლექსები თავკიდურ პოზიციაში ინგილოურსა და კახურში დასტურდება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში: ტკბ-,

ჭკდ-, პჭკ-. ეს უკანასკნელი, ჭკდ- დასტურდება კახურში და მიღებულია კ-ს ჩართვით: ჭკდე ← ჭდე-, ტკბ- (ტკბილი) დასტურდება ორივე დიალექტში. ქართული ენის ქვესისტემებში ტკბ-ს აქვს დუბლეტი ტკვ-, ხოლო აჭარულ კილოში ტკბ- გაყოფილია /ი/ ხმოვნით; ხმოვანი /ი/ გადის /კბ/ კომპლექსს შუა: ტკბილი — ტკიბილი; შდრ. კიბილი „კბილი“. კახ. პჭკ- კომპლექსი მეორეულია: პჭკ- (← პჭყალი ← ბრჭყალი), პწკ- (← ფრჩხილი), პწკ- (← პწყინვა ← ბრწყინვა).

სამწევრიანი კომპლექსები, სადაც პირველი ორი კომპონენტია ხშული, მესამე კი — სონორი: დგნობა „გაძლება, ატანა“, თქლწფად (← თქვლეფა „ღორული ჭამა, ხმაურით“), თქმად (←თ-ქმ-ად), თქმულევად „თქმულება“, ტენარ „მტენარი“, ძგნაფვა (ქიზიყ. „განაბვა“), ცქნუს (←ცქვნის), ცქლაფუნი (ქიზიყ. „ჩქარა და ენის დაბმით ლაპარაკი“), წკლუნტ (← სკლინტი), ცქრწმელ (← ცრემლი), წკმეტა (← ჩქმეტა), წკრეტვა (← წრეტა ქიზიყ. „წურვა, გამოქაჩვა“), ჯგლემურა (ქიზიყ. „მოუხეშავი ადამიანი“), ჩქლორვა, ჩქლწფად (← ჩქვლეფა „სითხის ნყღრევა“), ჭქნევ... ექსპრესიული გზით: წკრიალ, თქრიალ, დგრიალ, ძგ/ზგრიალი...

§15. სამ- და მეტთანხმოვნიანი კომპლექსები

თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზის დროს შიგადაშიგ განვიხილავდით სამშემადგენლიან კომპლექსებს და მივუთითებდით, რომ ამგვარ კომპლექსებში, სადაც ერთ-ერთი არის სონორი რ, ჩვეულებრივ ეს ბგერა იკარება: გრძელი > გძელი, ბრძოლა > ბძოლა... რ-ს დაკარგვის შემდეგ მიღებული ხშული + ხშული კომპლექსი გძ-, ბძ- ინგილოურში შეცვლილია გზ-ითა და ბზ-ით: გზელ, ბზოლა. რაც შეეხება ღრძ-, რჩდ- კომპლექსებს, მთის კილოებში ისინი გაყოფილია ანაპტიქსური ხმოვნით: ღრძილი > ღირძილი ინგილ. ღიძილ / ღიზილ, ჩრძილი > ჩირძილი (თუმცა არის მოსაზრებაც, რომ ღრძილი, გრძელი და სხვ. მსგავსი ტიპის ფორმებში რ მეორეულია) (105, გვ. 28-29); ეს უკანასკნელი ინგილოურში არ იხმარება. მის ნაცვლად გვხვდება „გრილოა“ (ჩრდილის მნიშვნელობით).

თანხმოვანთა სამშემადგენლიან კომპლექსებიდან ცალკე აღსანიშნავია ღრძ- და ბრძ-, რომლებიც აღნიშნულ წესს არ ემორჩილებიან.

ბრმ- კომპლექსი: როგორც წესი, აქაც უნდა დაკარგულიყო ერთ-ერთი კომპონენტი, ან კომპლექსს გასჩენოდა ხმოვანი, რათა გაეყარა უჩვეულო თანმიმდევრობა. მაგრამ რ-ს დაკარგვა, ჯერ ერთი გამოიწვევდა აკრძალულ ბმ- კომპლექსს, მეორეც, პირველი კომპონენტის ბ-ს დაკარგვით > სონორი + სონორი, რაც აგრეთვე უჩვეულო თანმიმდევრობას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა ბრმ- თანმიმდევრობა გაყოფილიყო მარცვალთგამყარი პაუზით იქ, სადაც კომპლექსი ბუნებრივ მოდელზე უნდა გადასულიყო, რადგან მარცვლების გამყარი /რმ/-ს სხვადასხვა მარცვალში ანაწილებს, მაგალ., ხევსურულში დადასტურებულია ბურმა ← *ბირმა < ბრმა, ღირმა ← ღრმა (104, გვ. 32).

ინგილოურისათვის კი მარკირებულია C + /რ/, პირუკუ შემთხვევაში /რა/ + C არამარკირებულია (იკარგება პირველი კომპონენტი, იხ. ზემოთ).

ქართ. ბრმა > ინგილ. ბრიმაჲ || ბრჷმაჲ, შდრ. კახ., ფშ. ბრიმა || ბრჷმა.

ანალოგიური მსჯელობა შეიძლებოდა ღრმ- კომპლექსის თანმიმდევრობაზე; აქაც /რა/-ს დაკარგვით მივიღებდით /ღმ/-ს (ფრიკატივი + სონორი), რაც ინგილოურში უჩვეულოა; კერძოდ, /ღმ/-ს (ღმერთი) დაკარგული აქვს პირველი კომპონენტი: ღმერთი > მერთ (50, გვ. 70). ღ + რ: ღრუბელი > ღურბელ, შდრ. გურული — ღურბელა-ი || ღუბლი (მეტათეზისი) (იხ. 75).

ღრმა > ღრიმ || ღრჷმ; შდრ. ფშ., მოხ., ქიზიყ.: ღრიმა || ღრჷმა.

ინგილოურმა ოთხ- და მეტშემადგენლიანი თანხმოვნითი კომპლექსები, როგორიცაა ბდღვნ-, ბრჷყვ-, ფცჷვნ-, ფშხვნ-, ფრთხ-, ფრჩხ-, ბრწყ- || ბრწყ-, ძვ. ქართ. გრწყ... არ იცის.

რთული შემადგენლობის კომპლექსები, სადაც რედუცირებულია ხმოვანი, მეორეულადაა მიჩნეული; ხმოვნის ამოღებას მახვილის მიზეზით და მარტივ ფუძეზე ხმოვნით დაწყებული -ილ, -ელ სუფიქსების დართვით ხსნიან.

„სრულხმოვნობა მეორეული მოვლენა არაა, იგი ამოსავალი ვითარებაა.

სრულხმოვნობა ქართულისათვის ისტორიულად ისევე დამახასია-

თებელი უნდა ყოფილიყო, როგორც ზანურისათვის (მეგრ.-ჭანურ.): ქართულმა ეს ვერ შეინარჩუნა — მახვილის მიზეზით.

„... თანხმომავანობა ქართულში მეორეულია (მისი მთავარი წყარო დეტერმინანტ სუფიქსთა ზეგავლენით ფუძის შეკუმშვა!); სწორედ სრულხმომავანობაა ქართული ენის განვითარების ძველი სტადიისათვის ნიშანდობლივი“ (90, გვ. 129).

3. ფოტმა ეჭვი გამოთქვა ხმოვნის რედუქციაში მახვილის როლთან დაკავშირებით. ამ პროცესს მან DEVS EX MACHINA უწოდა. (68, გვ. 8).

„ფუძის | მდგომარეობას (CVC-C) გულისხმობს ამოსავლად ზოგი ისტორიულად დამოწმებული ნულ-საფეხური ფორმა, მიღებული ფუძეზე სრულსაფეხურიანი სუფიქსის დართვით“ (7, გვ. 310).

ისტორიულ-წარმომავლობით სრულხმოვნისანი ფუძეების სიას იძლევიან თ. გამყარელიძე და გ. მაჭავარიანი (7, გვ. 310).

ფუძისეული ხმოვნის ამოღებამ და შემდგომ რ-ს დაკარგვამ გამოიწვია ენაში არაძირითადი მოდელის კომპლექსები. ენა ცდილობს განთავისუფლდეს არაბუნებრივი კომპლექსებისაგან სხვადასხვა გზით: ა) თანხმომავანთა დაკარგვით, ბ) ანაპტიქსური ხმოვნის ჩართვით, გ) თანხმომავანთა მონაცვლეობით და ჰარმონიულ კომპლექსთა შექმნით, რათა გამოთქმა ადვილი გახადოს.

აღნიშნული სამივე გზა მეტ-ნაკლებად მოქმედებს ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში (ხევსურულში, ფშაურში, კახურში...). მაგრამ ინგილოურში ძირითადად მოქმედებს პირველი გზა (დაკარგვა), და ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ არაბუნებრივი კომპლექსი ბუნებრივამდე არ დავა (ხშული + ნაპრალოვანი):

მაგ., ფრჩხ- > ფჩხ- > ჩხ- (ფრჩხილი > ფჩხილი > ჩხილი),
ფრთხ- > ფთხ- > თხ- (ფრთხილი > ფთხილი > თხილი),
ბრწყ- > ბწყ- > წყ- || წყ- (ბრწყინავს > ბწყინავს > წყინავს || წყინავს)⁸, ბრტყ- > ბტყ- > ტყ- (ბრტყელი > ბტყელი > ტყელი), ძვ. ქართ. გრწყ- > გწყ- > წყ- (გრწყილი > გწყილი > წყილი) და სხვ.

⁸ „წყინავს || წყინავს“ (ყ¹) მონაცვლეობა მეორეული მოვლენაა.

სახელთა ბრუნვის სისტემა

§16. ლოკალურ ბრუნვათა ადგილისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში ძირითადი ბრუნვების გარდა ინგილოურში გამოყოფილია არაძირითადი ბრუნვებიც (სადაობით-გამოსვლითი, ნათესაობით-გამოსვლითი და ნათესაობით-მიმართებითი) (18, გვ. 89-94). ისინი განხილული აქვს გრ. იმნაიშვილს (18, გვ. 89-94).

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ლოკალურ ბრუნვათა საკითხი.

ლოკალური ბრუნვები ბრუნვათა სისტემაში შემოიტანა ა. შანიძემ. მისი აზრით, ბრუნვის წარმოქმნა ხდება „მაშინ, როცა ერთისა და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის ფორმებს შორის სახელს გაუჩნდება ისეთი, რომელიც განსხვავებული იქნება სხვებისაგან როგორც ბგერითი შედგენილობით, ისე დანიშნულებით, ე. ი. ფორმითაც და ფუნქციითაც“ (82, გვ. 74).

ბრუნვათა ასეთი წარმოქმნა, ა. შანიძის აზრით, მოხდა თანდებულის ბრუნვებისაგან: „ზოგიერთი თანდებული მჭიდროდ შეეზარდა ბრუნვის ფორმას, თანაც ფონეტიკური წესების გავლენით ისეთი ცვლილება მოხდა, რომ წაიშალა ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის. ამის წყალობით შეიქმნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მთლიანად ბრუნვის ნიშნად ყოფილიყო გაგებული. ასეთი ამბავი მოხდა სამ ბრუნვაში: მოქმედებითსა, ვითარებითსა და მიცემითში, რის შედეგადაც მივიღეთ სამი ახალი ბრუნვა: გამოსვლითი, მიწვევითი და სადაობითი, რომელთაც ლოკალურ (ადგილობით) ბრუნვათა ფუნქციები აქვთ მოპოვებული“ (82, გვ. 74).

ლოკალური ბრუნვების (გამოსვლითი, მიწვევითი და სადაობითი) ნიშნებად მიჩნეულია: ა) გამოსვლითის -იდან ან -დან (82, გვ. 74-75); ბ) მიწვევითის -ამდის (მდის), რომელიც მიღებულია ძვ. ქართულის თანდებულის ბრუნვისაგან: -ად-მდე (ად-მდის) > ამდე (-ამდის) (82, გვ. 75); გ) სადაობითი მიცემითისაგანაა წარმოქმნილი: წყალსა შინა > წყალსში > წყალში, წყალსა ზედა > წყალსზე > წყალზე. „რადგანაც ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემდეგ -ში და -ზე უშუა-

ლოდ ფუძეს ერთვის, ამიტომ მათ ისეთივე ფუნქცია მიიღეს, როგორც ბრუნვის ნიშნებს აქვთ, ისინი ბრუნვის ნიშნები გახდნენ“ (82, გვ. 75-76).

მაშასადამე, აკ. შანიძის აზრით, ლოკალური ბრუნვები მიღებულია ბრუნვის ნიშნისეული აფიქსებისა და თანდებულის შერწყმის შედეგად გარკვეული ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზე.

გარდა აღნიშნული ლოკალური ბრუნვებისა, ა. შანიძემ გამოყო მიმართულებითი ბრუნვა ძველ ქართულში.

მიმართულებითი ბრუნვის გამოყოფის მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ „ძველი ქართულის მიმართულებითი ბრუნვა საზოგადო სახელებში არ განსხვავდებოდა გავრცობილი ნათესაობითისაგან, მაგრამ საკუთარ სახელებში იგი განსხვავებული იყო მათგან ა-ს დართვით: **მიავლინა უფლისა**, მაგრამ **მიავლინა დავითისა**. მსგავსად ამისა, მიმართულებითი გვაქვს მე-3 პირის ნაცვალსახელებშიც: **მიავლინა მისა**, **მიავლინა მათა**“ (76, გვ. 32).

ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა; კერძოდ, არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „სამი ახალი ბრუნვის შეტანა არ არის გამართლებული სახელის მორფოლოგიური თვისებებით ქართულში“ (91, გვ. 204).

ზემოთმოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, გრ. იმნაიშვილი ინგილოურ კილოში ძირითად ბრუნვებთან (სახ., მოთხ., მიც., ნათ., მოქმ., ვით., წოდ.) ერთად ცალკე გამოყოფს არაძირითად, ე. ი. ლოკალურ (სადაობით-გამოსვლითს, ნათესაობით-გამოსვლითსა და ნათესაობით-მიმართულებით) ბრუნვებს (18, გვ. 89 და შემდ.).

§17. სადაობით-გამოსვლითი. გრ. იმნაიშვილი აღნიშნავს: „სადაობით-გამოსვლით ბრუნვასაც წავაწყდებით ზოგჯერ ინგილოურში მთის კილოების მსგავსად“ და უთითებს აკ. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებს“, I, §100.

რას აღნიშნავს ტერმინი სადაობითი-გამოსვლითი? „სადაობითია ბრუნვა, რომელიც მიგვითითებს ადგილმდებარეობას. მისი ნიშანი ორი სახითაა წარმოდგენილი: -ში და -ზე“ (82, §85, გვ. 75).

„გამოსვლითი ეწოდება ბრუნვას, რომელიც მიგვითითებს პუნქტიდან გამოსვლას. ეს პუნქტი შეიძლება იყოს როგორც სივრცეში,

ისე ღროში: სახლ-იდან, სოფლ-იდან, გულ-იდან...“ (82, გვ. 593, გვ. 74).

მაშასადამე, ტერმინი სადაობით-გამოსვლითი, რომელიც გვხვდება გრ. იმნაიშვილის მითითებულ შრომაში (აქ გვაქვს სადაობით-მიწვევითი ბრუნვა და არა სადაობით-გამოსვლითი), შეიძლება ორგვარად გავიგოთ: 1. ბრუნვის ფორმა, რომელიც ერთდროულად მიგვივითებს როგორც სახელის მდებარეობაზე, ასევე საგნის რომელიმე პუნქტიდან გამოსვლაზე. ე. ი. ბრუნვის ფორმაში ერთდროულად ორი ვითარებაა ასახული. და შესაბამისად, 2. გვაქვს ორმაგი ბრუნება, რაც ორი მორფემითაა აღნიშნული. ე. ი. სახელი ერთდროულად სადაობით ბრუნვაშიც დგას და გამოსვლითშიც. მაგრამ ენებში, რომელთათვის დაძახასიათებელია ორმაგი ბრუნება (მთის კავკასიური ენები), ასეთი რამ არაა დადასტურებული. საქმე ისაა, რომ ორი ბრუნვის ნიშნისაგან ერთ-ერთი (წინამდებარე-პირველი) გაქვევებულია, უფუნქციოა და იგი არის არა ფლექსიური ელემენტი, არამედ წარმოადგენს მეორადი ბრუნებისას სახელის საყრდენი ფუძის ნაწილს. და, საერთოდ, სახელთათვის უცხოა ორი ფლექსიური ელემენტი ერთდროულად. მაშასადამე, ან ტერმინია არასწორად შერჩეული, ან სახელის ფორმაა არასწორად კვალიფიციკრებული.

სადაობით-გამოსვლითი ბრუნვის მაგალითებად გრ. იმნაიშვილს მოჰყავს შემდეგი ფორმები, მაგ.: ერ დღე ამ ქედრიზთანი არაბოლიებ ივლიან (სამთაწყ.), გოდმოვ ნეფესთანით ერ კაც (კაკი); გადად მიდის, ქუასთანო ეზახის (კაკი); კარშიდთით დაკლიტა კარ (კაკი), ცხრა თას იქითუენი მაღლა საათ (სამთაწყ.) (18, გვ. 89-90).

განვიხილოთ პირველი წინადადება: „ერ დღე ამ ქედრიზთანი არაბოლიებ ივლიან“. ერთ დღეს ამ ქედრიზთან (ქეერიზ, ქეპრიზ, ქედრიზ (აზერბ. ქაპრიზ) — ჰა (71, გვ. 457) || ჰასთან არაბოლიები || შეაქლემეები გაივლიან. მაშასადამე, გრ. იმნაიშვილს სადაობით-გამოსვლითი ბრუნვის ნიმუშად მოყვანილი აქვს ქედრიზ-თან-ი ფორმა, სადაც გამოიყოფა ქედრიზ — ფუძე, -თან თანდებული და -ი ელემენტი. ისმის კითხვა: რის საფუძველზეა ლაპარაკი სადაობითობაზე ან გამოსვლითობაზე?

სადაობითი ბრუნვის რაობაზე აღვნიშნეთ, რომ იგი აღნიშნავს ადგილმდებარეობას. მისი ნიშანი ორი სახითაა წარმოდგენილი: -ში

და -ზე (აქ. შანიძე). ქედრიზთანი ფორმაში კი არც -ში ელემენტი გვაქვს და არც -ზე, რაც საერთოდ წარმოადგენს ამ ბრუნვის გამოყოფის საფუძველს.

როგორც ჩანს, ავტორი გვერდს უვლის ამ ფორმალურ საკითხს (რომლის გარეშე მორფოლოგიური ანალიზი შეუძლებელია) და სიმძიმის ცენტრი გადააქვს -თან თანდებულზე, რომელიც თავისი ფუნქციით აგრეთვე მიუთითებს საგნის მდებარეობაზე. მაგრამ ეს იქმნებოდა სახელის ფორმის არა მორფოლოგიური, არამედ სემანტიკური თვალსაზრისით განხილვა, რადგანაც ირღვევა სადაობითი ბრუნვის გამოყოფის პრინციპი — სადაობითის ე. წ. „ნიშანმა“ უნდა გამოიწვიოს „თან“-ის დართვისას მიცემითის ნიშნის დაკარგვა თანხმონიან ფუძეებში, მაგრამ ხმონიან ფუძეებთან ჯერ კიდევ შემონახულია ეს ნიშანი: კაც-თან, მაგრამ: მიწა-ს-თან; ამიტომ აქ არ ისიძის საკითხი ახალი ბრუნვის გამოყოფის შესახებ (82, გვ. 95, გვ. 76).

მაშასადამე, -თან თანდებულიან ფორმებში არ დაისძის სადაობითი ბრუნვის საკითხი. თუ მაინც ჩავთვლით -თან თანდებულიანი მიცემითის ფორმას სადაობით ბრუნვად, მაშინ საჭიროა დასაბუთება, რის საფუძველზე ხდება ასეთი კვალიფიკაცია. მაშასადამე, აქ უნდა ვილაპარაკოთ -თან თანდებულიანი მიცემითის შესახებ, რომელიც გართულებულია -ი ელემენტით (ი-ს საკითხებზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

მეორე წინადადება „გოდმოვ ნეფესთანით ერ კაც“ — ეს ნიშნავს — ნეფესთან მდგომი ერთი კაცი გადმოვა. ზედმიწევნით: კაცი, რომელიც მეფესთან იღვა, გადმოვა იქიდან, ე. ი. სუბიექტმა შეასრულა მოქმედება, მოძრაობა, რომლისათვის ინგილოს ცნობიერებაში ათვლის წერტილია ნეფესთან, არა სადაობითი, არამედ მიცემითის თანდებულიანი ფორმა. მიცემითის თანდებულიანი ფორმა წარმოადგენს საყრდენ ფუძეს ე. წ. გამოვსლითი, მოქმედებითი ბრუნვისათვის.

ერთადერთი მაგალითი, რომელიც ასე თუ ისე ჰგავს სადაობით-გამოსვლით ბრუნვით ფორმას, არის „კარშიდით დაკლიტა კარ“ (კაკი) — გარედან დაკეტა კარი.

ჩვენი აზრით, მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა კარშიდითთ ფორმამ, რომელიც ასე იშლება კარში — (ნიშნავს — გარეთ — არა მართო ინგილოურში, არამედ სხვა ქართულ დიალექტებშიც, და ეს

ბრუნვის ფორმა კი აღარ არის, არამედ ზმნისართია) — **მთ-ით**. -
მთ-ით კი მოქმედებითის გაორმაგებული ფორმანტია (18, გვ. 89),
რომელიც ზოგჯერ -თ ელემენტის გარეშეც შეიძლება იყოს წარმო-
დგენილი (18, გვ. 89). რაც შეეხება „კარში-მთ-ით“ ფორმაში -**მთ**
ელემენტს, მას ისეთივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, როგორც -ით ||
-მთ სუფიქსს, კერძოდ: კარში „გარეთ“, კარშიმთ „გარედან“ კარ-
შიმთით „გარედანით“. როგორც ჩანს, კარშიმთ სპეციფიკურია სემან-
ტიკურად.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სტრუქტურის თვალსაზრისით,
მოყვანილ მაგალითებში შეიძლება გამოიყოს ფუძე + მიც. ნიშანი +
თანდებული + მოქმედებითი (გამოსვლითი) ბრუნვის ნიშნები, მაგრამ
მორფოლოგიური თვალსაზრისით, ე. ი. მოქმედი აფიქსების (მორფე-
მების), ენობრივი ნიშნების თვალსაზრისით, ფუძესთან დაკავშირებუ-
ლი მიცემითის ნიშანი და თანდებული წარმოადგენენ სუბნიშნებს
(115, გვ. 175), რომელთა ერთიანობა გვაძლევს ერთ შინაარსს (მაგ.
კარში ← კარსში), ხოლო ფუნქციის მატარებელი, რეალურად მოქმე-
დი ფლექსიური ელემენტები -**მთ** და -**ით** გამოსვლითობაზე მიუთითე-
ბენ. გამოდის, რომ უნდა ვილაპარაკოთ არა რომელიმე სადაობით-
გამოსვლით ბრუნვაზე, არამედ ზმნისართთა თავისებურ ფორმებზე.

ბრუნვის ნიშნებიც, ამ შემთხვევაში -**მთ** და -**ით**, უკვე ზმნისარ-
თის ფუძეს უნდა მივაკუთნოთ, როგორც წარმომქმნელი ელემენტები.

§18. ნათესაობით-მიმართულებითი. გრ. იმნაიშვილი წერს: „ინ-
გილოურში გვაქვს ნათესაობით-მიმართულებითი ბრუნვაც, სადაც მი-
მართულებითი ბრუნვის მაწარმოებლად გამოდის -ა; მაგ.: წაუღა ბე-
გისა, წახოლ იმ კაცისა მაქაკლა, წაყუნა თავისი... მიდის თავი მა-
მამსა, სალამოზე წაუღნენ იმ ფაჰჩამსა... აღარ წაუღა იმისა...
თქნნა წაუღნენ... მიდის თავი დედანთა, წაყუნა თავიანთა, ხანუ-
მაინთა წაუღნენ...“ (18, გვ. 92).

ავტორი ძველ ქართულზე დაყრდნობით ასკვნის, რომ „საქმე
გვაქვს ნანათესაობითარ-მიმართულებით ბრუნვასთან, სადაც მიმარ-
თულებითის ნიშანია ან მარტო -ა, ანდა -ად || -და და დონი დაკარ-
გულია.

მაშასადამე, „წაუღა ბეგისა“ უნდა მომდინარეობდეს ან „წაუღა

(სახლად) ბეგისა“, ანდა „წაჲდა (სახლად) ბეგისად“, ან კიდევ „წაჲდა (სახლად) ბეგისდა“ ფორმისაგან“ (18, გვ. 92-93).

ამ ფუნქციით მიმართულებითი ბრუნვის გამოყენება ძველ ქართულში ეჭვს არ იწვევს (შდრ. 92, გვ. 22; 29, გვ. 379-380; 33, გვ. 332). მაგრამ, როგორც თავად გრ. იმნაიშვილი აღნიშნავს, „სალიტერატურო ქართულსა და რიგ კილოებში ამ ბრუნვის მონაცვლეობას ეწვეა ნანათესაობითარი მიცემითი ბრუნვა (მიდის მოყვრისას) (18, გვ. 93); შდრ. ა. შანიძე: „ნათესაობით-მიცემითის ფორმას გვიჩვენებს ადგილისა და დროის გამომხატველი სიტყვები (დროის გამომხატველები საწყისებია): მეზობლისას, ბიძისას, ჭავეჭავაძისას, გაკვეთილის დაწყებისას, სხდომის გათავებისას და მისთ.“ (82, გვ. 609). მიუხედავად იმისა, რომ გრ. იმნაიშვილი ეყრდნობა საყოველთაოდ მიღებულ დებულებას — „მიც. და მიმართ. სინტაქსური ფუნქციით რიგ შემთხვევებში ფარავენ ერთმანეთს და ამიტომაა შესაძლებელი მათი მონაცვლეობა“ (15, გვ. 339), ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ „წაჲდა ბეგისა, წახოლ იმ კაცისა მაჲაკლა“... და მსგავს შემთხვევებში გვაქვს არა ნათესაობით-მიმართებითი, არამედ ნათესაობით-მიცემითში მდგომი ზმნიზედები „ადგილის გარემოების ფუნქციით -ის-ა || -ესა-ა || -ს-ა... მიდიან ბიჱისა „მიდიან ბიჱთან (ბიჱისას)“... მიდის თავი დედაანთა „მიდის თავისი დედის ოჯახში“ (107, გვ. 351). ეს ფორმები ასე დაიშლება, მაგ.: ბიჱისა(ს) — ბიჱ-ის-ა(ს), სადაც -ა ნათ. და მიც. ფორმანტის გამყარი ხმოვანი უნდა იყოს და არა მიმართულებითი ბრუნვის ხმოვნითი ნაწილი. ხოლო ის ფაქტი, რომ „ზმნიზედებში იკარგვის ზოგჯერ სანი“, მითითებული აქვს გრ. იმნაიშვილს (18, გვ. 85).

ამგვარად, ნათესაობით-მიმართულებითი ბრუნვის გამოყოფაც არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

ალბათ არ იქნებოდა მისაღები ნათესაობით-გამოსვლითი ბრუნვის გამოყოფაც. ნათესაობით-გამოსვლითი ბრუნვის ფორმებადაა მიჩნეული „კაციზგნით“ (← „კაც-ის-გან-ით“), „ჰუსენაზგნით“ (← „ჰუსენა-ის-გან-ით“)... თუ ამ ბრუნვას ვაღიარებთ, მაშინ უნდა გამოგვეყო მისი ნიშანი -იზგნით ← ისგანით. მიუხედავად იმისა, რომ ინგილოური ფრიად განსხვავებულია სალიტერატურო ქართულისა და რიგი დიალექტებისაგან, ამ ელემენტის, როგორც ბრუნვის ნიშნის,

გამოყოფა არ ჩანს მართებული, რადგან ფორმა „კაც-იზ-გნით“ უბრალო დამატებისაა და არა ზმნიზედისა, -იზ იქნება -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის გამჟღერებული ალომორფი (სგ → ზგ), ხოლო -გნით — თანდებული (რომელსაც პარალელურად მოეპოვება -გნივ ვარიანტიც). ჩვენ მას განვიხილავთ ნათესაობით ბრუნვაში.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს: ქეძრიზთანი, ქუასთანი, იქითყენი, დავითისა... ტიპის ფორმები მხოლოდ ზმნიზედებია. „ზმნიზედად ქცეულ სახელს ბრუნვის პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან ზმნიზედებად, ანუ გარემოებად“ (64, გვ. 91).

მაშასადამე, „ქეძრიზთანი“, „ქუასთანი“, „დავითისა“, „ბეგისა“ და მსგავსი ტიპის ფორმები მეორეულია, სადაც ბრუნვის ნიშნები წარმოქმნილი (დერივანტი) ელემენტებია: -ი (← ით) დერივანტიანი გამოსვლითი ზმნიზედების ფორმებია, ხოლო -ის-ა, როგორც, სახელიდან ჩანს, მიმართულებას გამოხატავენ (სად? „ბეგისა“).

ინგილოურში დადასტურებულ ლოკალურ ბრუნვებთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ: დადასტურებული ფორმები (ქუასთანი, ბეგისა...) ცალკე ბრუნვებად, ჩვენი აზრით, არ უნდა იქნეს მიჩნეული, რადგანაც ისინი ფუნქციით ზმნიზედებია, რაზედაც მათი სახელები და თვით კითხვებიც მიუთითებენ: საიდან? (ქუასთანი, ქეძრიზთანი); მიმართულებითი საითყენ? (იქითყენ || იქითყენი), სად? (ბეგისა, თქონსა, გიორგინთა, თამრონთა). ნათელია, აღნიშნული მაგალითები უფრო ახლოს არიან ზმნიზედებთან.

ამგვარად, რამდენიმე თანდებულიანი ბრუნვის ფორმა, რომლებიც გამოიყენება ზმნათა გარკვეულ ჯგუფთან (წაუღა ბეგისა, წაყუნა თავიანთა, მამაძეზნი მოძს, ქუასთანი გგმოჩნდა || გმოჩნდა...) და სხვ. არ წარმოადგენს საკმარის საბუთს ამ ფორმების დამოუკიდებლ ბრუნვად გამოცხადებისთვის.

მაშასადამე, ინგილოურ კილოში ძირითადად უნდა გამოიყოს 7 ბრუნვა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი. ამ უკანასკნელი ბრუნვის, თუ მიმართვის ფორმის შესახებ სპეციალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

§19. სახელობითი ბრუნვა. ინგილოურ კილოში სახელობითი ბრუნვის ნიშანი კაკურ და ალიაბათურ კილოკავში გვხვდება:

1. კაკურ კილოკავში ხმოვანფუძიან სახელებთან (მიუხედავად ხმოვნების რომელობისა და მარცვლის რაოდენობისა) სახელობითი ბრუნვის ნიშნად წარმოდგენილია -ჲ (← ი).

ა) საზოგადო სახელებში -ჲ (-ი): არაწიჲ, გუგრაჲ, ანაჲ („დედა“), ქუაჲ, რუაჲ, მამაჲ, ჰეზნაჲ (|| მეზნაჲ), კარზინკაჲ, ზეჲ, თორნეჲ, ტყეჲ, უთოჲ, ღუნწჲ, ზუზუჲ...

ბ) საუთარი სახელებიც დაირთავენ -ჲ ალომორფს; მაგ.: გიორგიჲ, თამროჲ, თაზიჲ, ელენეჲ, ვასოჲ...

თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში კი სახელობითი ბრუნვის ნიშნად კაკურ კილოკავში გვხვდება: ა) Ø (პაუზის არმქონე სახელებსა და უნაწილაკო ფორმებში): შულ, ყმაწულ, ცხორ, კამეჩ და სხვა.

მაგალითები ტექსტიდან Ø (ნულ-) ალომორფით.

ერ შულ, ერ ყმაწულ არ გოგაჩნი (კაკი).

უწინ კულაკევ ბეჭერ (|| ბევერ || ბოვერ) ჟუნწ (კაკი).

გ) როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, თანხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა მეორეული უნდა იყოს (18, გვ. 84-85).

ჩვენ მხოლოდ მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს ტექსტიდან, სადაც სახელობით ბრუნვაში -ი შემონახულია:

ე დევი და გადაჲ იკიდნევიან.

კაცი და დედაკაც...

ი გადაჲ ყოფილ ქალივი (← ქალივით) ლამაზ.

ქალიც, შულტუც (← შვილიც)...

კაცია თუ დეკაც?

მაშასადამე, -ი ალომორფი გვხვდება: ა) პაუზის ან და კავშირის წინა პოზიციაში (კაცი და დედაკაც) და ნაწილაკთა წინ (მაგ. გვექნება ენაჲც (← ენაიც) და არა ენაჲც.

1. ალიაბათურ კილოკავში საპირისპირო სურათი გვაქვს: ა) ხმოვანფუძიან სახელებს დაკარგული აქვთ სახელობითი ბრუნვის ნიშანი: დედა ენა ქართული გოქს (|| გოქო). ნევა (= შვილიშვილი) არი ჩემი. იმი ზმა თემრიზა დგას; ბ) თანხმოვანფუძიანი სახელები დაირთავენ -ი ფორმანტს: ეს ჯორცი, ეს ნალოკი, ეს ქონი. ორი ქალი მაქო. დედაკაცი ფენეერაჲთი იჭრტებოდა. ბაჲლული ლაფ ჰკუანი კა-

ცი უოფილა.

2. ალიაბათურ კილოკავში იშვიათად დასტურდება ნულოვანი (0) ალომორფიც; მაგ. ჩემ ლაპარაკი არი ენა ქართული. ორმოც მჭრჭლი ჰქონდა.

საკუთრივ ქართული და ნასესხები სიტყვები სახელობითი ბრუნვის -ო-ს ან -ჲ-ს გამოვლენის თვალსაზრისით ერთნაირად იქცევიან, რის გამოც აღარ მივიჩნით საჭიროდ მათი გამიჯვნა.

მაშასადამე, სახელობითი ბრუნვის ნიშნად კაკურში გვაქვს ხმოვნის მომდევნო პოზიციაში -ჲ და Ø (ნული) ალომორფი, ხოლო თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში -Ø და -ი, ალიაბათურ კილოკავში კი თანხმოვანფუძიან სახელებთან -ი გვხვდება, ხმოვნის მომდევნოდ -Ø (ნული).

§20. მოთხრობითი ბრუნვა. ინგილოურ კილოში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვნის მომდევნო გარკვეულ პოზიციაში დასტურდება -მა; კერძოდ:

ა) -ც ნაწილაკის წინა პოზიციაში: დედამაც მითხრა, ზმამაც მაყონა;

ბ) -ვე ნაწილაკის წინა პოზიციაში: ჩემ ზმამავ(ე) მოკლა.

-მა დასტურდება აგრეთვე ხმოვნის მომდევნო პოზიციაში პაუზის წინ და ლოგიკური მახვილის მქონე უნაწილაკო ფორმებში: წუხელ საღამოზე წაყონა დედამა. ფაჰამა თავი თეზირევ დაჯოცა.

ანალოგიურ ფორმებს ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კილოებში (მაგ., კახურში, მოხურში და სხვ.); მაშ.: მე გამზარდა პაჰამა და ბეზამა — დედის მამამა და დედამა (სილ.). 18 წლისი რო გავეკე, ნაქრულამა კაცმა გამიტაცა — სამი შულის მამამა (მოხ.). მეფემა თქვა, თქვა... (39, გვ. 69).

ანალოგიური მოვლენები დამახასიათებელია სამხრეთ-დასავლური დიალექტებისათვისაც (მესხურ-ჩავახურში, გურულში).

ინგილოურში მოთხრობით ბრუნვაში ფუძისეული და ფორმანტისეული მან-ების შეხვედრისას მოსალოდნელი გემინირებული (-მმ-) ორი თანხმოვნის ნაცვლად გვაქვს ერთი -მ; მაგ.:

ბითავე ჩემა მამამთილმა ჩაყიბა ფულევ.

ჩემა (|| ჩემ) შუღლმა მითხრა...

შდრ. კახური: ეხლა რათ უნდა (||უნა) ისწავლონ ან ჩემა შეილ-
მა და ან სხვადა.

ის ბიჭები ჩემა მაზღმა მორეკა.

აქლემა თქვა... (39, გვ. 69).

ინგილოური კილოს თავისებურებას წარმოადგენს: ა) მოთხრო-
ბითი ბრუნვის ორმაგი წარმოება: კაცამ უჩივლა... ვარამ დაპგრუმა
(18, გვ. 94).

ორმაგი წარმოება დასტურდება კითხვით ნაცვალსახელებში;
მაგ., ვინ ნაცვალსახელი: მინმა თქოა? მინმა უთხრა (ვინ უთხრა), მინ
|| მინმა გააკეთა?.. (51, გვ. 285);

ბ) მესამე პირის ნაცვალსახელში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად
გვაქვს -მ -ნ-ს ნაცვალად: ამამ ადლა, იმამ წაყონა, მაგამ მითხრა.

ინგილოურში მოთხრობითი ბრუნვის არქაული სუფიქსი -მან
ვერ დავადასტურეთ.

მაშასადამე, ინგილოურში მოთხრ ბრუნვის ნიშნის ალომორფე-
ბია: -მა, -მ, -ნ და Ø. აქედან -მა, -ნ, -მ გვხვდება ხმოვნის მომდევნო
პოზიციაში. კერძოდ, -მა გვხვდება -ც და -ვე ნაწილაკების წინა, პაუ-
ზის წინა და ლოგიკური მახვილის მქონე უნაწილაკო ფორმებში (დე-
დამაც, ზმამავ(ე), ფაჰამა); -მ ხმოვანფუძიან სახელთა აბსოლუტურ
ბოლოში (დედამ, ზმამ); -ნ ხმოვნის მომდევნოდ კითხვით ნაცვალსა-
ხელში (ამან, იმან); ხოლო თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში გვაქვს -
მა (შუღლმა, ათაბეგმა) და Ø. ეს ალომორფი გვაქვს მაშინ, თუ მო-
თხრობითში დასმული საზღვრულის წინ დგას მსაზღვრელი (დიდ
შუღლმა...), რომელზედაც ცალკე გვექნება მსჯელობა (იხ. მსაზღვრელ-
საზღვრულის ბრუნება).

§21. მიცემითი ბრუნვა. მიცემითი ბრუნვის ნიშანი ინგილოურ
დიალექტში წარმოდგენილია -ს, -ს+ა, -მ, -ჰ, -მ (ნული) ალომორფე-
ბით.

აქედან Ø (ნულოვანი) ალომორფი ძირითადად გვხვდება კაკურ
კილოკავში; მაგ.: ბაკნევი ხორბალ აზლევენ, ფრტ აზლევენ, ჩალთუქ
აზლევენ. ამი (|| ემი) ცხენ ეს კლავს. მე ხრდავეარ (← ვხედავ) კაც.

რადც იქნევოდა (|| იქნეოდა) იპარავდნენ: ცხენ, ცხორ, კამმეჩ.

ანალოგიური ვითარებაა კახურ დიალექტში: ურემ შაბამდნენ; კამეჩეფ, ჯარებ სულ ურემში და წავიდოდნენ (გურჯ.). აი, შირაქ ვე-
ძახით (წითელწყარო).

ჩემი არა-მარე, დედულ-მამული ნოდარ დაუმტკიცეო (სილ.).
ბავშ (|| ბავშვ) რა უნდა (||უნა) სტოლზე, კაცო! (სილ.).

წარმომქნელი -ს ელემენტი იკარგება ზმნიზედაში; კერძოდ; დღე
(← დღეს), დღეაც (← დღესაც): დღეაც უნდა მოვდეს. იშვიათად კი
-ს მონაცვლეობს **მ-თან** (ს/მ): ამ ღამემ გარაქუმ⁹ წოვდეს.

მიცემითის -ს იკარგება თანხმოვნებთან მეზობლობაში, როცა
თანხმოვანფუძიან სახელს დაერთვის -თან და -ში თანდებული (იხ.
ზემოთ). ხოლო -ს შენარჩუნებულია მაშინ, როცა ხმოვანფუძიან სა-
ხელს დაერთვის -თან თანდებული (ქუასთან, ხესთან), მაგრამ საპი-
რისპირო მოვლენა გვაქვს, როცა ხმოვანფუძიან სახელს დაერთვის -
ში თანდებული (იკარგება -ს): ხეში, ქუაში; -ს არ იკარგება იმ შე-
მთხვევაშიც, როცა -ში, -ზე და -თან თანდებულები დაერთვის „მას“
და „ვის“: მასზე, მისზე, მისში, მასზე, მასთან, მისთან... არ გვექნება:
მაზე, მიზე, მაში, მიში, მათან, მითან.

კახურ დიალექტში კი -თან თანდებულის წინ მიცემითის -ს მო-
ნაცვლეობს **მ-თან**: შენ ბაბოძთან ილაპარაკე.

-ს¹⁰ გამოვლინდება -ც, -ვე, -ლა ნაწილაკების, -ვი(თ)¹⁰ თანდე-
ბულისა და პაუზის წინ; ამ შემთხვევაში ა-ს ფუნქცია შეიძლება იყოს
მარცვალლიაობის შექმნა (იხ. 69, გვ. 333-338).

ამგვარადვე განიხილება ხმოვანფუძიანი სახელების მოთხრობით-
თან გამოვლენილი ა (წყარომაც) (||, გვ. 47); აგრეთვე ნათესაობით,
მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში გამოვლენილი ემფატიკური
ხმოვანი -ა.

⁹ „აუცილებლად უნდა“.

¹⁰ ინგილოურ კილოში -ვით თანდებულს მიცემითსა და სახელობითში
დაკარგული აქვს ბოლოკიდური -თ (-ვი ← ვით): კაცივი, ქალივი; კაცსავი, ქალსავი.
გადაძსავი, ყრუსავი (||ყრუძსავი)... განსხვავება მიცემითსა და სახელობითის ფორმებს
შორის ის არის, რომ -ვი (← ვით) თანდებული მიცემითში ყოველგვარ სახელს
უკეთდება (იგულისხმება თანხმოვანფუძიანები და ხმოვანფუძიანები): კაცსავი,
გადაძსავი... ხოლო სახელობითში მხოლოდ თანხმოვანფუძიანებს, როცა სახელი
აღნიშნავს შესავსებას (კაცივი).

„ემფატიკური ა-ს მონაწილეობით ყალიბდება წინადადების რიტმული მონაკვეთები, ერთიანი სინტაქსური ერთეულები (გ. დეეტერსი, კ. დონდუა)“ (იხ. 63, გვ. 35). წინადადების ბოლო მარცვლის მისწრაფება ლიაობისკენ (რაც განსაკუთრებით აღმოსავლურ დიალექტებში ვლინდება) ეხმარება სახელთა მისწრაფებას, დაბოლოვდნენ ხმოვანზე.

ორ სიტყვას შორის თანხმოვანთგამყარად მიიჩნევენ ა-ს (იხ. 12, გვ. 226; 43, გვ. 91-92).

მაგალითები ინგილოური ტექსტიდან:

იმი სახლსავი (||სახლივი) ლამაზ სახლ ააშენა.

ი დეკაც კაცსავი (||კაცივი) ლაფ მაგარ იყო.

შუნდსალა მოჰრაფ აკლოდა.

ჩემსავე შინ დამტუპეს.

იმ გაადასაც უნდ ყოფილ ი ქალითავ.

კატაქსავი იკმინევ.

ყურდღლისა და ჟანავრი დოსტოვაფ მის გაჟგონია?

კახურ დიალექტში -სა დასტურდება პაუზის წინა პოზიციაში: გაგრეცხამ მატყლსა სუფთათ, კარგა გააშროფ, დაქსწეწამ იმასა. რაფცა ქონდათ იმ ჩემ ბიძაშვილეთსა...

ინგილოურში ხმოვნის მომდევნო პოზიციაში მიცემითის ნიშანი -ს მონაცვლეობს -ფ-თან: დედაფ უთხარ მოვდეს (კაკ.). ენაფ ნუ უგ-დეფ (კაკ.).

-ს-ს -ფ-თან მონაცვლეობა ინგილოურში ჩვეულებრივი მოვლენაა: იფ გადაფ მინაა? („ის ბიჭი ვინ არის?“).

ანალოგიური მოვლენით ხასიათდება კახური დიალექტი. ხმოვნის მომდევნო პოზიციაში მიცემითის ნიშანი -ს მონაცვლეობს -ფ-თან; მაგ.:

მე მამაფ ვერ ვიცნობდი, დედაფ ვერ ვიცნობდი (სილ.).

წალდი იქ ჩამაფვარდნოდა ფილიპეფ (სილ.).

ინგილოურში იშვიათად -ს-ს ადგილას გვევლინება -ჰ (იმაშიც „იმასაც“, რაჰ „რას“): მოლლა ტაფ რაჰ ჩედი!

ს-ს მონაცვლეობა ჰ-სთან გვხვდება კახურშიც: გოგოჰ.

§22. ნათესაობითი ბრუნვა. ინგილოურში ზოგჯერ ბოლოთან-ხმოვნიან სახელებს ნათესაობით ბრუნვაში მთლიანად ეკვეცებათ -ის მაწარმოებელი: კორცხ დანადრჳ თუ ქნილეყოს, არ ჩაავარდნელეყო იმათთუნ სამხტოფე. კიდემ ერცხო ინსან დააწოლელ ადგილ არის (18, გვ. 86). დიდ ზმაჲ პურ უქმელა დგევ (18, გვ. 86).

ბოლოთანხმოვნიანი სახელები ხშირად კარგავენ -ის მაწარმოებელი ელემენტის თანხმოვან ელემენტ -ს-ს, ე. ი. ს-ს გარეშე გვაქვს: მემრე სჳმხჳ დაავაჲ იქნა (ალიაბ.). ალიაბათში ცხორი შემნახველი არალი (ალიაბ.). მე ყეფრანი ჳორც მინდ (კაკი). ფქჳლი გაცრასუკან იწყობენ ცომი მოზელაჲ. ერ ას ცალ ქალმი ბალ ამზადევენ.

ხმოვანფუძიან სახელებთან ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვანი ელემენტის ნაცვლად გვევლინება -ჲ (სადაც ნათესაობითი ბრუნვა მთლიანად ემთხვევა სახელობითს. განსხვავება მხოლოდ კონტექსტის მიხედვით ხდება შესაძლებელი); მაგ.: ზმაჲ სახლი „ძმის სახლია“, ეს მამაჲ გჳლგაზი „ეს მამის ცხვირსახოცია“, ჩონ (||ჩონ) სიბერეჲ დრო-ზე გჳნდ კაჲ ცხოვრევაჲ „ჩვენ სიბერის დროს გვინდა კარგი ცხოვრე-ბა“.

-ჲჳ || -იჳ ალომორფი. ნათესაობითი ბრუნვის -ჲჳ || -იჳ ალო-მორფი გვხვდება მჳლერი თანხმოვნით დაწყებული -გან თანდებულის წინ. მჳლერი გ-ს გავლენით ხდება ნათესაობითი ბრუნვის -ს ელემენტის გამჳლერება ჳ-დ, ე. ი. -სგ > -სგ; მაგ.: კაციზგნი ← კაცისგნი ← კაცისგანით, ჳმიზგნი || ჳმმაჲზგნი ← ჳმაიზგნი ← ძმისგანით, ფარ-ჩაჲზგანი, ბიზიშჳლჳზგნი (← ბიძაშვილებისაგან)... სხვა თანდებულის წინ -ჲჳ || -იჳ ალომორფი არ დასტურდება; მაგ.: სახლისყენ, სა-ხლი(ს)თუნ... და არა: სახლიზყენ, სახლიზთუნ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ -თუნ (← თვინ „თვის“) თანდებუ-ლის ნაცვლად ჩვეულებრივ იხმარება უცხო ენიდან (ხუნძურიდან) შემოსული სუფიქსი -ბე: ჩემ კაციბე მინდ „ჩემი კაცისთვის მინდა“.

ანალოგიურად -ბე || -ბეჲ || -ბეთ || -ბეჲ || -ბეჲთი სუფიქსი გვხვდება სხვა ბრუნვებშიც (მაგ., მიცემითში: ჳალლიბე დაარტყა „ძალღს დაარტყა, ვითარებით ბრუნვაში დასმულ მყოფადის მიმღეო-ბასთან ერთად: წააკიდნელა-(ჲ-ბე) ვარგა — „საჩხუბრად ვარგა“ (53, გვ. 290-293; 23, გვ. 221-226).

-ის ფორმანტი (მაწარმოებელი) სრული სახით გვხვდება -ჟენ (← კენ) თანდებულის წინ; მაგ.: ზროხვე სოფლისყენ მააბრუნ. წოვ-დნენ ათაღრისყენ.

-ს ელემენტის მონაცვლეობა -ჲ-სთან გვხვდება კახურ დიალექტშიც (რა თქმა უნდა, ხმოვნის მომდევნო პოზიციაში); მაგ.:

ეს სვიმანაჲ ცოლი იყო (გურჯ.).

შვიდჯერ საბჭოჲ თავმჯდომარესთან მივედი (წ.წ.)

§23. მოქმედებითი ბრუნვა. ინგილოურ კილოში დასტურდება მოქ. ბრუნვის შემდეგი ალომორფები: ა) თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში: -ითი, -ით, -ი (უთანხმოვნო), Ø (ნული); ბ) ხმოვნის მომდევნო პოზიციაში გვაქვს: -ეთი- -ე (თანხმოვანმოკვეცილი).

ა) -ითი ალომორფი გვაქვს ალიაბათურ კილოკავში: ჴელით, ჴილითი, სახლითი; შდრ. კახური: იჯართი, ღამითი, თხოვ-ნითი... (39, გვ. 70).

პარ წლითი მოდიოდა ურმითი ბეგი (ალიაბ.) (18, გვ. 194).

-ით ||-ი ალომორფები დამახასიათებელია ორივე კილოკავისათვის. აქედან -ი (თანმოკვეცილი) ძირითადად ახასიათებს კაკურ კილოკავს; მაგ.: ცხენ იჴერს ყბი, ოჴქ (|| რჴქ) ოსრჴს (კაკი). შენ ტირვაჲ გული არ გამღის (კაკი). კისრი კჴღვედით სამ მეტრო აღს (კაკი). ფეყი მო-ვლა (კაკი).

ალიაბათურ კილოკავში -ით || -ი ორივე ფორმით გვხვდება: ფერ-ბიჩაჲ ყოშუნი ყოცავს || ჴოცავს (ალიაბ.).

-ით: მარჴუნა თარაფით კაცები, ჩოლაყა თარაფით დედაკაცები დასხდებოდნენ (ალიაბ.) (18, გვ. 195). ის ჩონ სოფლით არი (ალი-აბ.). ზოგ ცხენ წიხლი, ზოგ ყბით ჴოცავს (კაკ.). ამას ისტამბულით, დაღესტნით ხაბარი მოჴღის (ალიაბ.). ვარც გემოღვევაში ჴერთ ვერ-ცხლი თავით იჴერს (კაკ.) (52, გვ. 103).

ბ)-ჲითი, -ჲ ალომორფები გვაქვს ხმოვნის მომდევნო პოზიციაში.

თუთან ჩოშკაჲთი აგრე-იგრე ბჴთჴმს წყრტავს (ალიბეგ.)

აში, მაჲ მანაღებ ჴეჲთი, რაჲ იჴნება?! (ალიბეგ.).

ზმნიზედებში დასტურდება -თი მოკვეცილი ფორმები (სადაც ხმოვნის მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილია -ჲ); მაგ.: თი ჴედაჲ გაღმოსლაში, ჩოშკაჲ წყალში ვარღვე (|| ვარღები). დერიაჲ გაღმო-

სულმა კაცმა არწყვივა (18, გვ. 89).

-**ღ** (ნული) ალომორფი: ხუალღამ მასლოვარ („ხვალ ღამით მოვალ“).

აქვე უნდა შევნიშნოთ: ინგილოურში ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ემფატიკური ა-ს ნაცვლად გვაქვს -**ი**. ეს ემფატიკური -**ი** ფუნქციით გაუთანაბრდა ა-ს და ბრუნვის ნიშნის განუყოფელ ნაწილად იქცა (იხ. 63, გვ. 59).

მაგ.: შოთაძისი, გიორგიძისი, კინაძისი; წყაროძითი, ტყეძითი, ზედაძითი, ციხეძითი, ზუზუძითი, დანაძითი, წლითი, ურმითი, ჳელითი, ღამითი... -**იიი** სუფიქსში ბოლო -**ი** სავრცობია.

§24. ვითარებითი ბრუნვა. ინგილოურ კილოში გვხვდება ვითარებითი ბრუნვის შემდეგი ალომორფები:

ა) თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში: ა-, -ად; მაგ.:

ი ქალიც გადურა გოვზარდი.

ემ ჰაყისაბი მაჰაკლა მიდიოდნენ.

ჩემ მოზობლევ ღარიბა ცხოვროვდნენ.

ღდელს აუკიდნი სახლ ჳელმწიფე-დედუფლიანა, იმათ შულებიანა, ნაზირ-ვეზირებიანა, მოჯამაგირე-სავაზიროებიანა და გასდგომი გზას (109, გვ. 140).

იშვიათად დასტურდება -ად ფორმანტიც: საყდომად უგევენ ყი-ჟიმს (107, გვ. 350).

-ად ალომორფი თითქმის ყოველთვის გვაქვს -იან სუფიქსიან სახელებში: იმ საყდრი დორთუან სამდეფა ტრიალოვდიოყ ყოჩიანად, ბავშვიანად (კახ.).

-**ც** ნაწილაკის წინ ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გვაქვს -ადა ფორმანტი: ჰე გაღად კაცადაც ვერ ივარგევს. ჰე ღამ ქუადაც (||ქუვა-დაც) გმაადგომელი.

-**ც** ნაწილაკის წინ პოზიციაში თანხმოვანფუძიანებთან -ადა (კაც-ადა-ც), ხოლო ხმოვანფუძიანებთან -და (ხე-და-ც) ფორმებში -ა ელემენტი ბრუნვის ნიშნის შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული (იხ. 93, გვ. 19).

ბ) ხმოვნის მომდევნო პოზიციაში იშვიათად გვაქვს -დ(||-თ): წა-უდნენ სანადიროდ (|| სანადიროთ) (107, გვ. 350).

-ობა || -ოვა სუფიქსიან მიზნის გამომხატველ სახელებთან და-
მოწმებულია -(ა)ნ: ყურდღლოვან || ყურდღლობან || ყურდღლუნ, მა-
ჰაკლოვან || მაჰაკლობან || მაჰაკლუნ... (107, გვ. 350; 18, გვ. 91-
92).

მაგ.: მომ, ნადიროვან წაუდეთავ (73, გვ. 250). იმაშინსუკან
ვდგეოდით, მივდიოდით მაჰაკლუნ.

იშვიათად ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ვითარებითის -დ-ს ნა-
ცვლად გვაქვს -მ: გონები მასხარამ მიგდევსავ (18, გვ. 90). მესამედ
მოსლაში „მესამედ მოსვლისას“...

მაშასადამე, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებად ინგი-
ლოურში წარმოდგენილია: -ა, -ად, -ადა-და, დ (||-თ), -(ა)ნ და მ.

§25. წოდებითი ბრუნვა. წოდებითის ბრუნვის ფორმად მიჩნე-
ვასთან დაკავშირებით, როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში ცნობილია, აზრთა განსაკუთრებული სხვადასხვაობაა.

არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება.

1. წოდებითის ფორმა ქართულში ბრუნვა არ არის! (იხ. 95, გვ.
261-268; 16, გვ. 42-44);

2. წოდებითი ბრუნვის ფორმა (80, გვ. 466).

სპეციალურ ლიტერატურაში წოდებითი ბრუნვის შესახებ არაერ-
თგზის აღნიშნულა (თ. უთურგაიძე, ა. ონიანი).

ა. ონიანი იზიარებს აკ. შანიძის აზრს. ავტორი აკეთებს სათანა-
დო დასკვნას: „წოდებითის ნიშანი ბრუნვის ნიშანია, ამ ნიშნით
წარმოქმნილი ფორმა კი — ბრუნების პარადიგმის ერთ-ერთი ჩვეუ-
ლებრივი წევრი. მორფოლოგიაში სხვაგან მისი ადგილი არ მოიპოვე-
ბა“ (46, გვ. 61).

თ. უთურგაიძეს წოდებითის შეტანა ბრუნების სისტემაში გამარ-
თლებულად მიაჩნია ფლექსიურ ცვლილებათა მიხედვით როგორც
მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში; მაგ.: კაცი — კაცო, კაცები —
კაცებო, კაცნი — კაცნო... სადაც -ი და -ო სუფიქსები უპირისპირდე-
ბიან როგორც ბრუნვათა გამომხატველი აფიქსები (63, გვ. 24).

ინგილოურ კილოში წოდებითი ბრუნვის შესახებ ნ. როსტიაშვი-
ლი აღნიშნავს: „ინგილოურ დიალექტში წოდებითი ბრუნვა თითქოს
ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული და სახელს უძღვის ან მოსდევს მი-

მართვის ხმოვანი: ოო დედაც || ოო დეკაც || დეკაცო ← დედაკო;
ოო დედა — დედა, ოა დედა || ო დედა || დედა“ (51, გვ. 285).

ინგილოური მასალის მიხედვით ხმოვანფუძიანი სახელის მომდევ-
ნოდ გვაქვს -ვ ალომორფი ო-ს ნაცვლად (-V-V): ამან დედავ, ჟან მა-
მავ, ნუ მტრპავ! აა გადავ (=ბიჰო), მოა ექ!

ანალოგიური მოვლენით ხასიათდება კახური დიალექტი: ივანევ,
გიორგივ, მამავ... სამხრულ-დასავლურ დიალექტებში გვაქვს ვ (← ო):
გოგოვ, ძამიავ (გურული), ჰიანჰველავ (მესხ.-ჯავახ.)... (66, გვ. 45).
ხშირ შემთხვევაში სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: ერ ცხენ
მეც მამ, მამა! ოა დედა, მოა შინ წოვდეთ!

თანხმოვანფუძიანი სახელის მომდევნოდ გვხვდება -ო.

მაგალიტები თანხმოვანფუძიანი სახელებისათვის: ქალევო, სამ
ზმად მასლენნი, მეემზადით! ამან, ბებერო, ჟან, ბებერო! ჩემ კულ
მამ! აა კაცო, მჰშრლ (|| მჰშრლე!) დედაკაცო, მაატან პურ, ჰომოთ!
ამან, ქალო, ჟან, ქალო, ჩონსა მოხჰდე! მოა, ყონალო (=სტუმარო),
გადავხტეთ! ზურნი შიპროვად ჰათაარ იქნევა, ოლულ?!
იშვითად წოდებითში დასმული სახელი შედის სინტაქსურ კავ-
შირში სხვა (მეორე) სახელთან: რეტიაძო, ჟინიანო, ბაჰლულო! უჰ-
კუო, რეტიანო (|| რეტიაძო). ბაჰლულო! ბაჰლულო ბეგო, უფროსო!
ჩემო საყუარელო შჰლო!

ინგილოურ კილოში შეთანხმება ხშირად ირღვევა. მსაზღვრელი
შეიძლება მოგვევლინოს სახელობითის ფორმანტი: ბაჰლული ბეგო,
უფროსო! შე მამაზალო ცხენო ვერ მცნობა?! (25. გვ. 179-190).

წოდებითი ბრუნვის გამოყოფის ერთ-ერთ არგუმენტად აკ. შანი-
ძეს მიაჩნია შეთანხმება: „... შეთანხმებაც ხომ ერთ-ერთთი სახეა სინ-
ტაქსური კავშირისა!“ (80, გვ. 467).

ინგილოურ კილოში სწორედ ეს შეთანხმებაა დარღვეული. ამი-
ტომ, ჩვენი აზრით, გასაზიარებელია ვ. თოფურიას და არნ. ჩიქობა-
ვას დებულებები წოდებითი ფორმის ბრუნების პარადიგმიდან
ამოღების სასარგებლოდ:

1) „წოდებითი არასოდეს არ აღნიშნავს დამოკიდებულებას
ზმნასთან“ (95, გვ. 261-268); 2) წოდებითის ფორმა წინადადების
წევრებთან სინტაქსური კავშირის უქონლობით ხასიათდება“ (16, გვ.
46).

§26. სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება.

ინგილოუში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ჩვეულებრივ გამოყენებულია: ალიაბათურ კილოკავში -**ებ**, ხოლო კაკურ კილოკავში — -**ევ** ფორმანტი. -**ევ** ფორმანტი გამოვლინდება მესხურ-ჯავახურშიც (ქვევი, კაცევი, მუხევი...) (იხ. 5, გვ. 81; 38, გვ. 54). -**ევ** ფორმანტი დადასტურებულია გურულ დიალექტშიც (სოფ. აკეთში „კალოევი, კამბეშევი“ (66, გვ. 133).

-**ებ** || -**ევ**-ის პარალელურად ინგილოურში მრავლობით რიცხვს აწარმოებს -**ნ**, -**თ** ფორმანტებიც. -**ნ** და -**თ** ფორმანტები გამოიყენება უმთავრესად რიცხვით სახელებთან, ნაცვალსახელებთან, რთულ შემასმენელთან და ნათესაობის გამომხატველ ზოგად და საკუთარ სახელებთან. ზოგჯერ -**ნ** ფორმანტი გამოყენებულია კრებით სახელებთანც; მაგ.: რათანი, სამნიმნი ოქსნი, ისინ || ისენ; შოთანთ, მამანთ, თამრონთ; შერნი (← მშიერები არიან), ქესიბნი („ლარიბნი არიან“).

-**ნ**, -**თ** და -**ებ**||-**ევ** ფორმანტებიდან ყველაზე პროდუქტულია -**ევ** || -**ებ**. ეს უკანასკნელი (-**ებ** ფორმანტი) იხმარება ალიაბათურ კილოკავში (დედაკაცები, ბალები) და კახის რაიონის სოფ. ალიბეგლოსა და სოფ. ქოთოქლოს კილო-თქმებში (კბილებ, თოლებ, კამმეჩებ).

-**ევ** ფორმანტი ძირითადად იხმარება კაკურ კილოკავში (ანუ კაკში თავისი უბნებით: კაკისთავი, თიზირი, თოფპალი, ჩეყირალი; სოფლებში: ქეშხუთანში, ყიმურრუში, მეშაბაშში, ალათემურში, ყარამეშაში).

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია მრავლობითის -**ევ** ფორმანტი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში (78, გვ. 763-767).

ინგილოურ კილოში დასტურდება მრავლობითის ორი სუფიქსის გამოყენება:

ა) -**ევ** || -**ებ** გაორკეცებული ფორმები: ქებევ || ქებები; შღრ. ქართლური „კარ-ებ-ებ-ი“ (13, გვ. 140); მერისის ხეობაში: „კარ-ებ-ებ-ი“, „ქ-ებ-ებ-ი“ (66, გვ. 143).

შენიშვნა: „ქებევ“ (კაკ.), ქებები (ალიაბ.); კაკური მაგალითი ცხადყოფს, რომ პირველი -**ებ** (ქებ-) ფუძისეულადაა გაგებული; ხოლო -**ევ** (ქებ-ევ) კი მრავლობითის ფორმანტია, როგორც სხვა შეემთხვევებშიც.

ბ) -ნ || ებ/ევ და -ებ/ევ + ნ-ს ორმაგი მრავლობითის ფორმებიც გვაქვს ინგილოურში; მაგ., -ნ+ებ/ევ: ესენები || ესენნი || ესენევი, ეგენები || ეგენნი || ეგენევი ისინები || ისინნი || ისინევი... შდრ. მესხურ-ჯავახური (ისინები, ესენები, ეგენები...); -ებ/-ევ + ნ: კაცებნია? || კაცენია? ღორებნია? || ღორენია? კაცენი, ღორენი, ჰენგილა(ე)ენი... „ორმაგი მრავლობითი“ დადასტურებულია გურულ დიალექტშიც (მეზობლენები, მაყრანები) (113, გვ. 363).

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაცვალსახელებთან -ნ+ებ (ესენები || ესნები) ფორმებში -ნ მიჩნეულია ფუძისეულად, „კაცებნია?“ „კაცენი“ ფორმებისათვის გრ. იმნაიშვილის აზრით „... ნარის დართვა გამოწვეული უნდა იყოს ფსიქოლოგიური მომენტი...“ (18, გვ. 101).

ამ ფორმებში, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია -ებ-ისა და -ნ(თ)-ს სინტაქსური ძალა. როგორც ცნობილია, მრავლობითობის ნ(თ)-ს გვერდით ძველ ქართულშივე ვლინდება -ებ ფორმანტი; ნ-ს ნაცვლად -ებ-ის გაბატონების შედეგი უნდა იყოს ორმაგი სუფიქსაცია: კაცენი, ჰენგილა(ე)ენი... ისინევი, ეგენევი... ფორმათა წარმოქმნის მიზეზია -ებ||-ევ ფორმანტის მიერ რიცხვში შეთანხმების უუნარობა. მეტყველებაში ახლად დამკვიდრებული -ებ||-ევ ფორმანტიანი ფორმარიცხვში ვერ ითანხმებდა ვერც სახელს და ვერც ზმნას (იხ. 94, გვ. 162-209); რის გამოც ენა დამატებით აჩენს ჯერ კიდევ მოქმედი სისტემის წევრს -ნ(-თ) ნიშანს, რომელიც შემდგომ ან შეერწყა ებ-ს ან შეიძინა ახალი ფუნქცია — გამოხატა ბრუნვა (იხ. 64, გვ. 19). ორმაგი მრავლობითობის ნიშნის გამოყენება განსაკუთრებით შუა საუკუნეების ძეგლებში გვხვდება (118, გვ. 39).

არ არის გამორიცხული, რომ ინგილოურში სწორედ ძველი ვითარება იყოს ასახული.

აქვე გვინდა ერთ გარემოებას გავუსვავთ ხაზი.

ალიაბათურ კილოკავში -ე ბოლოხმოვნისანი სახელები -ებ-იან მრავლობითში ხმოვანს არ მოიკვეცენ, მაგრამ მოსალოდნელი ხმოვანთკომპლექსი -ეე > იე (რეგრესული დისიმილაცია): სამარიები, ხიები, ტყიები, დღიები, ღელიები, მეღუქნიებმა, მეზროხიებმა და სხვ.¹¹

ანალოგიური ფორმები დადასტურებულია გურულში (49, გვ.

¹¹ დასახელებული მაგალითები დამოწმებული აქვს გრ. იმნაიშვილს (18, გვ. 47).

60), აქარულში (44, გვ. 31), მოხეურში $o + e > ee$: „ვბეები“ (75, გვ. 800), მესხურში..

§27. თხრობითი კილო. ინგილოურში თხრობითი კილოს მომავალი დრო იწარმოება სამნაირად: 1) ძველი ქართულისებურად; 2) ახალი ქართულისებურად და 3) მყოფადის მიმღობაზე მეშველი ზმნის დართვით, რომლის მსგავსი არც ძველმა ქართულმა იცის და არც ახალმა და რომელიც საკუთრივ ინგილოურისათვის არის დამახასიათებელი. თხრობით-კილოიანი მომავალი დროის ამგვარი წარმოება სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია (74, გვ. 249; 26, გვ. 157-162; 114, გვ. 71).

1. თხრობით-კილოიანი მომავალი დროის გამოსახატავად ძველი ქართული ჩვეულებრივ კავშირებითის ფორმებს იყენებდა. „დავწერო“ შეიძლება თხრობითი კილოს ფორმადაც გავიგოთ (|| მყოფადი) და || კავშირებითის ფორმადაც“ (76, გვ. 67).

ხოლო ინგილოურში მხოლოდ || კავშირებითის ფორმებია გამოყენებული (74, გვ. 247).

მაგალითები ინგილოურიდან:

რაღც გინ, აგისრულო, ერჟე გამიშ! (74, გვ. 251); მე ახლა ერ სხო დეკაცი ვითხოვნო (74, გვ. 251); წაჟდე, დომეალო, მოჰკლო (74, გვ. 251); „... ეხლა რა ვიყიდო? რა გაჟყიდო?“ (18, გვ. 202).

2. რომელთა წარმოება სრულიად ემთხვევა სალიტერატურო ქართულს (პრევერბის დართვით); მაგ.:

ტყეში წავალ, ჯნადირევ (74, გვ. 252); დღეს კადგორა დოფინევ თუ გაცოცხლდებ, დოჟქერ, პატრონს მიჰცეგმ (18, გვ. 179).

3. მეშველ-ზმნიანი წარმოება. თხრობითი კილოს მომავალი დროის მეშველ-ზმნიან წარმოებასთან დაკავშირებით ინგილოური კილოს მკვლევრები მიუთითებენ:

1. რ. ლამბაშიძე: „მეშველ-ზმნიანი, რომლის მსგავსი არც ძველმა ქართულმა იცის და არც ახალქართულმა და რომელიც საკუთრივ ინგილოურისათვისაა დამახასიათებელი“ (74, გვ. 249). მაგ.:

| | |
|------------------|-----------------------|
| აზერბაიჯანული | ინგილოური |
| მხ. რ. язаниг-ам | დასაწერი ვარ (დავწერ) |
| „ -რამ | დასაწერი ხარ |

| | |
|------------------|---------------------------------|
| „ -(дыр) | დასაწერია |
| მრ. რ. язанар-არ | დასაწერი ვართ |
| „ -рыныз | დასაწერი ხართ |
| „ -лар | დასაწერელი არიან (74, გვ. 265). |

2. გრ. იმნაიშვილის აზრით, ინგილოურში თხრობითი კილოს მყოფადის ერთ-ერთი სახეობა იწარმოება მყოფადის მიმღეობაზე მეშველი ზმნის დართვით (დააქერევარ, დააქერეხარ, დააქერელი¹)... თითქოს თხრობითი კილოს მომავალი დროის წარმოების სტრუქტურა მთლიანად ემთხვეოდეს აზერბაიჯანულს, სადაც ყველა ტიპის ზმნას მეშველი ზმნა ერთვის (26, გვ. 161; 18, გვ. 118).

ორივე ავტორის აზრს სამართლიანად მიიჩნევს ვ. ჯანგიძე და აღნიშნავს, რომ მეშველ-ზმნიანი ფორმები აიხსნება აზერბაიჯანული ენის ზეგავლენით და მოჰყავს მაგალითები:

| | |
|--------------------|------------------------|
| მხ. რ. 1. მასლრვარ | მრ. რ. 1. მასლრვართ |
| 2. მასლრხარ | 2. მასლრხართ |
| 3. მასლრლი | 3. მასლრლნი მასლრლნი |

(114, გვ. 83).

იგი ასევე აღნიშნავს, რომ მყოფადის ხოლმეობითი (მისი ტერმინით: Многократный) კალკირებულია აზერბაიჯანულიდან.

ავტორს დასახელებული აქვს მაგალითები: მასლრლრყავ, წასლრლრყავ, საყიდნელრყავ, სამუშავენელიყავ... (114, გვ. 83).

სამივე მკვლევართან გატარებულია აზრი, რომ თხრობითი კილოს მომავლიანი დროის მეშველ-ზმნიანი წარმოება აზერბაიჯანული ენის ზეგავლენით არის განპირობებული.

ინგილოურ კილოში¹² (კაკურ კილოკავში) მეშველი ზმნა (ვარ, ვართ; ხარ, ხართ) გამოიყენება ყველა ტიპის ზმნაში.

¹² ინგილოური კილოს ალიაბათურ კილოკავში (სოფ. ალიაბათი, მოსული, ითითალა) თხრობითი კილოს მომავალი დროის წარმოება უმეშველზმონადა წარმოდგენილი. ჩვენს მიერ ჩაწერილ და ადრე გამოცემულ ტექსტებში (ვგულისხმობ გრ. იმნაიშვილის ტექსტებს) გვხვდება ასეთი ფორმები: მოგცემ, დავეერთ, დააჩრვ. წახოლ, მოგიხარშავ, გაკმებ, წავალ, შევკამ, დაგაპარბებ... (18, გვ. 179-208). იმავე ალიაბათურ კილოკავში „ვიცი“ ზმნასთან გვაქვს ძველი წარმოება (უმეშველზმნოდ): მაგ., იმ ბებერს უთქომ: „იმ ფერიყალას იცია?“ იმას უთქომ: „ვიცი“ (18, გვ. 194). შდრ. კაკური: ვიცი > უც > უცუვარ.

ა) მოქმედებითი გვარის ზმნების აწმყოს ორსავე რიცხვის¹³ პირველსა და მეორე პირში: მე წორავ-ვარ, შენ წერავ-ხარ; მე ხატავ-ვარ, შენ ხატავ-ხარ, მე თმაშოვ-ვარ, შენ თმაშოვ-ხარ...

ბ) დინამიკური ვნებითის აწმყოს ორსავე რიცხვის პირველსა და მეორე პირში: მე ბრბდრვი-ვარ, შენ იმალევი-ხარ...

გ) მედიოაქტივი ზმნების აწმყოს ორსავე რიცხვის პირველსა და მეორე პირში: მე დულ-ვარ, შენ დულ-ხარ; მე ტურ-ვარ, შენ ტირი-ხარ, (შდრ. ჭავახ. ტირიხარ), მე გორავარ, შენ გორავ-ხარ (შდრ. გურული გორავხარ). მე უცტ-ვარ, შენ იცი-ხარ, მე ყარავლოვ-ვარ, შენ ყარავლო-ხარ...

დ) მედიოპასივი და სტატიკური გვარის ზმნებს ახალი ქართული-სებრი წარმოება აქვთ, პირველსა და მეორე პირს მეშველი ზმნა ერთვის (ფონეტიკურად სახეცვლილია): მე წევ-ვარ, შენ წევ-ხარ, მე (ვ)უნდი-ვარ, შენ უნდი-ხარ¹⁴... | თურმ.: მე დაწოლილ-ვარ, შენ დაწოლილ-ხარ, ის დაწოლილ.

სტატიკური: მე წორი-ვარ, შენ წერი-ხარ ის წერ:

შენიშვნა: „წერი(ა)“ ზმნის ფორმის მე-3 პირში მოკვეცილია მეშველი ზმნა (ფონეტიკურად გამარტივებული ელემენტი -ა). შდრ. (ს) ცოდნი:¹⁵ „ემ ფაჰას სკოდნი (=სკოდნია) საკნეტნი წერად“, ხოლო შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ბოლო მარცვალს მოუდის დინამიკური მახვილი (108, გვ. 19).

ანალოგიური ვითარებაა ფშაურში: უწყინარ (=უწყინარი), წელებ (=წაელებია)... (99, გვ. 19-20).

თხრობითი კილოს მომავლიანი ღროის მეშველ-ზმნიან ფორმებთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს ვ. ჭანგიძე: „...анализируемый вид образования форм будущего времени продукт II синхронного среза, не встречающийся в записях М. Джанашвили“ (114, გვ. 83).

¹³ საილუსტრაციო მასალას მოვიყვანთ მხოლოდ მხოლ. რიცხვში. მრავლობითი რიცხვი ჩვეულებრივ თ ფორმანტის დართვით იწარმოება: ხატავვართ — ხატავხართ, უმაღევივართ — უმაღევიუვართ — იმაღევიხართ...

ინგილოურში „მიყვარს“ ზმნა იშვიათია. სამაგიეროდ იხმარება „მინდ“ მე მინდ, შენ გინდ, იმა უნდ.

¹⁵ ინგილოურში „სკოდნი“ ზმნას დაკარგული აქვს მორფოლოგიური ელემენტი ს. უნდა იყოს: ცოდნი. შდრ. წავლოვს, ზოვს, ზინავ, თრ] ვ (იხ. ზემოთ, გვ. 50).

ჩვენ შევისწავლეთ მ. ჯანაშვილის ტექსტები და გამოჩნდა, რომ თხრობითი კილოს მომავალი დროის წარმოება ხდება პრევერბის დართვით: გადმოკვათავ, გავაკეთებ, გოვხეთქავ, დავბრუნდებ, დავაქანებ, შეგინახავ, გოვაკეთებ, ომშენებ (← ავიშენებ), მოგათხუებ, წავალ, გოფხდებოლი (← გავიზრდებოლი)...

ანალოგიური მაგალითები დასტურდება გრ. იმნაიშვილთან: დავადენავ, დავაგდებ, გავაკეთებ, მიჰცემ, წავალ და სხვა მრავალი.

კაკურ კილოკავში გვხვდება მეშველ-ზმნიანი ფორმების გამოყენების რამდენიმე შემთხვევა. ერთმანეთის პარალელურად იხმარება: წაასლრვარ — წავალ, მააკლრვარ — მოვკლავ || მოფკლავ, მაასლრვარ — მოვალ, მააცემუარ — მოვცემ, სამღერევარ — ვიმღერებ → უმღორრვარ (შდრ. აწმყ. ლეროვვარ || ღორივარ), დააჩომეხარ — დოვჩრვ (შდრ. აწმყ. მე ვჩები → ჩები → ჩვრვ → ჩრვ → რვი-ვარ, შენ ჩევიხარ)...

აღნიშნული პარალელური ფორმები ძირითადად გვხვდება კახის რაიონის ინგილოური სოფლების (ქოთოქლოს, ალიბეგლოს...) მეტყველებაში.

იმ სოფლებში (ზაგამი, ჰენგიანი / ძენგიანი), სადაც აღნიშნული მეშველ-ზმნიანი ფორმები (მააკლრვარ, მაასლრვარ, სამღერებელვარ) დადასტურებულია ადრე გამოცემულ ტექსტებში, სამწუხაროდ ინგილოურად (ქართულად) აღარ მეტყველებენ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამ განაპირობა მეშველ-ზმნიანი წარმოება ინგილოურში?

საანალიზო მასალა გვავარაუდებინებს, რომ მეშველ-ზმნიან ფორმათა გაჩენას ხელი შეუწყო ფონეტიკურმა პროცესებმა, პირის ნიშანთა დაკარგვამ. პირის ნიშანთა დაკარგვის შემდეგ მოხდა ფორმათა აღრევა, რომლის დასაძლევადაც საჭირო გახდა პირთა განსასხვავებლად მეშველი ზმნის დართვა ყველა ტიპის ზმნისათვის, რათა ენას თავიდან აეცილებინა მორფოლოგიური ომონიმია.

მაგ., I პირი: მე ხატავ-ვარ, წორავ-ვარ, თმაშოვ-ვარ, უცინი-ვარ, უთბოფ-ვარ, ტურნი-ვარ, მაასლრვარ, ბორდრვი-ვარ, ჩრვი-ვარ, გორავ-ვარ, დულ-ვარ, წავლო-ვარ... (ყველგან დაკარგულია S₁-ის ნიშანი ვ); შდრ. II პირი: შენ ხატავ-ხარ, წერავ-ხარ, თმაშოვ-ხარ, იცინი-ხარ, უთ-

ბოვ-ხარ, ტირი-ხარ, მასლო-ხარ, ბერდევინ-ხარ, ჩევი-ხარ, გორავ-ხარ, დულ-ხარ, წავლოვ-ხარ...

ინგილოურში თავკიდურ პოზიციაში S_1 და S_2 პირის ნიშნები უმეტეს შემთხვევაში განწირულია: ვ+ი→უ, ვ+ა→ო, ვ+ე→რ, ვო→ო: ვუ→უ; მაშინაც, როცა იგი თანხმონითაა დაშორებული: ვჩეჩავ → ჩჩჩავ → ჩჩჩავ-ვარ, ვგრეხ → გრრხავვარ, ვწლი → წლლ-ვარ... მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა S_1 პირის ნიშანი ვ შენარჩუნებულია, მეშველი ზმნა არ ჩანს (ვამბოვ).

რაც შეეხება ზმნისწინიან ფორმებს, აქ პირის ნიშნები შენარჩუნებულია (იხ. ზემოთ, გვ. 111).

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მ. ჯანაშვილის ტექსტებიც. იქ, სადაც დაკარგულია S_1 და S_2 პირის ნიშნები, ჩნდება მეშველი ზმნა: კომ-ვარ, ტყუვ-ხარ... ხოლო იქ, სადაც პირის ნიშნები წარმოდგენილია, მეშველი ზმნა არ ჩანს: ვამბობ, ვცხოვრობ, დავაქანებ, ვისაქმებ, დავწ, დავჩ, გოვაკეთებ, ვკითხულობ; შდრ. კვითხულობ (109).

ამ მოვლენის არსებობაზე ან მის სასარგებლოდ მიუთითებს გრ. იმნაიშვილის სამართლიანი შენიშვნა: „მხოლოდ დი-ს ზმნა ინარჩუნებს კაქურში ძველ სახეს, თუმცა არა ყოველთვის. მას ხშირად არ დაერთვის მეშველი ზმნა; მაგ.: სა მიიდი? თავქო მივდ (||მივდ || მიტდ ||მტვდ). მეც ეხლა კარში გატდი და სხვ. (18, გვ. 117). ასევე „ვალს“ ზმნა: მივ||მიტ, მოვ||მოტ (18, გვ. 125).

მეშველი ზმნა სწორედ იმიტომ არ დაერთვის მივდ — მიიდ, მოვდ — მოოდ ფორმებს, რომ აქ S_1 და S_2 პირები ისედაც გარჩეულია.

მეშველ-ზმნიან ფორმებზე საგულისხმო გამოკვლევა აქვს ლ. ბარამიძეს, სადაც ავტორი დასკვნის სახით აღნიშნავს: „მეშველ-ზმნიანი ფორმათა გაჩენა პირის გამოხატვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამიტომ უნდა გვქონდეს პირთა მიხედვით გარჩევა მეშველი ზმნის დართვით“ (6, გვ. 143).

იქვე: „მეშველ-ზმნიანი ფორმები თავდაპირველად გარდამავალი ზმნის I თურმეობითში ჩნდება. მისი დანიშნულებაა დააზუსტოს რომელობა პირისა“ (6, გვ. 144).

ავტორს მეშველ-ზმნიანი ფორმები ჩანასახის სახით დადასტურებული აქვს საშუალო ქართულის ლიტერატურულ ძეგლებში: ბალავარიანი, ოშკის ბიბლია, ქართველის ცხოვრება (6, გვ. 114).

ინგილოურში, ჩვენი აზრით, ამგვარი ფორმების გაჩენის საფუძველი შესაძლებელია თვით დიალექტის შინაგანი პოტენციით იყოს შეპირობებული: მააკლრვარ, მაასლრვარ, დააწერევარ..., რადგან მყოფადის მიმდგომა უპირო ფორმაა, იგი საჭიროებს მეშველ ზმნას პირთა განსასხვავებლად. მაგრამ, რა თქმა უნდა, ინგილოურში მეშველ-ზმნიან ფორმათა წარმოშობის მიზეზების რკვევისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ უცხო ენის (აზერბაიჯანულის) მონაცემები.

§28. თემის ნიშნები

წინასწარ გვინდა შევნიშნოთ, რომ ინგილოურ კილოში იშვიათია შემთხვევა, როცა პირველი და მეორე სერიის ფორმები ერთსა და იმავე ბაზისს ეყრდნობა.

საგულისხმოა, რომ ზმნის მარტივ ფუძეთა თემის ნიშნით გართულება დიალექტთა უმრავლესობაში შეინიშნება (ხევსურულში (104, გვ. 120), ფერეიდნურულში (97, გვ. 37). ეს პროცესი გარკვეულწილად სალიტერატურო ენაშიც აისახება. აკ. შანიძე აღნიშნავს: „ერთ-თემიან ზმნათა უმეტესობას დაერთო ავ და ისინი ორ-თემიანებში გადაირიცხნენ: ვბერტყავ, ვთელავ, ვკეცავ... ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან რამდენიმემ დაირთო თემის ნიშანი ავ II სერიის თემაზე, ინიანზე, იშვიათად კი I სერიისაზე, ენიანზე. ამის გამო მივიღეთ პარალელური ფორმები. ავიანი ფორმები უმეტესად ინით გვხვდება: ვგრიხავ, ველიტავ... ამ შემთხვევაში გარჩევას თემებს შორის მარტო თემის ნიშანი ქმნის, მაშინ როდესაც თუ ეს ავ ენიან თემაზეა დართული, ხმოვანმონაცვლეობა ძალაში რჩება. შდრ. ვკრექავ — ვკრიქავ“ (82, გვ. 418).

ინგილოურში ზმნის ფუძეთა გართულება ხდება თემის ნიშნითა და მეშველი ზმნით (მეშველ-ზმნიანი ფორმებისათვის იხ. ზემოთ), რაც სხვა დიალექტებთან შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს.

ჩვეულებრივ -ავ სუფიქსი ერთვის ერთთემიან ზმნებს: ვწერ — წორ-ავ-ვარ, ვჩეჩ — ჩორ-ავ-ვარ, მივიტან — მოიტან-ავ-ვარ... -ავ არ დაერთვის ერთთემიან -ოვ დაბოლოებიან ზმნებს. მაშასადამე, არ

გვექნება: ვძოვ — *ზოვ-ავ-ვარ, ვქსოვ — *ქსოვ-ავ-ვარ, ვსწოვ — *ზოვ-ავ-ვარ...

თითო-ოროლა შემთხვევა დასტურდება სხვა თემის ნიშნიან ზმნებთანაც, კერძოდ, -ი თემის ნიშნიანებთან: ვჩიჩქნი — ჩუჩქნავ-ვარ, ვწიწქნი — წუწქნავ-ვარ... -ამ თემის-ნიშნიანი: ვაბ-ამ — ომბ-ავ-ვარ; -ოფ თემისნიშნიანი: ვყოფ — ყოფ-ავ-ვარ; -ებ თემის ნიშნიანი: ვაქებ — ოქებ-ევ-ვარ. ამ უკანასკნელში -ებ თემის ნიშანი გაიგივებულია ფუძესთან, რომელიც აღარ იშლება და უცვლელად იხმარება სამსავე სერიაში (ოქებ-ევ-ვარ „ვაქებ“ — ღუაქებ „ვაქე“ — დამიქებ-ევ-ი „მიქია“. შდრ. გაორკეცებული ფორმები ქებ-ებ/ევ (იხ. ზემოთ, გვ. 106).

საინტერესოა, რომ ინგილოურში -ავ სუფიქსი ერთვის მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყო-მყოფადის ფორმებს: წორ-ავ-ვარ — დოპწორ-ავ, დრრკავვარ || დრუქავ-ვარ — მოვდრრკავ || მოვდრუქავ.

ანალოგიური ვითარებაა ფერეიდნულში (დააწერავს, შაშქამს, გააკეთებავს, დააწყობავს, მისცემავს) (97, გვ. 37).

აღნიშნულ აწმყო-მყოფადის ფორმებს, რომლებსაც ერთვის -ავ სუფიქსი, იგი მეორე სერიაში არ გადაპყვება; მაგ.: აწმყო: წორ-ავ-ვარ, ჩრჩ-ავ-ვარ, ყოფ-ავ-ვარ; შდრ. წყვეტ.: დოპწერ, დოპჩერ, ჩოპყოფ...

ანალოგიური ვითარებაა ხმოვანმონაცვლე ზმნებში. ისინი თავის-თავად ორთემიანები არიან, რადგან მათ სხვადასხვა თემა აქვთ I-სა და II სერიაში: ერთ მათგანს სხვა თემა ხმოვნის შენაცვლებით აქვს ნაწარმოები (გრეხ-გრიხ) (82, გვ. 398).

ინგილოურში თითქმის ყველა ხმოვანმონაცვლე ზმნას ერთვის სუფიქსი ავ+ვარ (პირველ პირში), -ავ+ხარ (მეორე პირში). ეს ეხება როგორც ე/ი მონაცვლე ზმნებს, ასევე -ეტ-იან და -ენ-იან ზმნებს: გრრხავვარ || გრუხავვარ, კრუჭავვარ || კრუჭავვარ, სხრპავვარ; ფშნრტავვარ, ჯრრტავვარ; კმრნავვარ, (ვ)უსმენავვარ...

ასევეა: ზილავს, კნუტავს (← კენიტავს ← კენეტავს), ჰრუტავს (← ჰვრიტავს ← ჰვრეტავს), ჰლიჩავს... იზილევ, იკრიქევ...

არცერთ ამ ზმნას თემის ნიშანი მეორე სერიაში არ გადაპყვება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: ინგილოური კილოს კაკურ კილოკავში ერთთემიანი ზმნები თითქმის

ადარ გვხვდება. ყველა ერთთემიან, მოქმედებითი გვარის აწმყო-
მყოფადის ფორმას დაერთო -ავ სუფიქსი და ისინი ორთემიანებში
გადაირიცხნენ.

ზმნის ფუძის თემის ნიშნით გართულება (დართვა) უნიფიკაციით
აიხსნება ისევე, როგორც ფერეიდნულში (97, გვ. 37).

ხევსურულში -ავ ორმაგი სუფიქსაციის შემთხვევაში მორფოლო-
გიური ფუნქციით არის დატვირთული. აქ -ავ-ი ყველა სუბიექტური
წყობის ზმნებთან | თურმეობითს აწარმოებს (იხ. 104, გვ. 120).

ქართული დიალექტების ზმნის თემის თვალსაზრისით განხილვა
გვიჩვენებს, რომ თემას გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს, რაც,
უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ: თემის ნიშნები მო-
ნაცვლებენ; ან თემის ნიშანი იხმარება იქ, სადაც მოსალოდნელი არ
იყო, ან დაკარგულია მთლიანად, ან დაკარგულია მისი ერთ-ერთი
ელემენტი. გამონაკლისს არც ინგილოური წარმოადგენს, მასში ეს
მოვლენები თვალშისაცემია და ამ მხრივ განსხვავებულ სურათს გვიჩ-
ვენებენ კილოკავები: კაკური და ალიაბათური (ამ მხრივ სოფ. ალი-
ბეგლოს მეტყველება უფრო ახლოს დგას ალიაბათურთან).

1. -ავ თემის ნიშანი ინგილოურში (კაკურ და ალიაბათურ კილო-
კავებში) ცვლილებას არ განიცდის, ისეა წარმოდგენილი, როგორც
სალიტერატურო ქართულში. (აქ არ დასტურდება ზოგი სხვა დია-
ლექტისთვის დამახასიათებელი -ავ/-ამ მონაცვლები).

მაგალითები.

კამ მეცომემ თორნეში ჩანავარდნ ცომ^ს (|| კუნტას)
ნაღრღლიზედადით ააქს, ჰწმენდავს, ნაცარს ჰბლერტავს (52, გვ.
101).

ჰაჩიჩა მარტო ღარავს მიწას, გუთანნი კი აბრუნევა (52, გვ.
107).

ინგილოურისგან განსხვავებით, როგორც ცნობილია, კახურ დია-
ლექტში -ავ თემის ნიშანს ენაცვლება -ამ (უფრო სწორად -ვ თემა-
ტური სუფიქსი შეცვლილია -მ-დ). ეს მონაცვლება ეხება იმ ზმნებ-
საც, რომელთაც ფუძის საწარმოებლად ან არ გააჩნიათ -ავ თემის ნი-
შანი, ანდა ფუძედრეკადნი არიან: ძინამს, წაიკითხამს, ხედამენ, მოუ-
პარამ, ხურამ, უჭირამ, გძინამთ, შამხედამ, გიჭერამთო და სხვ. (88,
გვ. 65; 39, §13, §42). ყვარლის მეტყველებაში გვხვდება ორივე ფორ-

მით; მაგ. ხატამს, ხურამს, უჭირამ... ანდა: დედას შაუბამ კამეჩები; მონადირეა უნახავ, უცენია (84, გვ. 101-118).

ინგილოური კილო -ავ თემის ნიშნის გამოყენების შემდეგ თავისებურებებს ავლენს:

ა) ზოგჯერ -ავ თემის ნიშანი გადაჰყვება | თურმეობითში: იმა ჩონ თოთუნი წილ ბითაავ დაჟყოფავ.

ბ) ფუძედრეკად ზმნებსაც დაერთვის -ავ და ფუძისეულ -ეს -ი ენაცვლება (იჭირავს, აფრინავს) (18, გვ. 115). ქენდრითავ ჰევაშ-ჰევაშ იჭირავს.

გ) ავ → ვ გვხვდება მასდარშიც (ფენვა, ყეფვა) (107, გვ. 356). შდრ. კახური: წერვა, გატეხვა, ცქერვა... (39, გვ. 87). ზალღ დაყეფვა-ში გმოა; ქუაღ დაჭირევაში მოა ჩემთან.

დ) -ავ თემის ნიშანი დაერთვის ისტორიულად უთემისნიშნო ზმნებსაც: უსმენავს, „უსმენს“, ფენავს „ფენს“, ბანავს „ბანს“, ფხანავს „ფხანს“, ყეფავს „ყეფს“, წერავს „წერს“, უმზერავს „უმზერს“, წყობავს „წყვეტს“, კრეფავდნენ „კრეფდნენ“, ჰყლეტავდნენ „სჰყლეტდნენ“ და სხვა მრავალი: შენ გადაა წერილევ წერავსა?

ე) გვაქვს -ავ თემის ნიშნის სრული დაკარგვის შემთხვევები, როდესაც ზმნას დაერთვის მე-3 პირის მრავლობითი რიცხვის -ენ || -დნენ მაწარმოებელი; მაგ.: ერთმერთს ვერ ხედენ (18, გვ. 165); ხუთ წელს, ოქს წელს, რომ დანიშნული დარჩებოდა, ერთმერთს ვერ დანახიდნენ (18, გვ. 169); ... ყიყიმი შალზე ჰყრიან ხორბალს (|| ხორბალ) პურ, გაპცხილენ, იმაშინ უკან (|| მემრალან) ტაბკით ჰბლერტენ (52, გვ. 100); დულღენ ერჟა (|| მარტო) ჰად (52, გვ. 102).

ინგილოურში ზოგიერთი ისეთი ფორმის არსებობა, როგორცაა „კლონ“, „ჰოცონ“ გვაპარაუდებინებს, რომ თემის ნიშნის სრულ დაკარგვას ხელი შეუწყო თემის ნიშნისეული ვ-სა და მრავლ. რიცხვის ე-ს (ენ) შეხვედრამ: კლონ ← კლვენ ← კლავენ, ჰოცონ ← ჰოცვენ < ჰოცავენ..., მაგრამ ისეთი ფორმების არსებობა, როგორცაა „ხედენ“, „ხარმენ“ მიუთითებს, რომ ვ+ე → ო პროცესი ჯერ არაა დამთავრებული.

2. -ებ თემის ნიშანს კაკურ კილოკავში ენაცვლება -ევ; ხოლო ალიაბათურსა და ალიბეგლოურში უპირატესად წარმოდგენილია -ებ.

შენიშვნა: იშვიათად ალიაბათურ კილოკავში თანხმოვნის წინა პოზიციაში გვხვდება -ევ: პატრონ-ევ-ს „პატრონებს“... (107, გვ. 347).

მაგალითები: სახლი პატრონ აკეთებს ხორაგს (18, გვ. 172); დანავად პურ ჰფენ, ჰშლიან, აციევენ, ალაგევენ ვარცლში; პურ დაკრაში ზოგ ცომი მიდის: იბებრევნის' (= იბერევნის' || თორბავდევნის'), თორნეში ვარდევ რის', კუნტაჲ კეპტევნის', თორნეზე დანარჩომ კი ფაფხაჰელაჲ (|| ფაფჩხელაჲ) კეპტევის (52, გვ. 104).

შდრ. ალიაბათური: პურ დაკრაში ზოგი ცომი მიდის: იბერება, თორნეში ვარდება, კუნტა კეპტება, თორნეზე დანარჩომი კი ფაფხაჰელაჲ კეპტება (52, გვ. 104).

ალიბეგ.: ლამაზა ტურაჲმე მუგუზ ჰკრავს, კუდ იწყუტების (52, გვ. 108).

იმავე ალიბეგლოურ მეტყველებაში, თუ -ებ-ს წინ უძღვის ლაბიალური ვ, მისი გავლენით ხდება თემის ნიშნისეული ე-ს ლაბიალიზება ო-დ: ბებერიც კუდ უკერებს, უშობს (52, გვ. 108).

ხოლო კაკურ კილოკავში აღნიშნულია ფორმა „უშობს“, კაკურში -ობ შეცვლილია -ომ-ით (-ვ+ებ > ობ > ომ): ჳელი უშომს გუდაჲ, მივ (კაკი).

სპეციალურად გვინდა შევეხოთ -ულ სუფიქსიან მიმღეობებში და -ოდ სავრცობიან ზმნებში -ებ || -ევ თემის ნიშნის საკითხს.

საერთო კანონზომიერების დადგენა არ ხერხდება. -ულ სუფიქსიან მიმღეობებსა და -ოდ სავრცობიან ზმნებში -ებ || -ევ თემის ნიშანი სხვადასხვაგვარ სურათს იძლევა. ერთ შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს სრული ფორმით: თუ კაცს ყმაწულ არ დარჩევოდა ბევრ დეეპოცევოდა ღმერთს დაჰპირდევოდა... (18, გვ. 169); „ცომ მაგრა ამჟიეველ, დაკრაჲ არ კეპტევის, მიდის“, — ამბუნყ (52, გვ. 102);

მეორე შემთხვევაში -ულ სუფიქსიან მიმღეობებსა და -ოდ სავრცობიან ზმნებში დაკარგულია -ბ||-ვ: თორნი თავზე მეშუჲ დაკიდულ; ნაზუჲქი ცომში ერ გუნდა აფუროლ ხაშ რევენ, მაგრა ზელენ (52, გვ. 106); აბდულს ჩააზინეოდა (72, გვ. 126); იმათ წაკიდნაში (|| წაკიდნევაში) მე შუაში ჩაუდგეოდიჲ (|| ჩავდგეოდიჲ).

ზოგჯერ შეიძლება წავაწყდეთ -ებ || -ევ თემის ნიშნის სრულ დაკარგულ ფორმებსაც -ულ სუფიქსიან მიმღეობებში: ჩულ ცომი პუ-

რიც ლიყიწ დატყირბულ რაამ კეპტევის. წყალ ადუღულა?

ანალოგიური მოვლენები დასტურდება სხვა კილოებშიც; მაგ.: ატენის ხეობის ქართლურში: შეგულული, მოფარული, ადუღული (27, გვ. 167).

გ (← ბ) დაკარგვა -ულ-სა და -ოდ-ის (უფრო სწორად, უ-სა და ო-ს) წინ ძირითადად გვხვდება კაკურ კილოკავში; ხოლო ალიაბათურ კილოკავში და ალიბეგლოს მეტყველებაში შენარჩუნებულია თემისნიშნისეული თანხმოვანი ელემენტი იმიტომ, რომ აღნიშნულ კილოკავში არ ხდება ბ-ს მონაცვლეობა გ-სთან; მაგ.: გაჭურებულ (||ცხელ) თონეში პურ არ აკრენ (ალიაბ.) (52, გვ. 103); ქრწ ხამამა უნდა დაგებულ იყოდეს (ალიბეგ.) (18, გვ. 173); დარჩებოდა ესე ცარიელი (ალიბეგ.) (18, გვ. 195).

ალიაბათურ კილოკავსა და ალიბეგლოს მეტყველებაში -ოდ სავრცობის წინ ვ-ს კარგავენ ის ზმნები, რომელთაც ფუძის ბოლოს გ აქვთ (თავისთავად კაკურიც): კიოდა, ჩხაოდა, ჭყიოდა, ილეოდა, იმტრეოდა... მსგავსად ქართულისა (იხ. 82, გვ. 92). ვ-ს დაკარგვა, რა თქმა უნდა, გამოწვეულია ლაბიალური კომპლექსის მოშლით (ეუ > უ, ვო > ო).

სრული დაკარგვის ფაქტები, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს თანხმოვნის (ლაბიალური ვ-ს) დაკარგვის (დატყირბე(ვ)ულ, ადუღე(ვ)ულ) შემდეგ მიღებული ორი ხმოვნის უშუალო თანმიმდევრობის აკრძალვით (დატყირბულ, ადუღულ), სადაც დაკარგულია თემისნიშნისეული ხმოვანი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგილოურ კილოში ხმოვანთა უშუალო თანმიმდევრობა აკრძალულია.

-ობ თემის ნიშანი კაკურ კილოკავში (ალიბეგლოურ თქმაში ორივე ფორმით შეიძლება შეგვხვდეს) წარმოდგენილია -ოგ-ის სახით; ხოლო ალიაბათურში გვაქვს -ობ; მაგ.: ერ თავთავ ამბოვდა „მადრუფ“, ერთ ამბოვდა: „მაშრუფ“, იმათ ყვსმათ ვარავ (ალიბეგ.) (18, გვ. 181); ერ გულგაზ არის; ჰამ ვაშროვ, ვერ ვაშროვ (კაკი) (18, გვ. 164); ამას ჰრეცხენ, აშროვენ (52, გვ. 100); ... წყალ ასხმენ, აქროვენ (52, გვ. 103).

შდრ. ალიაბათური: ამას რეცხენ (|| ჰრეცხენ), აშრობენ (52, გვ. 100); ... წყალ ასხმენ, აქრობენ (52, გვ. 103).

-ობ > -ოვ || -ომ: არის შემთხვევები როდესაც -ობ > -ოვ-ს ენაც-

ვლება -**ომ** თემის ნიშანი; მაგ.: ქობა პურს შინაც აცხოვდნენ, თორ-
ნი ნაცარში ჰსომდნენ: ოთხ-ხუთ გუნდა ცომ ჩაჰსომდნენ ნაცარში...
(52, გვ. 105); მაშხალაჲ წორზე ხახ არჰომენ.

კახურ დიალექტში ხშირია შემთხვევა, როდესაც -**ებ** და -**ომ** თე-
მის ნიშნებს ენაცვლება -**ამ**, -**ემ** და -**ომ**: წავიღემ, ატარემდა, უამბამ,
გააქრომ, აწყომს, მუშაომდა... (39, გვ. 87).

4. -**ამ** თემის ნიშნის თავისებურებას წარმოადგენს: ა) როცა მას
წინ უძღვის ლაბიალური ვ, მისი გავლენით ხდება თემისნიშნისეული
ა-ს ლაბიალიზება -**ა-ღ** (ვ + ამ > ვომ), შემდეგ კი მალაბიალებელი
გ-ს დაკარგვა ლაბიალური ო-ს წინ (-ვომ > ომ): ვოცვამ > ვოცვომ >
ვოცომ || უცომ, ვსვამ > (ვ)სომ... თემის ნიშნისეული ა-ს გალაბიალე-
ბის უნარი აქვს S₁-ის ვ-საც, რომელიც თანხმოვნებით არის დაშორე-
ბული (ვთქამ > *თქვამ > თქომ).

მაგალითები: ჩემ შუღლს ლამაზა (ვ)ოცომ; მესამე დეკაცი კი ქონ
უსომს (||უსოჟს) ცერთმერთზე აწყოვს (52, გვ. 107).

ბ) როცა -**ამ** თემის ნიშანს ინგილოურში დაერთვის აწმყოს მესა-
მე პირის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -**ენ**, -**ამ**-ის ა (მათ
შორის: ო ← ვ + ა) რედუცირებულია: ამბენ (← აბმენ ← აბამენ),
ადგმენ (← ადგამენ), უსმენ (← უსომენ ← *უსვომენ ← უსვამენ) და
სხვ. ანალოგიური მოვლენა დასტურდება სხვა კილოებშიც (მაგ., თუ-
შურში: აბმენ, ადგმენ) (61, გვ. 47).

5. -**ფგ**: ეს თემის ნიშანი ინგილოურში სამსავე სერიაში იხმარე-
ბა:

ჩიტი ბუდეში თით (ვ)ყოფავვარ. ქობში ცხურ ჩაყოფა; ყიბეში
ველ ჩამიყოფი.

-**ფგ** და -**ენ** თემის ნიშნიან ზმნებს || სერიაში ენაცვლება -**ფგ** (უკ-
მინა, დაჟმინა, მაღწივა, არწყივა, უღრინა...):

მ წ კ რ ი ვ თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა

§29. აწმყო. ინგილოურ კილოში აწმყოს არავითარი ნიშანი არ
გააჩნია (ისე როგორც სალიტერატურო ქართულში). მაგრამ სალიტე-
რატურო ქართულისაგან (საერთოდ ქართული ენის სხვა დიალექტე-

ბისაგან) განსხვავდება რიგი თავისებურებებით.

რაში გამოიხატება ეს თავისებურებები? საანალიზოდ ავიღოთ ორი ზმნა „ვეწერ“, „ვთლი“.

1) ინგილოურ კილოში „ვეწერ“ ზმნას აწმყოს დროში თითქმის ყოველთვის დაერთვის მეშველი ზმნა -ვარ; მაგ.: ინგილოურში გვექნება: მე წერილ (ვ)წორ-ავ-ვარ.

„(ვ)წორავვარ“ ფორმის მსგავსად იწარმოება „ვთლი“; მაგალ.: ზროხი ნაბათზე წააღელა საჯრედ (ვ)თლუვარ.

უმლაუტიანი ო და უ მიღებულია კბილბაგისმიერი ვ-ს გავლენით (ვეწერავვარ > წვერავვარ > წორავვარ, ვთლივარ > ვთლუთივარ > თლუვარ), ხოლო II და III პირის ფორმებს (წერავხარ, წერავს, თლიხარ, თლის) არ ახასიათებთ უმლაუტიანი ო და უ ხმოვნები.

2) თავისებურებას წარმოადგენს -ავ თემის ნიშნის დართვა სამსავე პირში როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში: (ვ)წორავვარ, წერავ-ხარ, წერავს; (ვ)წერავხართ, წერავენ (IIწერენ).

„ვთლი“ > თლუვარ“ ფორმას -ავ თემის ნიშანი არ დაერთვის.

3) თანხმოვნების წინ დაკარგულია S₂ პირის ნიშანი -ს (შენ წერავხარ, შენ თლიხარ), რაც გამოწვეულია ს + C₂ კომპლექსის არაბუნებრიობით (იხ. ზემოთ თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზი გვ. 50).

§30. ნამყო უწყვეტელი. მწკრივის საწარმოებლად აღსანიშნავია -ი-დ სუფიქსის დართვა (18, გვ. 116). ანალოგიური წარმოებით ხასიათდებოდა ძველი ქართული (ბრწყინვიდა, ნახვიდა...); მაგ., ვერ დაინახვიდნენ (← დაინახვიდნენ) (18, გვ. 116).

მხოლ. რიცხვის III პირში გვაქვს -ა: ლევდა, ჰამდა, ამბოვდა, იზინევდა... მრავლ. რიცხვი: ლევდნენ, ჰამდნენ, ამბოვდნენ, იზინევდნენ...

ანალოგიური მოვლენით ხასიათდება ქართულ-კახური დიალექტები (აქებდნენ, წერდნენ).

აქვე შევნიშნავთ, რომ უწყვეტელში „წერა“-ს აწმყოდან გადმოყოლილი აქვს -ავ თემის ნიშანი სამსავე პირში: წორავდი, წერავდი, წერავდა; წორავდით, წერავდით, წერავდნენ.

§31. ვნებით გვარის წარმოება აწმყოსში

ინგილოური კილოს კაკური კილოკავის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს აწმყოს მესამე პირში ძველი ქართულისებური წარმოება, როცა ზმნა ერთდროულად ორ ნიშანს შეიცავს — მწკრივისა და S₃ პირისას: იტანევის, განტყდების, ჳდების დაადგრების, მოკუდების, კეთტევის || კეპტევის, ელაპარაკევის და სხვა. (18, გვ. 115), ხოლო ალიაბათური კილოკავი თანამედროვე ქართულის ვითარებას მიჰყვება. აქ მხოლოდითი აწმყოს III პირში ვნებითი გვარის ზმნები მხოლოდ სუბიექტური პირის -ა სუფიქსს დაირთავენ.

კაკური: ექ არ დეეტევის (18, გვ. 177); მე ი კაც მებრალევის || მებრალევის; თაში ნადირ ჰვეაშ-ჰვეაშ ივოცევის; არსენაჲ უნდომურ-უნდომურ დგევის (73, გვ. 251); სარუბულლაჲ ფქჳლი ყჳთოჳლ (|| ყჳთელ) პურ კეპტევის (52, გვ. 99). შდრ.: ალიაბათური: სარუბულლაჲ ფქილი'თ' (|| ფქჳლი'თ') ყითელ (ყითელ || ყჳთელ) პურ კეპტება (52, გვ. 99).

კაკური:

პურ დაკრაში ზოგ ცომ მიდის იბერევ'ის' (|| იბბერევ'ის' || თორბავდევ'ის'), თორნეში ვარდევ'ის', კუნტაჲ კეპტევ'ის', თორნეზე დანარჩომ კი ფაფაჰყელაჲ (|| ფაფაჩხელაჲ) კეპტევ'ის' (52, გვ. 104).

შდრ. ალიაბათური: პურ დაკრაში ზოგი ცომი მიდის: იბერება, თორნეში ვარდება, კუნტა კეპტება... (52, გვ. 105).

შენიშვნა: იმავე კაკურ კილოკავში გვხვდება -ა სუფიქსიანი წარმოებაც: ჟდება || ჟდევა, ღგება || ღგევა, ჩება || ჩევა... ან შეიძლება სულ დაიკარგოს -ა: ჟდევ, ღგევ, ჩევ, კეპტევ, კღრვ...

-ი დაბოლოების შემცველი ფორმები დადასტურებულია სხვა კილოებშიც: მაგ., ფერეიდნულში (გაგრძელებების, ათავებების, შაიქმნების, ემზადების, დეერქმის) (85, გვ. 210), ხევსურულში (მიუღგების, მექირების, მებრალეების) (104, გვ. 149), თუშურში (იქნების, ივოცების, ღგების, ჳდების, წაგიწყულების) (61, გვ. 39).

§32. ნამყო ძირითადი. კაკურ კილოკავში ნამყო ძირითადს I-სა და II პირში ნიშანი არა აქვს, ე. ი. წარმოდგენილია Ø (ნულით): მე შოდნახ, შენ შადნახ, მე წაჳლ (|| წავლ), შენ წაჳლ (წავლ), მე ღავამბ

(||დუამბ), შენ დაამბ, მე ღოვკალ, შენ დაჰკალ, მე მოდლ, შენ მაღლ...

მრავლობითი რიცხვის I-სა და II პირში გვაქვს -ო: ჩონ || ჩონ მოდტანით, თქონ მაღტანით; ჩონ || ჩონ შოდნახით, თქონ შადნახით და სხვ.

კაკური კილოკავისაგან განსხვავებით, ალიაბათურ კილოკავში მხ. რიცხვის I-სა და II პირში ნამყო ძირითადის ნიშნად გვევლინება -ე (მე წვევლე, შენ წოხლე, მე ვიცანე, მე იცანე...) (18, გვ. 118), (107, გვ. 357).

S₃-ის პირის ნიშნად მხოლოდობითში გვაქვს -ა (გააკეთა, წაღლა, მაღწონა, გააგა, გააგდა (|| გააგლო), გამააგდა).

S₃-ის პირის ნიშნად -ა გვაქვს მაშინ, როცა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში თანხვდება ფუძისეული -ვ (|| უ) და S₃-ის ნიშანი ა (ვ||უ+ააო): თქო, ჩაღცო...

მრავლობითი რიცხვის S₃-ის ნიშნად ნამყო ძირითადში გვაქვს -ნენ (წაუღნენ || წავღნენ, გაუღნენ || გავღნენ...).

ანალოგიური ვითარებაა კახურ დიალექტში (წავიღნენ, გავიღნენ). განსხვავება თავს იჩენს მხოლოდობით რიცხვში, იქ, სადაც ალიაბათურ კილოკავში -ე სუფიქსია, კახურში შეიძლება ზოგჯერ -ო მოგვევლინოს (მომკი, დართი, დარგი...); ხოლო S₃-ის პირის ნიშნად ზოგჯერ იმავე კახურ დიალექტში -ა გვევლინება ა-ს ნაცვლად (მსგავსად ინგილოურისა): მორთა, შაირთა, უამბა || უამბო; ეს უკანასკნელი მიღებულია ამბავი სახელისაგან (*უამბავ → უამბავა → უამბო || უამბა) (84, გვ. 111; 39, გვ. 94).

§33. II და III კავშირებითი. II და III კავშირებითში S₃-ის პირში კაკურ კილოკავში გვაქვს -ა სუფიქსი ა-ს ნაცვლად (წაფონას, დაფკარგას, იცხოვრას || იცხოვროს, მაღლას... ჭამან, წაფონან, მაღლან და სხვ.). III კავშირებითშიც II კავშირებითის მსგავსი მდგომარეობაა (გეეჰადას || გეეჰდას, მეეყონასყ, მეეყეას, ემუშავნას, ეყურნას, ეტუპას, დეემარხას და სხვ.).

II კავშირებითის I-სა და II პირში ჩვეულებრივ გვაქვს -ა (მოაგლო, დაგიკლო; მოაგლოთ, დაგიკლოთ).

ალიაბათურ კილოკავში კი სამივე პირის ფორმაში უპირატესობა

ა-ს ენიჭება (მოკლოს, მოკლონ).

შენიშვნა: იმავე კაკურ კილოკავში გვაქვს ო-ნიანი ფორმებიც:

- ა) ა მიღებულია ფონეტიკურ ნიადაგზე (იცხოვრას > იცხოვროს);
- ბ) საგულისხმოა, რომ კაკურ კილოკავში კატეგორიული ბრძანებითის ფორმებში შეიძლება მოგვევლინოს -ა I-სა და II პირში (შევეყებროთ, შეეყებროთ, ვეცადო, იცადო, ვეცადოთ, მევეშელოთ || მჭვჭშოლოთ, დავტუპო, დატიპო, დავტიპოთ...);
- გ) „იმუშაოს“ ფორმაში მწკრივის ნიშნად წარმოდგენილია -ო.

§34. II ხოლმეობითი. ძველ ქართულში ამ მწკრივს აწარმოებდა -ო (შევიპყრი, შევეკრიბი, აღვზარდი, ვწერი, ვიცხოვრი და სხვ.) (76, გვ. 98).

ამ მწკრივის მაწარმოებელი -ო ელემენტი ინგილოურში არ გვხვდება. ინგილოურში ხოლმეობითის წარმოება დაკისრებული აქვს -ყე II -ყ ნაწილაკს. აქედან პირველი -ყე ნიშანდობლივია ალიაბათური კილოკავისათვის, ხოლო -ყ — კაკურისათვის: მოძარავდიყ (კაკი), მოძარავდიყე (ალიაბ.), იცომდაყ (კაკი) იცომდაყე (ალიაბ.)...

-ყ-ს ფუნქციის შესახებ ჯერ კიდევ 1896 წელს შენიშნული აქვს მ. ჯანაშვილს: „შემასმენლის ბოლოში ებმის „ყ“, რომელიც ზოგჯერ უდრის „ხოლმე“-ს და ზოგჯერ აღნიშნავს პიროვნებით ნაცვალსახელს; მაგ.: ვკომყ, ვკამ ხოლმე; მაქ, გაქ, აქ, გოქ, გაქოყ, აქოყ (გაქვთ, აქვთ)“ (იხ. 110, გვ. 90-91).

ყ უს ხშირ შემთხვევაში აქვს ფორმათა გარჩევის (გრამატიკული ომონიმის მოხსნის) ფუნქცია: გაკეთებინებყ მე თქვენ და გაკეთებინებთ ჩვენ თქვენ (110, გვ. 90-91).

-ყე ნაწილაკიანი ფორმები დადასტურებულია სხვა კილოებშიც (მაგ., ფერეიდნულში, მთიულურში).

რაც შეეხება კახურ კილოს, ხოლმეობითი იწარმოება: ა) -ო ელემენტით (მაგ., ქიზიყურში: გადაულოცის, აჩუქის, თქვის) (39, გვ. 96).

ბ) იშვიათად -კე (II-ყე) ნაწილაკით მსგავსად ინგილოურისა — იტყოდაყე „იტყოდე ხოლმე“...

ამჟამად კახურში -**ყე** ნაწილაკი ფაქტიურად აღარ გამოიყენება. მრავალგზისობის შინაარსი ჩვეულებრივ გადმოცემულია **ხოლმე** ნაწილაკის დართვით (გეტყოდა ხოლმე).

§35. თხოვნით-ბრძანებით. თხოვნით-ბრძანებითის II პირის გადმოსაცემად ინგილოურ კილოში გამოყენებულია II კავშირებითის ფორმა.

ამ მხრივ ინგილოური განსხვავდება მთის კილოთაგან (ფშაურისაგან, თუშურისაგან, ხევსურულისაგან და ბარის კილოთაგან — კახურისაგან). პირველი სამის შესახებ აღნიშნული აქვს ა. შანიძეს ნაშრომში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, აქ თხრობითი კილოს II პირის გამოსახატავად გამოყენებულია ნამყო მრავალგზისის II პირის ფორმა (იხ. 80, ფშაური კილოსათვის — §68, თუშური კილოსათვის §70, ხევსურული კილოსათვის — §71).

აქვე მოვიყვანთ ამ კილოების მკვლევართა (გ. ცოცანიძე, თ. უთურგაიძე, ალ. ჭინჭარაული) მოსაზრებებს აღნიშნულ ფორმებთან დაკავშირებით (რა თქმა უნდა, ლაპარაკია თხოვნით-ბრძანებითის II პირზე).

გ. ცოცანიძე: „... მათ უფრო მომავლის ბრძანებითის მნიშვნელობა აქვს“ (მაგ., **მამიტანე** აწყმოს ბრძანებითი იქნება, ხოლო **მომიტანოდი** — მომავლის ბრძანებითი) (99- გვ. 92).

იქვე ავტორს მოჰყავს -ოდ-ი სუფიქსის შემცველი მაგალითები: წაიდოდი, მიუგდოდი, უთხროდი, წამაიდოდი (99, გვ. 82).

ალ. ჭინჭარაული ფშაურის -ოდ-ი სუფიქსიან წარმოებას „ხოლმეობით-ბრძანებითს“ უწოდებს. მაგ.: უთხროდი, დაებჭინებოდი, დაიწეროდი, გამითხროდი, მომაყაროდი, გაუცინოდი... აგრეთვე ხევსურულ-თუშურის -იდ -ი სუფიქსიანებს: გამაეთხოვიდი, წამამგვარიდი, უამბიდი, გაუგონიდი, აჰვადიდი... (104, გვ. 110-111).

თ. უთურგაიძე აღნიშნავს: „... თუშურს თხოვნის გამოსახატავად სპეციალური სუფიქსი გააჩნია: -ლ (← და). როდესაც II ხოლმეობითის ფორმით თხოვნაა გადმოცემული, მაშინვე ეს -ლ (← და) სუფიქსი გაჩნდება ხოლმე; მაგ., მოვიდილ, უთხრიდილ...“ (61, გვ. 50).

იქვე ავტორს მოჰყავს -იდ-ი სუფიქსიანი მაგალითები, სადაც II

ხოლომეობითის ფორმით ბრძანებაა გადმოცემული (დამაყენიდი, გა-
მაყოლიდი...) (61, გვ. 50-51).

კახური კილოც განსხვავდება ინგილოურისაგან თხოვნით-ბრძანე-
ბითის წარმოების მხრივ. კახური კილო თხოვნით-ბრძანებითის
გადმოსაცემად იყენებს -ოდ-ე სუფიქსს და I კავშირებითის სუფიქსს
(მსგავსად მთიულურისა და მოხეურისა): მოხვიდოდე! შემოძაბოდე!
მამწერამდე! (39, გვ. 93).

ინგილოურში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თხოვნით-ბრძა-
ნებითის II პირის გადმოსაცემად გამოყენებულია II კავშირებითის
ფორმა, რომელიც იწარმოება: ა) -**ო**-თი: მრმრმზროლო! მაძცო! მამცო!
მამეცო! მოხტდო! მაძლო! ჩაუნთო! (||ჩაუნთო!)! გაპდიდო! (||გააადი-
დო!), წახტდო! შეხტდო! მაძტანო! მოგტტანო!...

ბ) აზერბაიჯანულიდან შემოსული ალა (ალა „საუკეთესო“, „კარ-
გო“, „დიდებულო!“), ამან (ამან „შემიბრალე“, მიშველე!“), ჟან (ჯან
„სული“, „საყვარელო“) ნაწილაკებით (18, §73).

წინადადებაში ერთდროულად იხმარება ორივე ნაწილაკი: ამან,
ჟან კაცო! ჩემ ქალ ტყეში წაძყონო! (114, გვ. 33). აღნიშნული ნაწი-
ლაკები იხმარება შებრუნებული თანმიმდევრობითაც: ჟან ამან! ჯან
ამან ჟან მამა, ამან მამა! ვაშლ ჩონც მოგტტანო! (114, გვ. 33).

ო-თი ნაწარმოები II კავშირებითის ფორმებს მომავლის ბრძანები-
თის მნიშვნელობა აქვს (წახტდო, შეხტდო, მოგტტანო); ხოლო იმავე
ინგილოურ კილოში **ე**-თი ნაწარმოებ ფორმებს უფრო აწმყოს ბრძა-
ნებითის მნიშვნელობა ენიჭება (მაგ., მამცე! მოხტდე! წახტდე!
შეხტდე! მოგტტანე! და სხვ.): ერ კორცხ მამცე! („ერთი კვერცხი მო-
მეცი!“).

ინგილოურში თხრობით-ბრძანებითის მაწარმოებელი **ო**-ს სუფიქსი
უნდა მომდინარეობდეს -ოდ-ე ან **ოდ-ი**-საგან მსგავსად ფშაურისა
(მომიტანოდე), კახურისა (მოხვიდოდე), მთიულურისა, სადაც მეორე
პირის ბრძანებითი კავშირებითის ფორმით არის გადმოცემული; ესაა
„რჩევითი ბრძანებითი“ (გამოიქცეოდეთო) (96, გვ. 57).

§36. I და II თურქეობითი

I თურქეობითის მწკრივის ინგილოურში შეიძლება ჰქონდეს ორ-
გვარი დაბოლოება: **o'a'** და **ავ**.

-ია-ს მახვილის გავლენით ბოლოში დაკარგული აქვს - ა: -ია —
-ა (18, გვ. 122; 51, გვ. 287).

მაგალითები: გამიკეთევი (← გამიკეთებია), დამიწერი (← დამი-
წერია), დამიჰერი (← დამიჰერია), გამიყიდი (← გამიყიდია)...

ზოგჯერ **ი**-ს წინ ჩართულია **ნ** (უფრო მოხუცთა მეტყველებაში
ჩნდება): მილაპარაკნია, მითამაშნია, უგორნია, ამიხედნია, მიყიდნია...

-ავ თემისნიშნისებრი გვხვდება, ოღონდ მცირე რაოდენობით:
მოჰუნავ (|| მოჰვნავ), დაჰწოვ || დაჰწოვ (← დაჰწვავეს),¹⁶ დამიგლე-
ეავ, მინახავ...

-ნ ჩართულია აგრეთვე II თურმეობითსა და III კავშირებითის
ფორმებში: მეყურნა, მელაპარაკნა, მენახნა (|| მენახა), მეკითხნა;
მეყურნას, გეყურნას, ეყურნას; მელაპარაკნას, გელაპარაკნას, ელაპა-
რაკნას, მენახნას, გენახნას, ენახნას და სხვ.

ანალოგიური მოვლენებს (-ნ ← ენ ჩართვას) ვხვდებით სხვა კი-
ლოებშიც; მაგ.: კახურში (უდავანია, უწვიმნია, მისესხნია, მოუთხოვნია,
უყიდნიათ; ენახნა, ეცემნა, მეეტაცნა, გეელეწნა, ელოცნა, ეგორნა; გა-
მებელნოს (III კავშ.) (88, გვ. 72; 39, გვ. 99-101); ქართლურში: დამი-
ნახნია, მიყიდნია, გამილევწნია, შემიწირნია, აუკიდნია; ებანავნა, მე-
ნახნა, მეტაცნა, მეცქირნა, ეყიდნა, დაებერნა, გაეხარნა... (13, გვ. 143;
27, გვ. 165).

ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაო-
ბაა; კერძოდ, ა. შანიძის აზრით, **ნ** პირველად II თურმეობითში უნდა
გაჩენილიყო, მაგრამ შემდეგ მისი ანალოგიით თურმეობით პირველში
გადასულიყო. „თურმეობითში ნარის ხმარებისათვის ხელი უნდა შე-
ეწყო იმ **ინიან** ზმნებს, რომელთაც **ნარი** აწმყოშიც აქვს: ვთოხნი,
ვტკეპნი, ვკოცნი და სხვ., რადგანაც ამათ თურმეობითში **ნ** აუცილებ-
ლად გადაჰყვებათ: გაუთოხნია, გაუთოხნა. ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთ-
ვნოს „პოვნა“ ზმნაც: უპოვნია, ეპოვნა (82, გვ. 455).

ივ. ქავთარაძე -ნ სუფიქსის შესახებ აღნიშნავს: „... ეს -ნ (← ენ)
ზმნური ფუძის ისეთივე საწარმოებელი სუფიქსია, როგორც -ან, -ონ, -ევ
და სხვები გამოყენებული სხვადასხვა სერიის ფორმებში“ (70, გვ. 74).

¹⁶ ფუძისეული ვ-სა და თემის ნიშნისეული -ა-ს თანახლომისას: ვ + ა > ო
(დაჰწვავეს > დაჰწოვ).

ვ; თოფურია: „ქართულში -ნ მის წინამავალ ხმოვანთან ერთად ზმნური ფუძის საწარმოებელი სუფიქსი რომ არის, ეს უკვე აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში“.

იქვე: „ია-ს წინ უძღვის -ნ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ -ნ აწმყოს ფუძეშიც მოიპოვება“ (17, გვ. 489-491).

ო. კახაძის აზრით: „თურმეობით პირველში გვხვდება, თუმცა იშვიათად, ნ-ია ტიპის წარმოება. ნ, რომელიც თურმეობით პირველში გვხვდება, გადაჰყვება ხოლმე თურმეობით მეორეში“ (იხ. 26, გვ. 165). ჩვენი აზრით, ჰირს ამის გაზიარება, ვინაიდან შეიძლება ერთსა და იმავე ზმნას ოთხ თურმეობითში ჰქონდეს -ნ, ხოლო პირველში კი — არა! (დამეზახნა — დამიზახნა და სხვა შემთხვევებშიც).

ინგილოურ კილოში -ნ უფრო ხშირად გვხვდება ოთხ თურმეობითში. მაგ.: მინახნა — მენახნა, მილაპარაკნა — მელაპარაკნა, მიყიდიანა — მეყიდნა და სხვა.

§37. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

წინასწარ შევნიშნავთ, რომ ინგილოურში მსაზღვრელი თითქმის ყოველთვის უსწრებს საზღვრულს. გვექნება: „თეთრ ცხენ“, იშვიათად: ცხენ თეთრ (კაკ.), ცხენი თეთრი (ალიაბ.):

ეს პროცესი ქართული ენის ყველა დიალექტს ახასიათებს.

1. სახელობით ბრუნვაში თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი და საზღვრულიც გაუფორმებელია (ე. ი. წარმოდგენილია Ø). მაგალითად, თეთრ ცხენ მაყონა, გერ ქალ არ უშობს ყოფილ. დიდ ვაშკაც გაძნარდ. ორ შულ ყოფილ...

ალიაბათურ კილოკავში კი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელი ორივე ფორმით შეიძლება შეგვხვდეს; მსაზღვრელიცა და საზღვრულიც ხან სრული ფორმითაა წარმოდგენილი, ხან მსაზღვრელი გაუფორმებელია, საზღვრული კი o ნიშნითაა წარმოდგენილი; მაგ.: თეთრი ცხენი აქო. ერთი ყისირი („ბერწი“) კამმეჩი აჯიდა (25, გვ. 180). თეთრ ცხენი აქო.

ინგილოურში (კაკურში) თავისებურია კუთვნილებითი ნაცვალსახელი „თავისი“ და რიცხვითი სახელი „ერთი“. როდესაც მსაზღვრელადაა გამოყენებული, „თავისი“ კარგავს -სი დაბოლოებას, „ერთი“ -თი დაბოლოებას. მაგალითად, თავი გაკეთეული საქმე არ მეეწონა. ფაქჩამ მაჯითხა თავი დეკაცი. ერ კაცი და ერ დეკაც ყოფილ... და მოკვეცილი ფორმები გასდევს ყველა ბრუნვაში (შდრ. (39, გვ. 123-124), ჭავახური (5, გვ. 162): უთხრა თავი დეკაცს. თავი შულმა მაძლა. ერ კაცმა დაჯოცა ბუთუმ.

პოსტპოზიციური წყობისაა საკუთარი სახელების მსაზღვრელი, რომელიც ნათესავის სახელს აღნიშნავს. ასეთ მაგალითებში საკუთარი სახელი ფუძის სახით გვევლინება.

მაგ.: მოსე ტაიძ არ იყო. ჩონსა ნათელ მამიდაჲ მოსულ. ასეთ ფორმებშიც იბრუნვის მხოლოდ მსაზღვრელი: მოსე ტაიძ არ იცოდა. ნათელ მამიდას (ვ)უთხარ...

ინგილოურის მსგავსი ფორმები დადასტურებულია ფერეიდნულშიც; მსაზღვრელი და საზღვრული გაუფორმებელია: დიდ მამულ. ანდა: მსაზღვრელი გაუფორმებელია, საზღვრული კი -ი ნიშნითაა

წარმოდგენილი: ორ საათი (85, გვ. 215-216).

კაკურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი გაუფორმებელია, ხოლო საზღვრული -ჲ (← ი) ნიშნითაა წარმოდგენილი. მაგ.: ი პატარა ზმაჲ ამბოვს თურმე. ცხრა ზმაჲ ერ სახში ცხოვროვენ... ალიაბათურში მსაზღვრელიც და საზღვრულიც გაუფორმებელია (ფუძის სახით): თითო ზუზუ ბაჯლევს მისცა (18, გვ. 134).

როცა მსაზღვრელი დაბოლოებულია თანხმოვნით, საზღვრული კი — ხმოვნით, ასეთ შემთხვევებში მსაზღვრელი გაუფორმებელია, საზღვრული კი — -ჲ (←) ნიშნითაა წარმოდგენილი: დიდ ზმაჲ, ჩემ გადაჲ... ალიაბათურ კილოკავში კი მსაზღვრელი გაფორმებულია, საზღვრული კი ფუძითაა წარმოდგენილი: დიდი ქუა არი; სამი ზმა ყოფილან; ჩემი ჳმა მინმემ ვერ გაგჲა (18, გვ. 134).

კაკურში ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი და თანხმოვანზე დაბოლოებული საზღვრული გაუფორმებელია: ბუთუჳმს პატარა შულ უყვარს ყოფილ. მაგრამ ალიაბათურში მსაზღვრელი გაუფორმებელია, საზღვრული კი -ი ნიშნითაა წარმოდგენილი: პატრა ქობი ჩადო შიგ (18, გვ. 135).

მოთხრობითი ბრუნვა. ინგილოურ კილოში (ალიაბათური, კაკური) შეთანხმება თითქმის ყოველთვის დარღვეულია (ეს ეხება როგორც თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ, ისე ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებსაც). მსაზღვრელი თითქმის ყოველთვის გაუფორმებელია (ფუძის სახითაა), საზღვრული კი -მა ნიშნით გვხვდება. მაგ.: თეთრ ცხენმა დაჯუჯუნა. ერ კუდიან ბებერმა ჰუთხრა (25, გვ. 180). დიდ შულმ ბოჯრ ნადირ დაჯოცა. პატარა შულმა დედამე გააჩივა.

მაგრამ იშვიათად შეიძლება შეთანხმება დაცული იყოს. მაგ.: ერთმა ბერმა (|| ბერ) კაცმა გააჩავა. შენმა მოლოდინმა მაედნო (18, გვ. 135; 25, გვ. 181).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ალიაბათურ კილოკავთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „საზღვრული მოთხრობითი ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი, მსაზღვრელი კი — სახელობითის ფორმანტი“. ეს აზრი გატარებულია როგორც მოთხრობითი ბრუნვის ფორმისათვის, ასევე მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში საზღვრულის წინ დასმული მსაზღვრელის -ინიანი ფორმებისათვის (18, §94).

მოყვანილია მაგალითები: თავისი კაცმა უთხრა; ჩონი დიდი კამანდირმა გუთხრა: ამ ორი ზმამ მასლაათი ქნეს... ცხელი წყალს მამტან; ჩონი ყონაღევს საკმელი მიეცე! ერთი კურას არ წაუდნენ; გველედ ერთი დიდი ხეზე... ორი ჟურათ ვამბოვთ... (18, გვ. 135).

მოყვანილ ფორმებთან დაკავშირებით (თავისი, ჩონი, დიდი, ორი, მამაზაღლი, ცხელი), რომლებიც გამოყენებულია მსაზღვრელად (შესაბამისი საზღვრულით), საჭიროებს განმარტებას.

ჩვენი აზრით, მოთხრობითში (ასევე მიცემითსა და ვითარებითში) დასმული საზღვრულის წინ მდგომი მსაზღვრელის -**ი** დაბოლოება ფუძეშია გადასული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, -**ი** დაბოლოებინი ფორმები ფუძისეულად უნდა იქნეს მიჩნეული და არა სახელობითის ფორმანტად.

ანალოგიური ფორმები გვხვდება კახურშიც (მაგ., თავისი შვილმა დაიწყო ვაჭრობა. იმან მიეცა თავისი მეუღლეს, თავისი ძმას მოუტანა. ერთ ბებერი კაცმა (39, გვ. 123-124).

ბ) გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება. ხმოვანფუძიანი სახელის მომდევნოდ მიცემითის -**ას** ნიშნის ნაცვლად დადასტურებულია -**ე**.. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს -**ე** სახელობითი ბრუნვის ნიშანია. მიცემითი ბრუნვის ნაცვლად გამოყენებულია სახელობითი“: ერისტოე ერ ტახ მოუკლავ ყოფილ „ერისტოს ერთი ტახი მოუკლავს თურმე (107, გვ. 361)...

ჯერ ერთი, ასეთი ფორმები იშვიათია, თუ მაინც გვხვდება, ჩვენი ვარაუდით, „ერისტოე“ ფორმაში -**ე ს - ს** ფონეტიკური ვარიანტია. ეს პროცესი ბუნებრივია ხმოვანფუძიანი სახელების მიცემით ბრუნვაში აღმოსავლური დიალექტების ერთ ნაწილში და ჩვეულებრივი მოვლენაა ინგილოურშიც.

საერთოდ კი, თანხმონითა და ასევე ხმოვანთ ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი ინგილოურში, ჩვეულებრივ, გაუფორმებელია; მაგ.: დიდ ქალს უთქომ. პატრა დას თეთრ ტონ^ს აცომს.

ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი.

ინგილოურ კილოში ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო საზღვრული ამგვარად: ნათეს. -ის, მოქმ. -ით, ვითარ. -ად (|| -ათ).

მაგალითები:

თეთრ ცხენი^ს თმამ აზროვს, სამ-ოთხ ეხლანდელ კაცი^ს წორამ; პატრა ზმი დეკაც ჩონთან დაადგით! (25, გვ. 181). ცხრა შულო^ს დეღამ ვარ... თეთრ ცხენი^თ მოდს შინ; ლამაზ ტანსმო-ზი^თ მოსული ვარ. პატრა შული^თ მოდ ჩონსა...

დიდ კაცა^დ ჰეგ არ ივარგევს. ჩონ ჰენგილაევ ორ ჟურა^დ (|| ჟურათ) ლაპარაკობთ. შენზე პატრა შულად ადყონ.

ჩვენებითი ნაცვალსახელი. ზოგჯერ ჩვენებითი ნაცვალსახელი არ ეთანხმება ბრუნვაში საზღვრულ სახელს. მაგ.: ჰიგი ზოლ ნუ ააქომ (კაქ.) ეს უნავრმა ჰამა „ამ მგელმა ჰამა“ (ალიაბ.) (18, გვ. 135; 25, გვ. 181).

პარალელურად ეს||ევ ჩვენებითი ნაცვალსახელების გახმოვანება შეიძლება გადავიდეს სხვა ბრუნვებში. ეს კაცი, ემ || ამ კაცმა ... ანალოგიური ვითარებაა პირის ნაცვალსახელებსა (ეს || ეგ, ამან|| ემამ, ემას... ეგენი, ემათ) და ზმნისართებში (იქ, აქ) (იხ. 107, გვ. 361).

§38. მართული მსაზღვრელი. ინგილოურში თითქმის ყოველთვის მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული მართული მსაზღვრელი შეიძლება სხვადასხვაგვარად შეგვხვდეს:

ა) ნათესაობითის ნიშნის -ს ელემენტი კაკურ კილოკავში ყოველთვის მოკვეცილია, ხოლო ალიაბათურში — იშვიათად. მაგ.: ხი სახლ, ღორი ჯორც, ანწლი ქობ, ტყი პირში, ქალი მათაცებელა, ქობის მათხოვნელა (ალიაბ.) (25, გვ. 183-184).

ბ) გვაქვს -ის ელემენტის სრული მოკვეცის შემთხვევებიც, როცა თანხმოვანფუძიან მართულ მსაზღვრელს მოსდევს ნაზმნარი სახელი: პურ ჰამამ, კაც მოკლუამ, პატივ ცემამ... (25, გვ. 183).

გ) ბოლოზმოვნიაანი მართული მსაზღვრელი ასეთ შემთხვევაში -ი || -მ -ს სახით გვევლინება: შიშამ მალეებელა წასლრყნრნ, ჰეჩმინამ უკითხელა საქმი გაკეთევამ არ იქნევ (25, გვ. 183).

დ) მართული მსაზღვრელი შეიძლება იშვიათ შემთხვევაში შეგვხვდეს სრული სახითაც (საქმის გაკეთევამ).

§39. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება

აღსანიშნავია: ა) სულიერი საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარე ჩვეულებრივ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში: ქალევ წყალზე მიდიოდნენ.

უსულო საგანი კი მაშინ, როცა სულიერის თვისება მიეწერება: გზის აქეთიან ბალახებ ლაპარაკოვენ, გზის იქითიან ხეებ, ბუთხებ ჩურჩულოვენ (25, გვ. 182).

ზოგჯერ გვხვდება შეუთანხმებლობის შემთხვევებიც: წაჰდა ყარვაშები, უთხრეს ამ ბიჰს (ალიაბ.) (25, გვ. 182).

ბ) შინაარსის მიხედვით ქვემდებარეს ეთანხმება შემასმენელი: ხალხი (ყამაათი) შეყრილიყო, ზემდიწევნით: შეყრილიყვნენ (107, გვ. 361). ბუთჰმს („ყველას“) ჩააზინეოდათ (|| ჩააზინეოდაყ)...

გ) იშვიათად შეთანხმება გვაქვს რიცხვში აგრეთვე ორზე მეტი რიცხვითი სახელით განსაზღვრულ სახელებთან. მაგ.: შუდ კაც დგანან. ორ ინსან გზაზე მიდიოდნენ. სამ დაჲ ერთა მოდიან. სამ კაც დგანან.

დ) ეგვევ ითქმის რამდენიმე ქვემდებარიანი წინადადაების შესახებაც; მაგ.: ერ ჟანავარ, ერ თჷლქჷჲ, ერთიც დათ მიჷდნენ (18, გვ. 136).

ე) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიც შეიძლება ზოგჯერ შეეთანხმოს ქვემდებარეს რიცხვში. მაგ.: ქალებ/ევნი¹ ლამაზებ/ევნი¹ ყოფილან (18, გვ. 137).

შედგენილ შემასმენელთან მესამე პირში: თუ დამხმარე ზმნა მოკლდება (არიან → ა), მაშინ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს დაერთვის ებ-თან ერთად ნარიც, განსაკუთრებით კითხვით წინადადებაში: ისენ კაცებნია? ისენ ჯარევნია? ისენ კაცებნია, ისენ ქალევნი (18, გვ. 137).

შემასმენელი პირმიმართ დამატებას რიცხვის მიხედვით ყოველთვის ეთანხმება: ა) პირმიმართი დამატება დგას მიცემით ბრუნვაში: ის (პ)ხედავს იმათ „ის ჰხედავს მათ“. ბ) პირმიმართი დამატება დგას სახელობითში: იმამ დადნახაყ ისენ „მან დაინახა ისინი“.

თავი VI. ინგილოურის კახურთან მიმართების საკითხი

ინგილოური კილოს თავისებურებების განხილვისას გზადაგზა კახურთან მიმართების საკითხებსაც ვეხებოდით. განხილვისას გამოვყოფდით ისეთ მოვლენებს, რომლებიც სპეციფიკურია ინგილოურისათვის, მაგრამ კახურს არ გააჩნია, ან ორივე დიალექტში ესა თუ ის მოვლენა საერთოა. საერთო ან განსხვავებული მოვლენების ანალიზის დროს ვუთითებდით სპეციალურ ლიტერატურას.

ინგილოურის კახურთან მიმართების საკითხში ძირითადად მოვიყვანთ სხვაობათა ნიმუშებს, რომლებიც ინგილოურს აქვს, მაგრამ კახურს არ ახასიათებს.

ჩვენს მიერ შეკრებილი მასალისა და, ამასთანავე, თანამედროვე სასაუბრო მეტყველების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებლობა გვქვია გამოვყოთ რამდენიმე განმასხვავებელი თავისებურება.

აქვე უნდა აღინიშნოს: ინგილოური კილოს ალიაბათური კილოკავი უფრო ახლოს დგას კახურთან, ვინემ კაკური კილოკავი. მსგავსება ნათლად ჩანს მორფოლოგიაში (სახელთა ბრუნებაში, თემის ნიშნებსა და დრო-კილოთა წარმოებაში). სინტაქსში (მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთშეთანხმება) და რიგ სხვა საკითხებში, რაც ძირითად ნაწილშია მოცემული. საერთო ფორმების ქონა ალიაბათურსა და კახურ დიალექტში განპირობებულია ტერიტორიული ადგილმდებარეობით, ურთიერთმეზობლური კავშირით.

